ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№91 (152) 2 ნოემბერი 2010 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ცოტ-ცოტა აზრი ყველაფერზე, რადგან დღეს საქართველო /ნაციონალთა ძაღისხმევით/ ერთი დიდი უაზრობაა...

ამ უაზრობამ სათავე 2003 წლის ნოემბერში აიღო, როცა სატანად ქცეული ძალები საქართველოს პარლამენტში, სან-ფრანცისკოელ მილიონერ სომეხთა მიერ გამოყოფილი ფულით მოქრთამულ შევარდნაძესთან წინასწარი გარიგებით, შეცვივდნენ და ხელისუფლების უზურპაცია მოახდინეს...

წლები გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ქვეყანაში არაფერი დალაგებულია. ის კი არა, არჩევნები ახლოვდება და ისე "აირია მონასტერი", რომ ძაღლი პატრონს მართლაც ვეღარა ცნობს...

ჯერ იყო და პარლამენტარმა გია თორთლაძემ დაივიწყა თავისი ოქტომბრელურ-პიონერულ-კომკავშირულ-კომუნისტური წარსული და საბჭოური სიმბოლიკების აკრძალვას მოითხოვს.

არ უნდა შეიგნოს, ამ ნეობოლშევიკმა, ნაციონალების ლაქუცით რომ უცვდება კუდი, რომ გერმანიაში მარქსის ძეგლი არ დაუნგრევიათ, მაგრამ იქ მარქსიზმი სულაც არ დომინირებს. რა ვქნათ ახლა, ავკრძალოთ რეზო ჩხეიძის უკვდავი "ჯარისკაცის მამა" და "ღიმილის ბიჭები", რომლის გმირებსაც საბჭოთა სიმბოლიკიანი ქუდები ახურავთ? ისე, აჯობებდა თორთლაძეს თავისი წარსულისათვის მიეხედა, თორემ ქვეყანა როგორმე მიხედავს თავის წარსულსაც და მომავალსაც, მიუხედავად ნაციონალთა დამანგრეველი სოდომასონური მისიისა...

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ შესანიშნავი ქართველი პოეტის, ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის, გულალალი კახელი კაცის გივი სომხიშვილის ლექსი:

გარედან ოპოზიცია,
სულში – მუხთლობა გაპონის,
ხელისუფლებას უძვრება,
წამსმელიცა ჰყავს საპონის.
ოპოზიცია დაირქვა
ადრე ნატარმა ფორთხვაზე
პარლამენტარად გამოცხვა
ასე, მრავალი თორთლაძე.
ხელისუფლების ლაქუცით
ენას უსმევენ ხბოდ თმაზე,
უკუღმართ გზაზე შემდგარნი
დგანან წადმართის მოთხრაზე.
ნიანგის ცრემლებს აფრქვევენ
ღატაკი ქვეყნის მოთქმაზე,
ენა მახვილად გალესეს
მსუყე ნაჭერის მოთლაზე.

ეჰ, ყოფილო მთამსვლელო თორთლაძე, თორთლაძე!.. ყვაყვარე თუთაბერისა არ იყოს, რა გასწავლეს ნეპალელმა შერპებმა ასეთი იმ ჯომოლუნგმაზე, თუ კი საერთოდ ხარ იქ ნამყოფი!

შენ იმის ინიციატივითაც გამოხვედი, რომ ლუსტრაცია მოვახდინოთო, მაგრამ ვერ გაითვალისწინე, რომ სწორედ ნეობოლშევიკ თანაგუნდელ ნაციონალებს გამოიყვანდი სააშკარაოზე. ახლა კი, შეცდომის გამოსასწორებლად ყოველ საძრახის საქმეზე მიდიხარ...

ნუთუ ვერ გრძნობ, რომ გულისამრევ სანახაობას აწყობ!

მაგრამ, რა უნდა მოსთხოვო თორთლაძეს, როცა თვითონ სააკაშვილია ისე "აჭრილი", რომ თავადაც არ იცის რას სჩადის და რას ამბობს! სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულზე იმის მეტი ვერაფერი მოახერხა, რომ მცხეთის სალობიესათვის სახალხო რესტორნის საპატიო წოდება მიენიჭებინა! რას იზამ, თუ ზოგისთვის მცხეთა და სვეტიცხოველი მხოლოს სალობიესთან არის ასოცირებული. მაგრამ, ისიც საკითხავია: ეკუთვნის კი, თუნდაც ლობიო, ქვეყნის იმ პრეზიდენტს, რომელიც არაქართული პირმოთნეობით ესტუმრება თავისი ამალით ვიღაც ამერიკელ მილიარდერს, რომელიც ფეხზეც კი არ წამოუდგება სტუმარს...

არ ესმის სააკაშვილს და მის გარემოცვას, რომ ეს მხოლოდ სააკაშვილის კი არა, მთელი საქართველოს შეურაცხყოფაა!

ნაციონალები კი ყოველმხრივ ბაძავენ მართლაც უბადრუკ ამერიკელებს, რომელთა ერთადერთ იარაღს დღეს მთელი მსოფლიოს ყვლეფის ხარჯზე მონადირებული დოლარები წარმოადგენს! არა და, წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობის მიხედვით ამერიკას დღეს მსოფლიოში 49-ე ადგილი უკავია. ამერიკელების ოც პროცენტს მიაჩნია, რომ მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო, ბავშვთა სიღატაკით ამერიკა მსოფლიოში 22-ე ადგილზეა, ბავშვთა სიკვდილიანობით 50-ე ადგილზე...

აი, **როგორ** ამერიკას ბაძავს ჩვენი ხელისუფლება! ბაძავს ჰომოსექსუალიზმისა და პროსტიტუციის პროპაგანდაში, გეი-აღლუმების მოწყობაში, საქართველოს მდიდარ ტრადიციებთან დაუნდობელ ბრძოლაში, რელიგიური და ისტორიული ძეგლების დანგრევა-წაბილწვაში, ქალაქის ცენტრში უდანაშაულო ახალგაზრდების ხოცვა-ულეტვაში, მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევაში, ციხეების შენებაში, პოლიტიკურ პატიმართა რიცხვის მომრავლებაში, პატიმართა ცემასა და წამებაში, კორუფციასა და სხვა ბევრ უბედურებებში...

კიდევ ერთი გამაოგნებელი საქციელი ჩაიდინეს ძეგლებთან მებრძოლმა ნაციონალებმა – ამას წინათ ქალაქის ცენტრიდან ვანდალურად აიღეს დიდი ქართველი მოღვაწისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის ძეგლი! ნუთუ ერთი ძეგლი მაინც არ ეკუთვნოდა კაცს, რომელმაც დიდი გასაჭირის ჟამს სათანადო ღვაწლი დასდო ქართულ კულტურასა და ხელოვნებას?

ნაციონალებმა ვერ მოისვენეს, ვიდრე სტალინის ძეგლი არ აიღეს გორის ცენტრიდან (იმ სტალინისა, რომლის სურათი რუსებს უკვე ხატებად უსვენიათ ეკლესიებში და მის წინ ლოცულობენ). თუნდაც იმიტომ მაინც უნდა შეეკავებინათ ნაციონალებს თავი, რომ სააკაშვილი 21 დეკემბერს – სტალინის დაბადების დღესაა დაბადებული, ნაციონალთა ერთ-ერთი იდეოლოგი, დიდი ქონების პატრონი ბოკერია კი ჰიტლერის დაბადების დღეზე – 20 აპრილს მოევლინა ამ ქვეყანას...

(ღმერთო ნუ მიწყენ და, მართლაც უცნაური დამთხვევაა, განსაკუთრებით ბოკერიას შემთხვევაში!)

მართლაც, ვაი შენ, საქართველოვ და ქართველო ხალხო, ამათ ხელში!

რუსებმა კეთილი ნება გამოავლინეს და სოფელი პერევი დასტოვეს. ვერ ვიტყვი, რომ ამან დიდად აღაფრთოვანა საქართველოს ხელისუფლება, რადგან საქართველოსათვის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა ვეღარ "შეიხვირიპებენ" საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ლტოლვილთათვის გამოყოფილ მილიონებს! ასე რომ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დიდი ფინანსური დარტყმა იქნება საქართველოს სახელისუფლებო მაფიისათვის!

რუსეთის კეთილი ნების საპირწონედ საქართველოს ხელისუფლებამ იმის მეტი ვერაფერი მოიფიქრა, რომ ჩრდილოკავკასიელებისათვის უვიზო რეჟიმი შემოეღო! მართლა დიდი მოთმინების უნარი აქვთ რუსებს, ამათ არაპოლიტიკურ და არაეთიკურ საქციელს რომ ითმენენ, თორემ, ხომ შეიძლება რუსებმაც გამოაცხადონ მათ ტერიტორიაზე უვიზოდ შესვლის რეჟიმი მეგრელებისა და აჭარლებისათვის? ეს ხომ საქართველოს დაშლის წინაპირობა იქნება!

მაგრამ, რა გარანტია გვაქვს, რომ სწორედ აქეთკენ არ მიისწრაფვის სააკაშვილი და მისი გარემოცვა?

ქართველ ხალხზე "ნაციონალური" ზრუნვის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს 2011 წლის თითქმის 7 მილიარდიანი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მთავრობას სურს წარადგინოს პარლამენტში დასამტკიცებლად. მასში არაა გათვალისწინებული პენსიებისა და შემწეობების ზრდა, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების რეზერვი, სამაგიეროდ, სახელისუფლებო ხარჯებში გაწერილია 900 მილიონ ლარზე მეტი. ეს ის თანხაა, რომელთა გახარჯვის გაკონტროლებას ვერასოდეს შესძლებს ქართველი ხალხი და იგი ალბათ მოხმარდება სხვადასხვა ქვეყნებიდან სკანდალურად ცნობილი მომღერლების და სხვა ტუტრუცანა დედაკაცების საქართველოში ჩამოყვანას, რითაც ხელისუფალთა ხუშტურები დაკმაყოფილდება.

მაშ ასე, იყავით ჩუმად და მოთმინებით ელოდეთ აღსასრულს!..

როგორც იქნა, **ხელისუფლებამ გააუღერა კიდევ ერთი** ვერაგული ჩანაფიქრი, რომელიც საქართველოს გულში ჩაჭედებული უკანასკნელი ლახვარი იქნება. მათი მტრული პოლიტიკის შედეგად საქართველოდან გადახვეწილი მილიონზე მეტი ქართველი მშრომელი ადამიანის ნაცვლად ხელისუფლებას განზრახული აქვს ჩვენთან ჩამოასახლონ ჰოლანდიელ ბურთა 42 ათასი ოჯახი. ჰოლანდიურად სიტყვა "ბური" გლეხს ნიშნავს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ჰოლანდიელი გლეხები ყველაზე ზარმაცი და უვარგისი ხალხი არიან.

ამათ მიერ საქართველოში შემოთესლილი ათასობით ინგლისურის მასწავლებლები ხომ დიდ ქართულ საქმეს აკეთებენ (საქართველოში განათლების საქმის სავალალო მდგომარეობაზე ცალკე გაგესაუბრებით), ახლა მათ რომ უსაქმურ ჰოლანდიელებს ამატებენ!

ამას წინათ კიდევ ერთი დიდი ტყუილი დაახეთქა სააკაშვილმა, რომლის ოჯახიც, **ხალხში გავრცელებული ხმებით**, საქართველოში საწვავის ბიზნესს აკონტროლებს: "მსოფლიოში ნავთობის ფასი მაღლა იწევსო". პირიქით, ახლა ნავთობი მსოფლიოში იაფდება, საქართველოში კი ძვირდება, რასაც მილიონობით შემოსავალი მოაქვს სააკაშვილის ოჯახისათვის, რა თქმა უნდა, გაღატაკებული ქართველების ხარჯზე. ელემენტარული გათვლით, საქართველოში შემოტანილი ერთეული საწვავის ფასი ერთ ლარს არ აჭარბებს, სახელისუფლებო მაფია კი მას გაორმაგებულ ფასებში ჰყიდის. ახლა, თავად გამოთვალეთ, რამდენი მოგება რჩება აქედან ხელისუფალს...

სწორედ მათზე შეიძლება ითქვას: "ბედნიერი არაქართველები უბედურ ქართველებში!" მოკლედ, როგორც დიდი ილია ამბობდა, "რა გითხრათ, რით გაგახაროთ!.."

დანარჩენზე მერე ვიტიროთ ერთად, ვიდრე ამას და ამათ ვითმენთ...

რა, განა ახი არ არის ჩვენზე?



აფხაზეთი - მეღენ ქიანა: მამა მათე ტუეგა ღმერთს ქართველად ელაპარაკება 2

სწავლა-განათლება ძველ საქართველოში 7



ივანე ჯავახიშვილი - ქართველ ერის ისტორია 9

აფხაზეთი - მეღვინ ქიანა: მამა მათე ტუჟბა ღმერთს ქართველად ეღაჯარებება

გალი ახალი რეალობით, მოსკოვის დროითა და რუსული რეჟიმით ცხოვრობს. ოფიციალურ სოხუმს ოფიციალური თბილისის მხრიდან ჟღერადი სამხედრო რიტორიკის ადარ ეშინია. იქ მცხოვრები ქართველები კი აფხაზთა მხრიდან შევიწროებისა და კრიმინალური თავდასხმებისაგან განთავისუფლდნენ. რაიონში თვითნებურად დამბრუნებელთა მატებას სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს. საგაზეთო წერილი, რომელიც ცნობილმა ჟურნალისტმა ქალბატონმა სვეტლანა კვიკვინიამ *გალელი ქართველების მონათხრობზე დაყრდნობით შექმნა, ახალი რეალობის სხვა ნიუანსებზეც მოუთხრობს "ილორის" მკითხველს:*

ვალენტინა თ. – "წინა წლებისგან განსხვავებით აფხაზური ადმინისტრაცია ცდილობს და ახერხებს კიდეც ქართულ მოსახლეობასთან საერთო ენის გამონახვას. აფხაზებსა და ქართველებს უკვე ბევრი რამ აქვთ საერთო: პირველ რიგში მცირე ბიზნესი, რომელშიც ორივე მხარე ინტენსიურად არის ჩართული. თუ წინათ, თხილი, ციტრუსი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტი ენგურზე ცენტრალური გამშვები პუნქტის გვერდის ავლით გაღმა გადაგვქონდა, ახლა ჩვენთვის სასურველ თანხას თავად აფხაზები გვიხდიან. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ აფხაზეთის მიწაზე ქართველების გარდა ოფლს არავინ დაღვრის.

გვახარებს ის ფაქტი, რომ გალის რაიონში დამბრუნებელთა რიცხვმა იმატა. გადამწყვარ ფუძე-კერაზე თუ წინათ, ძირითადად, ასაკოვანი ხალხი ბრუნდებოდა, ახლა მათ შვილებსა და შვილისშვილებსაც გაუჩნდათ დაბრუნების სურვილი. რაგინდ გასაკვირადაც არ უნდა მოეჩვენოს გაღმა საქართველოს, ეს პროცესი 2008 წლის მოვლენებს მოჰყვა და რუსულმა რეჟიმმა მოიტანა (!). ფაქტობრივად გალი **"სსრკ"**-ში დაბრუნდა! მისი ქუჩებიდან გაქრნენ სამხედროფორმიანი, მხარზე ავტომატგადაკიდებული აფხაზები. შემცირდა კრიმინალი და ხალხს მშვიდი ცხოვრების საშუალება მიეცა. იშვიათობად იქცა გამოკეტილი სახლ-კარი. ვინც დაბრუნებას არ აპირებს, სახლს ჰყიდის და გაღმა მკვიდრდება. თუ ქართველი მოსახლეობა წლების წინათ ოთხთვალათი და ურმით გადაადგილდებოდა, ახლა გალის ქუჩებში უცხოური მარკის მანქანებით, არა მხოლოდ აფხაზები, არამედ ქართველებიც დადიან. მუხლჩაუხრელმა შრომამ წელში გამართა ადგილობრივი მოსახლეობა, თავს დაჩაჩანაკებულად აღარ გრძნობენ, თავადაც შეძლებულად ცხოვრობენ და გაღმა საქართველოში დევნილად მცხოვრებ შვილების ოჯახებსაც ეხმარებიან".

იოსებ პ. – "როდესაც აუტანელი ყოფის გამო მიტოვებულ კერიაზე იძულებით დაბრუნება გადავწყვიტეთ, როგორც იტყვიან, ზურგი გვეწვოდა, ვაითუ მოღალატეებათ შევერაცხეთ! დღევანდელი გადასახედიდან იმის თქმა შეიძლება, რომ იძულებით დაბრუნებულებს შუამავლის ფუნქცია დაგვეკისრა და საქართველოს აფხაზეთში დაბრუნების ხელშემწყობი პროცესების თანამონაწილენი გავხდით.

თუ წინათ გალის ადმინისტრაციაში აფხაზი კადრები სჭარბობდნენ, იქ სურათი სრულიად შეიცვალა – ქართველები დაასაქმეს. საურთიერთობო ენა მეგრული და რუსულია. ქართული ენა აფხაზებისათვის ომის სინდრომათ არის მიჩნეული, მასზე მეისიერი რეაქცია აქვთ. შეიძლება არაფერი გითხრან, მაგრამ უსიტყვოდ მიგანიშნებენ, რომ ამ ენის მოსმენა უმძიმთ!..

გალის დაბალი ზონის სოფლებში, სადაც 4.000 მოზარდი სწავლობს, სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობს, გალში კი ორი რუსული სკოლიდან, მხოლოდ ერთში, ერთ საგნად ისწავლება ქართული. ეს ენა პრიორიტეტული არ არის და ბავშვებს შეუძლიათ ყველაზე სასხვათაშორისოდ სწორედ ქართული ენა ისწავლონ.

ქართველები და აფხაზები ერთმანეთის ლხინსა და ჭირს იზიარებენ. არ არსებობს შემთხვევა, რომ გალის ადმინისტრაციის უფროსი **ვახტანგ მაანი** (გააფხაზებული მარღანია) დაკრძალვაზე არ მივიდეს და ჭირისუფალს სამძიმარი არ უთხრას. ესეც ერთგვარი პოლიტიკაა და შერიგების პროცესს ხელს უწყობს".

ქეთევან ჩ. – "ქართველებით დასახლებული გალის რაიონი დღეს ყველაზე მდიდარი და შემოსავლიანია მთელ აფხაზეთში. მას აფხაზეთის "ბეღელსაც" უწოდებენ. გალის ბაზართან, რომელიც კვირაში სამი დღე (სამშაბათი, პარასკევი, კვირა) იმართება, აფხაზეთის ყველა ქალაქიდან ჩამოსულ ტრანსპორტს ნახავთ. აქედან ეზიდებიან თხილს, ციტრუსს, სიმინდს, სულგუნს. გალში დაბრუნებული ქართველების მოწეული მოსავლით და რძის პროდუქტებით იკვებება დღეს მთელი აფხაზეთი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ქალაქში ყველა ოჯახს ჰყავს, სხვაგვარად აქ ცხოვრება შეუძლებელია. სისხამ დილით, ოჯახის ჭიშკრებიდან გარეკილი პირუტყვი (რომელიც 5 კილომეტრით დაშორებული საძოვრისაკენ მიემართება) მოსახლეობისათვის გადამრჩენელი და ძირითადი საარსებო წყაროა.

გალში სასტიკად იკრძალება ქართულეტიკეტიანი საქონლის გაყიდვა. მეტიც. მასზე ჯარიმებია დაწესებული. თუ გამყიდველს ასეთ პროდუქტს უპოვნიან, აჯარიმებენ და ვაჭრობას უკრძალავენ. ამიტომ, მცირე ბიზნესით (ანუ წვრილი ვაჭრობით) დასაქმებული ხალხი ქართული წარმოების საქონლის გაყიდვისაგან თავს იკავებს. ერთადერთი, რასაც აფხაზები ვერ შეელიენ, ეს საქვეყნოდ განთქმული მინერალური წყალი **"ბორჯომია"**. იგი **"არალეგალურად"** საზღვარზე გადაპარული ერთ-ერთი ქართული პროდუქციაა. შეძლებული აფხაზები **"ბორჯომის"** მიმართ ნოსტალგიას საკუთარ თავსაც უმალავენ და მალულად (შავი პარკებით) დაატარებენ. ქართველთმოძულეობის სინდრომს ნაწილობრივ **"ბორჯომიც"** ანგრევს".

ციციონო გ. – "გალში ინფორმაციის წყარო ქართული და რუსული ტელეარხებია. ქართული ტელევიზიით მიწოდებული ინფორმაცია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების (ან ინციდენტების) თაობაზე იმდენად მახინჯდება, რომ იგი ხშირად ცეცხლზე ნავთს ასხამს. გაღმა საქართველოს რელურ სურათს ქართული ოპოზიციური გაზეთებიდან ვგებულობთ. არაპოპულარულია აფხაზეთის სამთავრობო ტელე-არხი, რომელსაც "ბადაფშის" ტელევიზიას, თავად ბადაფშს კი აფხაზეთის "რაიკომის მდივანს" უწოდებენ. საბჭოური მენტალიტეტით მოაზროვნე დე-ფაქტო ქვეყნის პრეზიდენტი ხშირად ხდება აფხაზეთის დამოუკიდებელი გაზეთების კრიტიკის ობიექტი".

ნოდარ ნ. – "მამამ მხოლოდ ხუთი წელი გაძლო უაფხაზეთოდ. გაზაფხულის მოსვლა აღიზიანებდა. მელენ ქიანა – ამოიოხრებდა და ყელში გორგალივით გაჩხერილ ცრემლს გადაყლაპავდა. მეექვსე გაზაფხულმა ენგურგაღმა გაიყოლია... მას შემდეგ უკან აღარ მოუხედავს. ჩემი გალში დაბრუნება დევნილის აუტანელი ყოფის და საკუთარი ადგილის ვერპოვნის გაპროტესტება იყო. მას შემდეგ შვიდი წელი გავიდა. დღეს ერთ-ერთ რუსულ სკოლაში ქართულს ვასწავლი. ესეც ჩემი პროტესტია! ისტორიულ სამურზაყანოს მიწაზე ახალგაზრდების ყოფნა მშობლიურ მიწაზე სიძლიერისა და გაუტეხელობის სიმბოლოდ მეჩვენება, რომელიც არა მარტო გაღმა, გამოღმა მყოფთაც გვჭირდება".

ციალა ბ. – "რუსეთის მხრიდან აღიარებით გამოწვეული ეიფორია თანდათან ქრება. ოპოზიციური აზრი ძლიერდება. 21 მაისს, რუსეთ-კავკასიის ომისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგის ჩაშლა და აფხაზი სამხედროების დათხოვნა ბადაფშის მითითებით მოხდა, რადგან რუსულ რეჟიმს ასე სურს და ასე უნდა! ერთადერთი, რაშიც დე-ფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტი პრინციპულია, ის არის, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწა არ იყიდება. ამ ეკონომიკური პოლიტიკის დამცველი ვიცე-პრეზიდენტი ანქვაბია. მასზე მოწყობილი ტერაქტის მიზეზიც მიწის გაუსხვისებლობაზე პრინციპული უარია.

აფხაზეთში რომ ქართველთა დაბრუნება შეუქცევადი პროცესია, ამას კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებიც ადასტურებს. ისე, როგორც ომისშემდგომ პერიოდში, გალში, კოდორის მოსახლეობაც ხეობისკენ იპარება, ბევრი იქ რჩება და მიტოვებული სახლ-კარის აღორძინებას იწყებს. რაც მეტი ქართველი დაბრუნდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მით მეტი შანსი ექნება საქართველოს მიტაცებული აფხაზეთის დასაბრუნებლად. კოდორელთა დაბრუნების დასაწყისი, გალის ქართულ მოსახლეობას იმედით გვავსებს. ისინი უკვე დასაქმდნენ კელასურიდან ხეობამდე მშენებარე გზის სარემონტო სამუშაოებზე. მთის ხალხში მეტია პატრიოტული მუხტი. კოდორი სხვა სიძლიერეა!"

ზაზა ბ. – "პენსიები 500 რუსული რუბლია, რაც ქართული ეროვნული ვალუტით 25 ლარს შეადგენს. შუქზე გადასახადი იმდენად მიზერულია, რომ ყველა ოჯახს მისი დიდი რაოდენობით მოხმარება შეუძლია. ჩვენს შვილებს აქ არც სცივათ და არც შიათ! ქუჩების კეთილმოწყობაზე, შიდა გზების მოასფალტებაზე, დამწვარი კორპუსების შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. გალის აფხაზური ადმინისტრაციისათვის ქართველებით დასახლებული რაიონი ფულის კეთების საუკეთესო საშუალებაა და ისინიც დროს არ კარგავენ.

ენგურის ხიდის გვერდის ავლით აფხაზეთში მხოლოდ განმუხურის ხიდით შედიან. ეს ერთადერთი გზაა, რომელსაც აფხაზი **"მესაზღვრეები"** რუსებს არ უთმობენ. აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ლილოს ბაზრობაზე მომავალი ხალხიც ამ გზით მოძრაობს. 500 რუსული რუბლის გადახდის შემდეგ არავინ გეკითხება თუ სად, რატომ და რისთვის მიდიხარ. ეს გზა აფხაზი **"მესაზღვრეებისათვის"** ყველაზე სარფიანია, ენგურიდან უსაბუთოდ გადაპარული ქართველებიც ამ გზით მოძრაობენ.

ორი ხალხის ნდობის აღდგენას აპოლიტიკური სპორტიც უწყობს ხელს. აფხაზეთის საფეხბურთო გუნდებს შორის საუკეთესოა გალის **"სამურზაყანო"**. ჩვენი მამაკაცები სოხუმში, მშენებლობებზეც არიან დასაქმებულნი, მაღალი ანაზღაურება ოჯახურ ბიუჯეტზე დადებითად აისახება. იხატება სურათი, რომ ქართველები და აფხაზები კვლავ ერთად ვართ".

წყვდიადში ნათლის გამობრწყინებას ჰგავს ოკუპირებულ აფხაზეთში ცად აღვლენილი ლოცვა ქართულად! მაშინ, როდესაც აფხაზები ქართულ ცნობიერებას დევნიან და იქაურ ქართველებს მშობლიურ ენად მეგრულის აღიარებას აძალებენ, უფლის სახლში ღვთის სადიდებელი ქართულ ენაზე ისმის. აფხაზი მღვდელის, მამა მათე ტუჟბას ქრისტიანული ღვაწლი იმაზე მიუთითებს, რომ იგი შინაგანად არ არის განდგომილი ქართული დედაეკლესიისაგან, მაგრამ გარეგნულად ამის გამოხატვა არ შეუძლია. შესაძლებელია მამა მათე აფხაზი სამღვდელოების იმ ნაწილს ეკუთვნოდეს, ვინც ენგურგაღმა შეფარულად, მაგრამ მაინც იხსენიებს საქართველოს პატრიარქს, ასევე შეფარულად იღებს კურთხევას და ამყარებს კავშირს ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავართან. თუ ასეა, აფხაზეთის მიწაზე მადლი სული წმინდისა მოქმედებს.

მამა მათეს უჩუმარი პროტესტი, ბუნებრივია, გამაღიზიანებელია დე-ფაქტო ხელისუფლებისათვის – გალის აფხაზური ადმინისტრაციის მუშაკთათვის, რომლებიც ჭუბურხინჯის ჩე-ოხვამეს სახელით ცნობილ წმინდა გიორგის სალოცავში არ დადიან, მაგრამ ბუნებით ქრისტიანნი ღვთის შიშით დუმან და ამ დუმილით მორჩილებენ მაღლა ღმერთსა და დაბლა – ღვთის კაცს.

მამა მათე ტუჟბა, ქადაგებაში, ომით გულნატკენ ხალხს ურთიერთშენდობისაკენ მოუწოდებს და აქცენტს მთავარზე – ქართველთა და აფხაზთა შორის მშვიდობასა და თანხმობაზე აკეთებს.

უფალო, გაამთლიანე საქართველო!

სვეტლანა კვიკვინია

ინათლებიან ქართველები



ჩვენი სტუმარია გაზეთი "გალი"

სასიხარულო გახლდათ ჩვენთან გალში გამომავალი გაზეთ **"გალის"** (მთავარი რედაქტორი ბატონ **ნუგზარ სალაყაია**) წარმომადგენლის ქალბატონ მაყვალა ჩოლარიას ჩამოსვლა. გაზეთი გამოდის აფხაზურ, რუსულ და მეგრულ ენებზე. ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ ამას წინათ **"გალმა"** გადაიხადა თავისი დაფუძვნების მე-15 წლისთავი. ქალბატონ მაყვალასთან ერთად შემუშავებული იქნა ერთობლივი ღონისძიებების პროექტი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სახალხო დიპლომატიის განვითარების პროცესებს და ერთმანეთს დააახლოებს აფხაზ და ქართველ ხალხს. ხშირად მოხდება ინფორმაციებისა და პუბლიკაციების გაცვლა ამ ორ გაზეთს შორის, რათა ენგურის ორივე მხარეს გაეღერდეს სიმართლე იმ დანაშაულებებზე, რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის ძმათამკვლელი ომის გაჩაღების საფუძვლად იქცა.

საკ. ინფ.

ლოცვა ქართველთა და აფხაზთა მშვიდობისა და ერთობისათვის!

ყოვლად წმინდაო, სამებაო, მამაო, ძეო და სულო წმინდაო, დიდება შენდა!

ღმერთო ძლიერო და კაცთმოყვარეო, დალოცე და დაიფარე ქართველთა და აფხაზთა მშვიდობა და ერთობა. უფალო, შეგვინდე ყოველნი უსჯულოებანი ჩვენნი. უპირველესად, მოგვიტევენ, უფალო, უნდობლობა და სიძულვილი, ძმათა სისხლისღვრა და შურისძიება, ძვირისხსენება და ბოროტი გულისსიტყვა. შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და აღგვიდგინე ურთიერთნდობა და სიყვარული, ურთიერთთავგანწირვა და მიმტევებლობა, ურთიერთპატივისცემა და ლოცვა ერთმანეთის დღეგრძელობისათვის.

განსაცდელი ესე ყოველი მოიწია, უფალო, ჩვენზედა უპირველესად შენგან და შენი წმიდა ეკლესიისაგან განშორებისა გამო. უფალო, დაგვიბრუნე მტკიცე და შეუორგულებელი სარწმუნოება, რათა შეწევნითა შენითა აღმართულნი და მადლობელნი შენნი გადიდებდეთ შენ, გაკურთხევდეთ შენ, გიგალობდეთ შენ და გევედრებოდეთ: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, შენ, ღმერთო ჩვენო ღმრთისმშობელისა მიერ შეგვიწყალენ ჩვენ!

ამინ!

ილორის ეროვნული ბიბლიოთეკა

"ილორის" კომენტარი – 2010 წლის 27 ოქტომბერს თბილისში მოხდა ამაზრზენი ფაქტი – უკვე მერამდენედ ლტოლვილად ქცეულმა, საქართველოს ხელისუფლების მიერ ბინაწართმეულმა და უფლებაშელახულმა ქალბატონმა ნელი ფიფიამ პროტესტის ნიშნად ნავთი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა. იგი მძიმე დამწვრობით მოათავსეს საავადმყოფოში და მისი გადარჩენა ჯერ კიდევ სათუოა.

ვფიქრობ, ხელისუფლების დანაშაულებრივი დამოკიდებულება როგორც ლტოლვილების, ისე მკვიდრ მოსახლეთა მიმართ, სხვა გზას არ უტოვებს სასოწარკვეთილებაში მყოფ ადამიანებს!

როდემდის?

დევნილები სტრასბურგის სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინ, უკვე მეხუთე დღეა, მომიტინგეთა ნაწილი შიმშილობს, მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, მაგრამ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას რატომღაც სამინისტრო სულაც არ **„ჩქარობს"**. ლტოლვილები საცხოვრებელი ფართების გამოყოფასა და დაკანონებას რეგისტრაციის ადგილებზე ითხოვენ.

ამ მიზნით სამინისტროსთან დაგეგმილია ბრიფინგი. თუ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, ლტოლვილები სასამართლოს მიმართავენ და სარჩელს სტრასბურგის სასამართლოში შეტანენ.

ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა

გთავაზობთ ნაწყვეტებს ბატონ ანზორ შონიას წიგნიდან



სხვათა შორის, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი გარემოება შეიმჩნევა: იწყება თუ არა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია კოლხეთის (ეგრისის) სამეფოდან, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ეჭვსგარეშეა, რომ ის საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია; მართალია კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს შემადგენლობაში აღმოსავლეთ საქართველო არ მოიზრება (თუმცა სრულებითაც არ არის გამორიცხული პირიქით ყოფილიყო), მიუხედავად ამისა, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში განვითარებული მოვლენების განზოგადება ზოგადქართული მასშტაბებით არ ხდება, და ეს მაშინ, როდესაც კოლხეთის (ეგრისის) სამეფოზე გაცილებით გვიან წარმოჩენილ იბერიის (ქართლის) სამეფოში განვითარებული მოვლენები ზოგადქართულ მოვლენებად აღიქმება და ცნება იბერიაში ხშირად დასავლეთ საქართველოს მოიაზრებენ.

ვფიქრობ, ეროვნული თვალსაზრისით გაცილებით მიზანშეწონილია, რომ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოც და იქ განვითარებული მოვლენებიც ზოგადქართული მნიშვნელობით განიხილებოდეს. სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება. ამავე დროს გარკვეული მოვლენები. რომლებიც კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში ხდება, გაცილებით ღირსეულად წარმოაჩენენ საქართველოს და ქართველ ხალხს კაცობრიობის ისტორიაში.

ამაზე მეტყველებს შემდეგი გარემოება: როგორც ცნობილია, იბერიის (ქართლის) სამეფოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად დადგენილია ჩვენი წელთაღრიცხვის 337 წელი. ეს მიეწერება კაპადოკიელ წმინდა ნინო განმანათლებელს. მართალია, ეს რაიმე ისტორიული წყაროთი არ დასტურდება, მაგრამ 337 წელი აღიარებულია სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად არა მარტო იბერიის (ქართლის) სამეფოში, არამედ მთელ საქართველოში, თუმცა იმ ეპოქაში საქართველო ერთიანი არ იყო და იბერიის (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოებიც ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ. ამავე დროს, დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის – ეგრისის სამეფოს გაქრისტიანების თარიღზე მეცნიერებში ერთიანი აზრი არ არსებობს. მათი უმრავლესობა ვარაუდობს, რომ იქ ქრისტიანული რელიგია გავრცელდა VI საუკუნეში, თუმცა არსებობს რეალური საფუძველი, რომ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში ქრისტიანული რელიგია გავრცელებული ყოფილიყო I-II საუკუნეებში, როდესაც იქ მოღვაწეობდნენ ქრისტეს მოციქულები ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, რაც უცხოური წყაროებიდანაცაა ცნობილი.

სიმონ კანანელი დაკრძალულია საქართველოში, ახალ ათონში, სადაც მისი სახელობის ტაძარია აშენებული. სამწუხაროდ, არ არსებობს წყარო, რომელიც ადასტურებდეს, იყო თუ არა კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში I-II საუკუნეებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეგრისის სამეფო იმყოფებოდა ქრისტიანული რომის გავლენის ქვეშ, სრულიად დასაშვებია, ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარებულიყო თუ პირველ საუკუნეში არა, მეორე საუკუნეში მაინც.

ისტორიიდან ცნობილია, რომ X საუკუნეში ბიზანტიის პატრიარქმა მოითხოვა, ქართული ეკლესია ისევ ბიზანტიის ეპარქიას დაბრუნებოდა, მაგრამ დიდმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა ღირსეულად დაუმტკიცა მას, რომ ეს არ იქნებოდა მართებული, ვინაიდან საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია იყო ბიზანტიის იმპერიის ჩამოყალიბებამდე, რისთვისაც მოიშველია ანდრია პირველწოდებულის და სიმონ კანანელის წარმატებული მოღვაწეობა ეგრისის სამეფოში.

ყოველ შემთხვევაში, 325 წელს პირველ მსოფლიო ქრისტიანულ კრებას ქ. ნიკეაში ესწრებოდა ორი ეპისკოპოსი ეგრისიდან – ფაზისისა და ბიჭვინთის, მაშინ, როდესაც იბერიის სამეფოში ჯერ კიდევ არ იყო დაკანონებული ქრისტიანული რელიგია. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ რადგან ეგრისის სამეფოში 325 წელს უკვე საეპისკოპოსოები არსებობდა, ქრისტიანული რელიგია სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული უნდა ყოფილიყო II საუკუნეში მაინც.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 1991 წელს ბერძნებმა ისევ დააყენეს ჩვენი ეკლესიის ბერძნულ ეკლესიასთან შეერთების საკითხი, მაგრამ ქართველმა მოღვაწეებმა ზემოთ აღნიშნული წყაროების საფუძველზე უარყვეს ეს წინადადება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეგრისის სამეფოში გაცილებით ადრე იყო ქრისტიანობა აღიარებული, ვიდრე იბერიის (ქართლის) სამეფოში. შესაბამისად, იბადება კითხვა: რამ განაპირობა, რომ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად დადგენილია იბერიის (ქართლის) სამეფოში ქრისტიანობის დაკანონების წელი (337წელი) მაშინ, როდესაც აქამდე არსებული წყაროები სრულ უფლებას იძლევიან საქართველოში ქრისტიანობის ქრონოლოგია დაწყებულ იქნას I-II საუკუნეებიდან, ეგრისის სამეფოში დიდი ქრისტიანი მოღვაწეების ქადაგებიდან? ქართველი მეცნიერების პასუხი, თითქოს ეს იმიტომ მოხდა, რომ იბერიის (ქართლის) სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იყო გამოცხადებული, ხოლო ეგრისის სამეფოში არა, ვფიქრობ, არასწორია, ვინაიდან გამორიცხულია ეგრისში საეპისკოპოსოები არსებულიყო, და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია არ ყოფილიყო.

ეჭვგარეშეა, თუ საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ეპოქად დადგენილი იქნებოდა I-II საუკუნეები, რასაც ვერავინ უარყოფდა, ეს უსათუოდ აამაღლებდა საქართველოს და ქართველი ხალხის ღირსებას ქრისტიანულ სამყაროში და ვერც სომხები გაბედავდნენ უტიფრად განეცხადებინათ, თითქოს ქრისტიანობა მათგან მივიღეთ.

ეს მოხდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ **"ქართლის ცხოვრებაში"**, რომელიც საქართველოს ისტორიას საფუძვლად დაედო, ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელებაზე არაფერია ნათქვამი; მეორეც, აშკარაა, რომ ქართველი მეცნიერები კანონზომიერად თვლიან იბერიის (ქართლის) სამეფოში განვითარებული მოვლენების მნიშვნელობა განავრცონ ზოგადქართულ სივრცეში, რასაც არ აკეთებენ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში განვითარებული მოვლენების მიმართ. ამას ერთ-ერთ უმძიმეს შეცდომად მივიჩნევ, მით უმეტეს, როდესაც კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს და კოლხებს (მეგრელებს) არანაკლები, თუ არა მეტი, როლი მიეკუთვნებათ საქართველოს ისტორიაში, ვიდრე იბერიის (ქართლის) სამეფოს და იბერებს (ქართლელებს). ვიმეორებ, ქართველი მეცნიერები **"ქართლის ცხოვრების"** გავლენის ქვეშ არიან, ან მართლაც ზოგადეროვნული ცნობიერების დეფიციტს განიცდიან, თორემ სხვა რით შეიძლება აიხსნას ის, რომ არჩევენ დაზარალდეს საქართველოს ისტორია, ვიდრე უპირატესობა მივცეთ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს და კოლხებს (ეგრებს), თუნდაც რელიგიის გავრცელების საკითხში, იბერიის (ქართლის) სამეფოსთან და იბერებთან (ქართლელებთან) შედარებით.

გაოგნდები, როდესაც ამჩნევ, რომ მეცნიერების ნაწილი არ ერიდება ასეთ მიდგომას საქართველოს ისტორიისადმი; მაგრამ არანაკლებ გასაკვირია, როცა ეს არც სხვა მეცნიერებაში იწვევს მოსალოდნელ რეაქციას. ამის ტიპიური მაგალითია გ. ყორანაშვილის ნარკვევი, რომელიც ზევით განვიხილეთ. მან თითქმის უარყო კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს წარსული, სახელმწიფოებრიობის არსებობა დასავლეთ საქართველოში, არათუ 3000 წლის წინათ, არამედ საერთოდ, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში; არაკეთილსინდისიერებაში დასდო ბრალი მსოფლიოში აღიარებულ ბერძენ სწავლულებს, როდესაც უნდობლობა გამოუცხადა მათ ცნობებს კოლხეთზე, არ მოერიდა შეურაცხყოფა მიეყენებინა კოლხების (ეგრების) მემკვიდრეებისათვის და თავისი **"ანალიტიკური"** უნარით გაეკეთებინა **"კომპეტენტური"** დასკვნა – ქართლმა უფრო დიდი როლი შეასრულა ქართული ცივილიზაციის **"უწინდელ განვითარებაში"**, თითქოს ამას რაიმე არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. ყოველად დაუშვებელია ქართლელებისა და მეგრელების ურთიერთდაპირისპირება; ეს აზრად მოუვა მხოლოდ იმ კაცს, რომლისთვისაც უცხოა ზოგადეროვნული ცნობიერება.

გ. ყორანაშვილი ხაზს უსვამს **"უწინდელ განვითარებას"**, – ალბათ, გულისხმობს ძველი წელთაღრიცხვის ეპოქას, ვინაიდან იბერიის სამეფოს წარმოქმნამდე (ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნე); აღმოსავლეთ საქართველოში არა თუ რაიმე ცივილიზაციის არსებობაზე არამედ მოსახლეობაზეც კი არავითარი წყარო არ არსებობს; ერთადერთია ჰეროდოტე, რომელიც წერს რომ ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხებს (ეგრებს) უკავიათო, რაც კატეგორიულად მიუღებელია გურამ ყორანაშვილის ცნობიერების მქონე პიროვნებისათვის, ვინაიდან ეს იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ქართველები ერთი ეთნოსის ხალხია და არა აქვს არსებითი მნიშვნელობა მათ იბერი (ქართლელი) ერქვათ თუ კოლხი (მეგრელი). ვფიქრობ, მის აღშფოთებას გამოიწვევს დიდებული პოეტის, ვაჟა ეგრისელის ლექსის ცნობილი სტრიქონი: **"უკოლხეთოდ კი საქართველო უწარსულოა!"** მეტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გურამ ყორანაშვილი, იბერიის (ქართლის) სამეფოს და იბერების (ქართლელების) როლის დაუფასებლობად, თითქმის პირად შეურაცხყოფად აღიქვამს ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ეპოქის აღიარებას.

სამწუხაროდ, ეტყობა, ყველა ეპოქას ჰყავდა თავისი გურამ ყორანაშვილი; სწორედ ამ ყორანაშვილების **"დამსახურება"** გახლავთ საქართველოში უაღრესად მავნე კუთხური ცნობიერების დამკვიდრება, განსაკუთრებით მეგრული კუთხურობის დამკვიდრება, განსაკუთრებით მეგრული კუთხურობის სინდრომის წარმოჩენა.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი გარემოება შეიმჩნევა: **"ქართლის ცხოვრების"** ავტორიდან დაწყებული, რომელმაც საერთოდ არ ახსენა კოლხეთი და კოლხები, თანამედროვე ისტორიკოსებით დამთავრებული, თავს არიდებენ საქართველოს ისტორიაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს როლის რეალურად წარმოჩენას და ქართველი ერის წინაშე კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს როლის რეალურად წარმოჩენას და ქვეყნის წინაშე კოლხების (მეგრელების) დამსახურების ღირსეულად დაფასებას.

ჩანს, ზოგიერთს აღიზიანებს ეგრისის სამეფოს მასშტაბურობა, იქ განვითარებული ისტორიული მოვლენების მნიშვნელობა ქართულ სინამდვილეში, თითქოს არსებობდეს საშიშროება, რომ მეგრელებს გარკვეული პრეტენზია გაუჩნდებათ. დადგენილია, რომ ეგრისის სამეფო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ტრაპიზონიდან ნიკოფსიამდე (დღევანდელი ტუაფსე) და აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე. მართალია ეს სადავო არ არის, მაგრამ როგორც კი ამას დაწერენ, უეჭველად იქვე აღნიშნავენ, რომ თავად ეგრისის სამეფო მდებარეობდა მდინარე რიონიდან მდინარე ეგრისამდე, თუმცა ზუსტად დადგენილი არ არის ეგრისი ენგურს ერქვა, ღალიძგას თუ კოდორს. ყოველ შემთხვევაში, ეგრისის სამეფოს, ფაქტობრივად, აიგივებენ ოდიშის საერისთავოსთან, რომელიც მოიცავდა დაახლოებით იმ ტერიტორიას, რომელიც დღევანდელ სამეგრელოს უკავია; იმ ტერიტორიასაც კი არ იმეტებენ, რომელიც სამეგრელოს ეკავა არა თუ XV საუკუნეში, როდესაც ეგრისის სამეფოში შედიოდა გურია-აჭარა, ლეჩხუმი, არამედ კომუნისტურ ეპოქამდეც კი, როდესაც მასში შედიოდა სამურზაყანო, ლეჩხუმი, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირი, საჭილაო და ხონი, რაც, ვფიქრობ, არასწორია. მიმაჩნია, რომ ეს არის ეგრისის სამეფოს დაკნინების შეგნებული მცდელობა, ვინაიდან ცნება ეგრისის გაცილებით ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს.

ასევე, საქართველოს ისტორიაში კოლხების (ეგრების) განსაკუთრებულ როლში დაეჭვებით მგონია განპირობებული მეცნიერებაში არსებული მოსაზრებები მათი ვინაობისა და სამეტყველო ენაზე. როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ტერიტორიაზე ბევრი სხვადასხვა ტომია დასახლებული, რომელთა მეთაურები ზოგიერთ უცხოურ წყაროებში მეფეებად მოიხსენიებიან, რაშიც უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ, ვინაიდან იმ ეპოქაში, არა თუ მნიშვნელოვანი დასახლება, არამედ ნებისმიერი საგვარეულოც კი თავს ერად მიიჩნევდა და თავის ტერიტორიას ქვეყნად. გაცილებით მეტი საფუძველია ისინი ერთი ხალხის ნაწილებად, ერთი ეთნოსის ტომებად მივიჩნიოთ, ხოლო მათი საცხოვრისი ერთი სამეფოს რიგით კუთხეებად, ვინაიდან ისინი სხვადასხვა სახელებით იწოდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ ამ სახელების მქონე სხვადასხვა კუთხეებში, როგორც საქართველოში საერთოდ იყო მიღებული.

მათი ეთნიკური შემადგენლობა და სამეტყველო ენა ზუსტად დადგენილი არ არის. მეცნიერები უფრო იმ აზრს ემხრობიან, რომ ისინი სხვადასხვა ეთნოსისა და ენის მქონე ტომები არიან, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ერთიანი ქართული ეთნოსის ჩამოყალიბებაში, მაშინ როდესაც, მათ სრული მორალური უფლება ჰქონდათ ეთქვათ, რომ ისინი საერთო ეთნოსისა და ენის მქონე ტომები არიან და მათი საერთო სახელია მეგრელი, ხოლო სამეტყველო ენა მეგრული, მით უმეტეს, ბერძნებმა სწორედ ეგრისის სამეფოს დაარქვეს კოლხეთის სამეფო და ეგრებს (მეგრელებს) კოლხები. თითქმის გამორიცხული იყო სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებისათვის ბერძნებს საერთო სახელი დაერქმიათ. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში დასახლებული ქვეყნებიდან თუ ტომებიდან ახალი წელთაღრიცხვის ეპოქას მხოლოდ ეგრისის სამეფო და მისი მკვიდრები ეგრები (მეგრელები) შემორჩნენ.

მიუხედავად ამისა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ასეთი ვარაუდი არცერთ მეცნიერს არ გამოუთქვამს; მეტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბატონმა რევაზ ბარამიძემ იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის დაწყება კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ეპოქიდან არასწორია, მთავარ არგუმენტად მოიტანა კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს საზღვრებისა და კოლხების (ეგრების) სამეტყველო ენის დაუდგენლობა, თითქოს არსებობდეს რაიმე მეცნიერული ღირებულების მქონე მქონე წყარო, რომელიც ცხადყოფდეს, რომ კოლხები მეგრელები არ არიან და კოლხების სამეტყველო ენა მეგრული არ იყო. სხვა თუ არაფერი, ყოფილ კოლხეთის (ეგრისის) ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს მცირე აზიიდან კავკასიის ქედამდე, ძირითადად მეგრული ტოპონომებია დღესაც შემორჩენილი.

(გაგრძელება იქნება)



სეიბეი ხიმელიოვი

ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **ჰოლანდ ჯაღაღანიასი**

სამაგიეროდ, 25 ივნისს სტალინის სამუშაო დღე გრძელდებოდა 24 საათის განმავლობაში. ამ დღეს მან 29 ადამიანი მიიღო!

26 ივნისს 10 საათისა და 35 წუთის განმავლობაში მიღებულ იქნა 24 ადამიანი, 27 ივნისს კი 10 საათის განმავლობაში ბელადმა მიიღო კვლავ 29 ადამიანი!

აი, ასე!

გენერალი გორკოვი ასკვნის:

"ვფიქრობ, რომ სტალინის გაუჩინარების საკითხი დიდი სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებში საბოლოოდ გარკვეულია, ვინაიდან კრემლში სტალინთან ვიზიტიორთა აღრიცხვის ჟურნალი არ გახლავთ კონიუნქტურული წყარო. ეს არის მკაცრად გასაიდუმლოებული დოკუმენტი, რომელიც არ გახლდათ განკუთვნილი პუბლიკაციისათვის და შეიძლება იმ ხალხზე ინფორმაციის უტყუარ წყაროდ იქნეს მიჩნეული, რომლებიც მაშინ სტალინთან მიდიოდნენ მიღებაზე".

იური გორკოვს ვერასგზით ვერ მივაკუთვნებთ **"სტალინისტთა"** რიგებს – მისი შეფასებები სტალინისა და ბერიას პიროვნულ თვისებებზე შორს სცდება ანტონოვ-ოვსეენკოს, ვოლკოგონოვისა და რაძინსკის კრიტიკულ შეფასებებს... მაგრამ, რაც შეეხება დოკუმენტებს, აქ უკვე გენერალმა შესაშური მონდომება გამოიჩინა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნით მას!

რაც შეეხება ჩვენს მიერ მოხმობილ **კრემლში, სტალინის კაბინეტში ვიზიტიორთა აღრიცხვის ჟურნალს,** მისი ჩანაწერები იწყება 1935 წლის 1 იანვარს და მთავრდება 1945 წლის 17 დეკემბერს. სამწუხაროდ, გენერალი გორკოვი არ ახდენს ამ ჟურნალის სრული ჩანაწერების ილუსტრირებას და მხოლოდ ამორჩევით აქვს გამომზიურებული იმ ადამიანების ვიზიტი, **"რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული საბჭოთა კავშირის თავდაცვის სისტემასთან და დიდი სამამულო ომის პერიოდის საბრძოლო მოქმედებებთან".** ამის გამო, ჩემი აზრით, ჟურნალიდან არ არის მოხმობილი ბერიასთან დაკავშირებული უამრავი ჩანაწერი.

21 ივნისის ჩანაწერი იწყება 18 საათსა და 27 წუთზე, როცა სტალინთან გამოცხადდა ვიაჩესლავ მოლოტოვი.

19 საათზე სტალინსა და მოლოტოვს შეუერთდნენ ვოროშილოვი, ბერია, მალენკოვი, ვოზნესენსკი, ტიმოშენკო, კუზნეცოვი.

20 საათსა და 15 წუთზე ტიმოშენკო და ვოზნესენსკი წავიდნენ, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ტიმოშენკო დაბრუნდა ჟუკოვსა და ბუდიონისთან ერთად, რომელთაც სტალინის კაბინეტში დაყვეს საათნახევარი... მკვლევარები თვლიან, რომ ამ დროს განიხილებოდა დირექტივა №1, მაგრამ, რადაც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში **"განიხილებოდა"** ეს 20-სტრიქონიანი მოკლე დოკუმენტი... თათბირის მონაწილენი ხომ მანამდეც განიხილავდნენ თათბირზე ამ საკითხს, თითქმის საათნახევრის განმავლობაში...

ასეა თუ ისე, 1941 წლის 21 ივნისს, ღამის 22 საათისა და 20 წუთის შემდეგ სტალინის კაბინეტში რჩებოდა სამი ადამიანი: მოლოტოვი, ვოროშილოვი და ბერია. მალე ბერიამ ისინი დასტოვა და 22 საათსა და 40 წუთზე კვლავ დაბრუნდა სტალინის კაბინეტში.

23 საათზე ბერია, მოლოტოვი და ვოროშილოვი წავიდნენ და სტალინი მარტო დარჩა. როგორც ჩანს, იგი უკვე დარწმუნდა, რომ ჩვენი სამხედროების მიერ ეს დირექტივა საკმაოდ ცუდად იყო შემუშავებული. მაგრამ ახლა მას უკვე არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო, თუმცა, დასვენება აუცილებელი იყო. შემდეგი დღე დიდ სამუშაოსა და თავსატეხს ჰპირდებოდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას.

სავარაუდოა, რომ იმ ღამეს დაისვენა ლავრენტი ბერიამაც, რადგან მისი შემდგომი სამუშაო გრაფიკი იყო უაღრესად ძნელი და შემჭიდროებული.

1941 წლის 22 ივნისი დაიწყო იმით, რომ დილის 5 საათსა და 45 წუთზე სტალინთან კაბინეტში მივიდნენ მოლოტოვი, ბერია, ტიმოშენკო, მეხლისი და ჟუკოვი. 7 საათსა და 30 წუთზე მოვიდა მალენკოვი და იგი 9 საათსა და 20 წუთზე ბერიასთან ერთად წავიდა. მაგრამ დღის თორმეტის ნახევარზე, როცა სტალინთან მხოლოდ მოლოტოვი იმყოფებოდა, ისინი კვლავ დაბრუნდნენ. აქამდეც საქმით ერთმანეთთან დაკავშირებული მალენკოვი და ბერია განუყრელები დარჩებიან შემდგომი 12 წლის განმავლობაში – 1953 წლის 26 ივნისამდე – ბერიას დაპატიმრებამდე.

რაც შეეხება სტალინის დაძაბულ სამუშაო რეჟიმს, რაც გრძელდებოდა მანამდე რუსეთისათვის არნახულად მძიმე 1418 დღეს, იგი ომის დაწყების პირველ პერიოდში გამოიყურება ასე:

მოლოტოვი	5.45 – 12.05
ბერია	**5.45 – 9.20**
ტიმოშენკო	5.45 – 8.30
მეხლისი	5.45 – 8.30
ჟუკოვი	5.45 – 8.30
მალენკოვი	7.30 – 9.20
მიქოიანი	7.55 – 9.30
კაგანოვიჩი	8.00 – 9.35
ვოროშილოვი	8.00 – 10.15
კუზნეცოვი(ცკ)	8.25 – 8.30
დიმიტროვი	– 8.40 – 10.40
მანუილსკი	8.40 – 10.40
კუზნეცოვი	9.40 – 10.20
მიქოიანი	9.50 – 10.30
მოლოტოვი	11.30 – 12.00
ვოროშილოვი	11.30 – 12.00
ბერია	**11.40 – 12.05**
მალენკოვი	12.30 – 16.45
ვოროშილოვი	12.30 – 14.30
მიქოიანი	12.55 – 16.45
ვიშინსკი	13.05 – 16.25
შაპოშნიკოვი	13.15 – 16.00
ტიმოშენკო	14.00 – 16.00
ჟუკოვი	14.00 – 16.00
ვატუტინი	14.00 – 16.00
კუზნეცოვი	15.20 – 15.45
კულიკი	15.30 – 16.00
ბერია	**16.25 – 16.45**

შევნიშნავთ: მშვიდობის უკანასკნელ დღეს და ომის პირველ დღეს, ვინც გამოვიდა სტალინის კაბინეტიდან, ეს იყო ლავრენტი ბერია. იგი კვლავ გამოჩნდა სტალინის კაბინეტში 23 ივნისს, ომის დაწყებიდან ზუსტად ერთი დღის შემდეგ და კვლავ 20 წუთი დაჰყო ბელადის კაბინეტში.

ამავე დღეს – 23 ივნისს ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარბანაკი და ბერია გახდა ამ ბანაკის ერთ-ერთი მუდმივი მრჩეველი. მთავარბანაკის შემადგენლობაში სულ შედიოდა 12 ადამიანი: მარშალი კულიკი, მერეცკოვი, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ჟიგარევი, ვატუტინი, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უფროსი ვორონოვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი, ვოზნესენსკი, ჟდანოვი, მალენკოვი, მეხლისი და ბერია.

23 ივნისის შუადამეს ბერიამ სტალინის კაბინეტში დაჰყო ერთ საათზე მეტი, შემდეგ დღეებში კი ხან სამი საათის განმავლობაში იმყოფებოდა მიღებაზე სტალინთან, ხან ერთი საათის, ხანაც კი ოცი წუთის განმავლობაში.

სტალინის კაბინეტი ამ დროისათვის ოკეანის ქარიშხლიან სანაპიროს ჰგავდა: მას ტალღებად აწყდებოდნენ ადამიანები და შემდეგ კვლავ უკან მიიქცეოდნენ ომის შუაგულისაკენ. სხვათა შორის, სტალინმა 24 ივნისს იმის დროც კი გამონახა, რომ მიეღო საბჭოთა მფრინავი-გამომცდელი სტეფანე სუპრუნი, რომელიც მასთან მიღებაზე ჩაეწერა 23 ივნისს. სუპრუნი, მართალია საკმაოდ სახელგანთქმული, მაგრამ მაინც ერთ-ერთი რიგითი სამხედრო მოსამსახურე გახლდათ. სტალინმა არა მხოლოდ მიიღო იგი, არამედ მოიწონა სტეფანე სუპრუნის იდეა საბჭოთა მფრინავი-გამომცდელებისაგან საგანგებო საავიაციო პოლკის ჩამოყალიბების თაობაზე.

და ყოველივე ამის შესახებ ჩვენ გვაუწყებენ არა მემუარისტები, არამედ გვამცნობს ჟურნალი-დოკუმენტი, საკმაოდ მშრალი ჩანაწერებით (გვარი, თარიღი, დრო; გვარი, თარიღი, დრო;)...

ამრიგად, საკმარისია გადავფურცლოთ კრემლში მიღების სარეგისტრაციო ჟურნალი და წამსვე ირღვევა ბინძური ცილისწამება იმის თაობაზე, თითქოს სტალინმა **"ლოთობას გადააყოლა თავი"** დიდი სამამულო ომის დაწყების წინა დღეებში.

თუმცა, საძრახისი არ იქნებოდა დარდის ჩასახშობად ერთი ჭიქის გადაკვრა იმ ადამიანისათვის, რომელმაც დაინახა, თუ როგორ უორგულეს რუსეთს იმ საბჭოთა სამხედროებმა, ვისი ყველაზე დიდი იმედი ჰქონდა სამშობლოსა და ბელადს! განა მათთვის არ ზრუნავდა სამშობლო და სტალინი, განა მათ არ აწვდიდნენ იმ დროისათვის უახლეს შეიარაღებას, ღირსეულ და სათანადოდ მომზადებულ კადრებს. მუდმივად ზრუნავდა რა საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების აღორძინებაზე, სტალინი არაფერს არ იშურებდა მათთვის!

მათ კი...

დიახ, ბევრ რამეს ეფინება ნათელი დოკუმენტების ანალიზის შედეგად. და მაშინ თვალნათელი ხდება, რომ ტყუილს მართლაც მოკლე ფეხი აქვს. ტყუილს, რომელიც მიაკერეს სტალინს, მიაკერეს ბერიას...

შესაძლებელია, მკითხველს ამგვარი შეკითხვა უბურღავდეს ტვინს: **"ნუთუ მართლაც ასე ტოტალურად ახვევდნენ ლავრენტი ბერიას სახელს სიცრუის კორიანტელში? იგი რა, მართლაც ყოველმხრივ ღირსებით შემკული ადამიანია და არა საძაგელი მონსტრი? შეიძლება ვირწმუნოთ იგი მართლაც შესანიშნავი ორგანიზატორი იყო, მაგრამ ხელები ხომ სისხლში აქვს გასვრილი?".**

რა უნდა ვთქვათ აქ...

სისხლში?

როდის?

მაშინ, როცა ბერია სსრკ შინსახკომს ჩაუდგა სათავეში, რეპრესიათა მასშტაბი შემცირდა იმ დონემდე, რაც დონეზეც აქვს იგი ნებისმიერ სახელმწიფოს თავისი ისტორიის მწვავე პერიოდში.

ომის დაწყებამ განაპირობა სისხლისღვრის აუცილებლობა. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ბერია საერთოდ ჩამოსცილდა სსრკ შინსახკომის სისტემას 1953 წლის მარტამდე.

1953 წლის მარტში, როცა იგი კვლავ ჩაუდგა სათავეში სსრკ შინსახკომს, დაიწყო რეაბილიტაციისა და ამნისტიის ახალი ტალღა. ამიტომ, გეკითხებით: სად არის აქ სისხლი?

რეპრესიების პერიოდის საქართველო? მაგრამ იგი საქართველოშიც ხომ მინიმალური გახლდათ, ხოლო ყველა **"ძველი ბოლშევიკის"** მონათხრობი **"სადისტ"** ბერიას თაობაზე იმ ქადალდის ფასადაც კი არ ღირს, რომელზედაც იგი სწერია. მე უკვე ვთქვი ამის თაობაზე და მკითხველს, თავის დროზე, დამატებით ინფორმაციას მივაწვდი.

და კიდევ, აი, რა. არ ხდება ისე, რომ ადამიანი მუდმივ მზრუნველობას იჩენდეს სხვა ადამიანების მიმართ და შემდეგ უცებ გადაიქცეს სისხლისმსმელ ჯალათად! და თუ ვინმე შინაგანად ლპება, ეს განსაკუთრებულ გამოხატულებას ჰპოვებს მაშინ, როცა იგი სახელისუფლებო ძალაუფლებას მოიპოვებს! განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ძალაუფლება ვრცელდება მილიონობით ადამიანებზე. *აი, სწორედ მაშინ იწყება სატანის ძეობა!*

ბერიამ კი, მოიპოვა რა საქართველოს უმაღლესი მმართველის თანამდებობა, წამსვე მიაქცია ყურადღება მის წინამორბედთა **"გადახრებს"** კოლექტივიზაციის საქმეში და დაარწმუნა თანამებრძოლები, რომ მხოლოდ ეკონომიკური აღმავლობით შეიძლება სიღატაკის დაძლევა... თავისი წინამორბედებისაგან განსახვავებით მან დიდი ყურადღება დაუთმო ქვეყანაში განათლების დონის ამაღლების საქმეს, რადგან კარგად იცოდა, რომ სახალხო მეურნეობის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ სათანადოდ მომზადებული კადრების საქმეში ჩართვით. ასევე, თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, მიზნად დაისახა საქართველოს დედაქალაქის აღმშენებლობა და თავად მუშაობდა იმ პროექტებზე, რომელიც საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფდა უბრალო მშრომელებს. იგი ერიდებიდა ყოველგვარ პომპეზურობას და არაფერს აკეთებდა საკუთარი სახელის განდიდებისათვის... და რაც მთავარია, მან საქართველო აქცია საბჭოთა კავშირის მშრომელთა ჯანმრთელობის კერად...

და უცებ, თუ **"მემუარისტებს"** ვენდობით, იგი გადაიქცა დაუნდობელ მხეცად, რომელიც თანამოქალაქეებს ჩანგლით თვალებს თხრის და სამწვადე შამფურს უყრის ყურებში! თუმცა, ობიექტური ანალიზი სულ სხვა რამეზე მეტყველებს...

არა, ბერიას არასოდეს მოსცხებია ხელზე უდანაშაულო ადამიანების სისხლი, რადგან მან კარგად იცოდა იმ სისხლის ფასი, რომელსაც თავად ღვრიდა საქმისათვის, იმ საქმისათვის, რომელსაც თვითონ ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა.

მაშ, რომელ სისხლზეა საუბარი? იქნებ იმაზე, რომელიც ბერიას დამორჩილებულ შინსახკომის საგანგებო დავალებათა რაზმებზე ირიცხება? ან იქნებ **"ხალხთა იძულებითი დეპორტაციისას"** დაღვრილ სისხლზე? მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, მოგვიანებით შინსახკომის საგანგებო დავალებათა რაზმებზეც ვისაუბრებთ და ხალხთა იძულებით დეპორტაციაზეც...

მაგრამ, უნდა ვაღიარო... ჩვენ უახლეს ისტორიაზე სტყუოდნენ და სტყუიან იმდენს, რომ ამ ტოტალური სიცრუის დაჯერება მარტივი საქმე არ გახლავთ. თვით მე, წიგნის ავტორსაც კი მიჩნდება შეკითხვა: **"ნუთუ ასე ერთხმად და "მეგობრულად" ტყუიან ყველანი ბერიას პიროვნების თაობაზე"?**

კარგით, გასაგებია, რომ ამას აკეთებენ გაბოროტებული ანტონოვ-ოვსეენკო... ან, პოლიტბიუროს **"გავლენის აგენტი"** იაკოვლევი და **"გენერალი"** ვოლკოგონოვი, პასკვილების დიდოსტატი რაძინსკი... ან, ჭკუიდან გადასული ხრუშჩოველი **"ძველი ბოლშევიკები"** სნეგოვი, ღორა ლაზურკინა და მათი მსგავსნი...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეთნიკური სახელწოდებების ქართი-ს, მეგრელი-ს, იბერი-ს ეტიმოლოგიის შესახებ და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პრობლემა

მეცნიერებისათვის დღემდე გაურკვეველია ქართველური ტომების ეთნიკურ-ტომობრივი სახელწოდებების სვანის, ქართის, მეგრელის და ჩვენი უძველესი წინაპრის იბერის წარმომავლობა. აქ წარმოვადგენთ საკუთარ შეხედულებას, ვარაუდს ეთნიკური სახელწოდებების **ქართი**-ს, **მეგრელი**-ს და **იბერი**-ს წარმოშობის შესაძლო მექანიზმებზე. ეთნიკური სახელწოდების **ქართი** წარმომავლობას სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად ხსნის.

ცნობილი ქართველი მეცნიერი მიხაკო წერეთელი თავის წიგნში **„ერი და კაცობრიობა“** (თბ., 1990, გვ. 245) აღნიშნავს: **„იყო ერთი ტომი, მეგრულ-ლაზური, რომელსაც ერქვა კარდუხი, – რაც ქართუხი-ს უდრის. ამ „ქართუ“-დან (მეგრულად – ქორთუ) წარმოსდგა სიტყვა ქართველი, რომელიც სახელწოდება შეიქმნა შემდგომ ყველა ქართველთა. ამგვარად მტკიცდება ერთობა ჭან-მეგრელთა და ქართლელთა შორისაც“.**

მაგრამ **„ქართუ“**-ც და **„ქორთუც“**-ც, ორივე მეგრული სიტყვაა და შინაარსობრივად სხვადასხვა მნიშვნელობისანი არიან, თუმცა, ორივე **„ქართლელი“**-ს ეთნიკური სახელწოდების გამომხატველია, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბევრი სამუშაო აქვს შესრულებული პროფესორ გურამ ბედოშვილს ეთნიკური ტერმინის **„ქართი“** შესასწავლად, მაგრამ მისი არსი, საბოლოოდ, მაინც გაურკვეველი რჩება.

„ქართ(//ქართ-უ-//-ქართ-ვ-) ძირის მნიშვნელობა, ისევე როგორც სხვა არაერთი ქართული ეთნონიმისა (კახ-ი, ფშავ-ი, მესხი, თუშ-ი, სვან-ი, ლაზ-ი, შავშ-ი, კლარჯ-ი...) დღესდღეობით გაურკვეველი შინაარსის ერთეულად უნდა მივიჩნიოთ. ერთი რამ აშკარაა: სახელწოდება ქართლ-ი ქართული ენობრივი სამყაროს პირმშოა და მას აღმოსავლური (resp. თურქული) წარმოშობის карда//карта// гард//гордум-(город)... სიტყვებთან საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდეს“ (გურამ ბედოშვილი, ქართულ ტოპონომთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2002, გვ. 246).

აბსოლუტურად ვეთანხმებით ბ-ნ გ. ბედოშვილს, რომ სახელწოდება **ქართლ**-ი **„ქართველური ენობრივი სამყაროს პირმშოა“** და რის საფუძველზე, ქვემოთ მოგახსენებთ.

ბ-ნმა ლევან ჯინჯიხაძემ **„საქართველოს“** და **„ქართველის“** ეტიმოლოგიას სპეციალური შრომა მიუძღვნა. იგი მეგრულ „ქორთუ“-ს ორ ნაწილად ყოფს და პირველ ნაწილს („ქორ“) სვანურ „ქორ“-ს, შუმერულ „ქურ“-ს და მეგრულ „ხორ“-ს თანამედროვე ქართული „სახლი“-ს მნიშვნელობის მატარებელ, პროტოქართული ენის დიალექტურ ფორმებად მიიჩნევს და განმარტავს:

„აშკარაა და ნათელი რომ ტერმინის, თუ სახელწოდების ფუძე არის ქარ, ქურ და ქორ და არა ქართ, ქურთ, ქორთ. თი(თუ, თე) – რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილია, რომელიც ორგანულადაა მიერთებული პირველზე. თ-ი სიტყვას შუმერულ, მეგრულსა და სვანურში თავთავისი მნიშვნელობა გააჩნია. თუმცა ეს მნიშვნელობები ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგას.

შუმერულ ენაში **“თი”** სიცოცხლის მიცემას, შობას ცხოვრებას ნიშნავს, **“თუ”**(თურ, თულ) – შობას, დაბადებას, წიაღს, სახლს ანუ ბოსელს და მითის თანახმად, ღვთიურობის გამომხატველია, ვინაიდან აქ მზე-ღმერთი იბადება. მეგრული ენის მარტვილურ დიალექტში მოგვეპოვება სიტყვა **თი** და მისი მნიშნელობაა—სახლი, ოჯახი. დოც. ლ. ფაჩულიას შენიშვნით **თი** ლაზურშიცაა და აღნიშნავს „თავს“. იხმარება მეგრული „დუდის“ პარალელურად. ი. ყიფშიძის მიხედვით თი არის „семья. двор. род“. საგულისხმო ფაქტია ისიც რომ მეგრული თურ-ი (ტურ-ი), რომელიც ძის, შვილის, შთამომავლის მემკვიდრის, ჯილაგის აღმნიშვნელი სიტყვაა, **თი**-სთან ერთად ერთგვარად უახლოვდება, როგორც შუმერულ **თი**-ს, ასევე **თურ**-ს(თულ, თუ), ფაქტობრივად მათი მნიშვნელობები ერთიდაიგივეა. შესაძლოა ქარ-თუ-ს (ქორ-თუ-ს) სრული ფორმა ყოფილიყო ქარ-თური (ქორ-თუ-რი), მსგავსად შუმერული ნინ-თურისა („ქალბატონი შობისა“), მაშინ ჩვენ გვექნება, ქარ-თუ-რი (ქორ-თუ-რი), ანუ „სახლი შობისა“. გამორიცხული არაა, აქედან მომდინარეობდეს სიტყვები: ქარ-თუ-ლი და მეგრული ქორ-თუ-ლი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ სახელი **ნინ-თური** მეორენაირადაც წარმოითქმის: **ნინ-თი** ან **ნინ-თუ** და იგივე მნიშვნელობისაა: **„ქალბატონი შობისა“.**

ამდენად, აქედან გამომდინარე, როგორადაც არ უნდა წარმოვთქვათ **ქარ-თი**, **ქარ-თუ**, **ქორ-თი**, **ქორ-თუ** – მნიშვნელობა ერთია **„სახლი შობისა“**.

...შუმერული **თი** და ქართული **თი-თი** ერთიდაიმავე მნიშვნელობისაა მხოლოდ თითის ე.ი. ნეკნი, ნეკის გაგებით. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ქართულ **თი**-ს (თით-ს) დაკარგული აქვს მეორე მნიშვნელობა— სიცოცხლის მიცემა.

სვანური ენის ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტებში გვაქვს შემდეგი სიტყვები: **თე**, **ლი-თნე**, **ლი-თუალ** (**ლი-თი**, **ლი-თუ-ე**), **ლი-რდე**. აქედან პირველი სიტყვა **თე** თვალს აღნიშნავს, შემდეგი ორი სიტყვა **ლი-თნე**, **ლი-თუალ**-შობას, დაბადებას, ხოლო მესამე **ლი-რდე**-ცხოვრებას. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყველა დასახელებული სიტყვა შუმერული, ზანური(მეგრული) და სვანური ფაქტობრივად ერთსადაიმავე ცნებას გამოხატავს. თვალი იგივე მზეა, მზის სიმბოლოა როგორც შუმერულ ასევე ქართულ მითოლოგიებში. ე.ი. აქ მოცემულია ღვთის სახლში – ქორ-ში თვალის ანუ მზის როგორც ჩასახვა, ასევე შობა-გამობრწყინება.

...**კარდუ**, **ქარდუ**, **ქართუ**, **ქართი**, **ქორთუ**, **ქორთი**, **ქალდუ**, **ქალდე-ა** (**ქალთუ**, **ქალთე-ა**), **ხალდუ** (**ხალდე-ა**, **ხალდი-ა**) ერთდროულად ნიშნავს, როგორც ღვთის სახლში შობილს და მლოცველს, ასევე ქართველსაც.

...სიტყვა „ქართული“ ლათინურ ენაზე ნიშნავს „წერილს“, ხოლო „ქართველი“ „წერილის ანუ ჭეშმარიტი სიტყვის აღმსრულებელს“. შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ლათინურ ენას ყოველივე ეს შეთვისებული აქვს ჯერ კიდევ ძველ დროში ქართულიდან, რომელიც ქართულმა ენამ დაივიწყა, ხოლო ლათინურმა შემოგვინახა. ამით კიდევ ერთხელ მჟღავნდება ის დიდი საიდუმლო, რომელიც დააკისრა უფალმა ქართველ ერს კაცობრიობის წინაშე. სიტყვა „ქართველი“ არა მხოლოდ ეთნიკურ-ტომობრივი კუთვნილების აღმნიშვნელი ტერმინია, არამედ უპირველესად, კაცთა მოდგმის განვითარების უმაღლეს სულიერ საფეხურზე მდგართა რანგის გამომხატველი“(იხ. ლევან ჯინჯიხაძე, „საქართველოს“ და „ქართველის“ ეტიმოლოგიისათვის, გამომცემლობა „ზანი“, თბ., 2006, გვ. 22-26).

როგორც ამ ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, ავტორს დიდი შრომა გაუწევია პრობლემის კვალიფიციური მეცნიერული გადაწყვეტისათვის.

იცოცხლე! ყველაფერი ეს კარგია და სასიამოვნო, თუ ის ჭეშმარიტებაა, მაგრამ, ცხადია აღიარებული ჭეშმარიტებანიც:

1. ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ძლიერი ქვეყნის ენის ლექსიკა ბევრად უფრო ადვილად შემოდის და მკვიდრდება შედარებით ნაკლებძლიერი ქვეყნის ენაში, ხოლო, პირიქით, ძალზე იშვიათად;

2. ლათინების ზეობის ხანაში ქართის ტომი იბერებს ემორჩილებოდა და არ იყო ისე წარმატებული, რომ მისგან ლათინებს გაემდიდრებინათ თავიანთი ენის ლექსიკური ფონდი. პირიქით, ს.ს. ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ ნათლად ჩანს ლათინური ენის უდიდესი გავლენა ქართულ ლექსიკაზე; უფრო მეტი, შეიძლება ითქვას, ლათინურ ენას საგრძნობი წვლილი მიუძღვის მის ეთნიკურ-ტომობრივ ენად ჩამოყალიბებაში [არის ერთი ჯგუფის ავტორთა აზრი, რომ ქართლური დიალექტი წარმოშობილია იბერიული ენის ლაზური დიალექტისა და ლათინურის შეჯერებით, სინთეზირებით (ჯ. კაკულია), მაგრამ რამდენად სწორია ეს აზრი, ჯერ კიდევ, კვლევის საგანია]. პროტოქართული ენის უდიდესი გავლენა კი ნათელია ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ენებზე, მათ შორის ლათინურზეც, რაც კარგად ჩანს პროფ. აკაკი ურუშაძის ფუნდამენტურ შრომაში „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ და აკად. რისმაგ გორდეზიანის შრომებში „წინაბერძნული და ქართველური“, „ეტრუსკული და ქართველური“ და სხვ. მაგრამ იმ ხანაში ქართლური დიალექტი საერთოდ არ იყო ჩამოყალიბებული.

3. ფაქტია, რომ ქართველურმა ტომებმა ეთნიკურ-ტომობრივი სახელწოდება მიიღეს პროტოქართულ (ჩვენი აზრით, იბერიულ) ენაზე მეტყველი ხალხის ტომებად დაშლის შემდეგ და ერთიანი ენისა და ხალხთა დაშლა ტომობრივ ენებად და ტომებად, არათუ „კაცთა მოდგმის განვითარების უმაღლეს სულიერ საფეხურზე მდგართა რანგის გამომხატველია“ არამედ, სამწუხაროდ, ამ ხალხთა საერთო ძლიერების ნგრევაზე და დეკადანსზე მეტყველებს.

ამიტომ, რამდენადაც მტკივნეული არ იყოს, საეჭვოდ მიგვაჩნია ეთნიკურ-ტომობრივი სახელწოდების **ქართი**-ს წარმომავლობას ღვთიური სულიერება და მაღალკულტურული საწყისი ედოს საფუძვლად. ხოლო რაც შეეხება ქართული და ლათინური სიტყვების ფონეტიკური შედგენილობის თანხვედრილობას, რომ **ქართული** ლათინურად **წერილს** ნიშნავდეს, მოგონილია დ. მაისაშვილის მიერ (იხ. ლევან ჯინჯიხაძე, „საქართველოს“ და „ქართველის“ ეტიმოლოგიისათვის, გ-ბა „ზანი“, თბ. 2006, გვ. 7) თორემ **chartula** („ჩარტულა“, თუ „ხარტულა“) და არავითარ შემთხვევაში **qartula** (ასეთი სიტყვა არც ლათინურ-ქართულ და არც ლათინურ-რუსულ ლექსიკონშია), **წერილს** კი არა **ჩანაწერს** ნიშნავს და თუნდაც ზუსტი თანხვედრილობა იყოს, და ასეთი მრავალი მაგალითია სხვადასხვა ენაში, მაგრამ მათ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ და, ამდენად, ეს ბევრს არაფერს გვეუბნება; მაგ., მამაკაცის სარცხვენელი ასოს რუსული სახელწოდება, თურმე, მისასალმებელ სიტყვა **გამარჯობა**-ს ნიშნავს ჰოლანდიურად. სხვა საკითხია თუ ერთიდაიმავე ბგერითი შედგენილობის სიტყვები სხვადასხვა ენაშიც ერთნაირი მნიშვნელობისანი არიან, ხოლო თუ ლათინურ ენაში ქართული ენის ტერმინი არსებობს სულ სხვა მნიშვნელობით, ვიდრე ეს ქართულ ენაშია გამოყენებული, ვერ ვიტყვით, რომ იგი ლათინურს ქართული ენისგან ჰქონდეს აღებული და, ჩვენდა საბედნიეროდ შემონახული, რადგან ქართულის აშკარად წინარე ენაში მეგრულში (იბერიულში) ის სულ სხვა მნიშვნელობით გამოიყენება.

ამდენად, ბ-ნი ლევან ჯინჯიხაძის დასკვნების პრინციპულ დებულებად მიღება, ალბათ, გაჭირდება.

როცა არ არსებობს ზემოაღნიშნული ეთნიკური სახელწოდებების მატარებელ ტერმინთა წარმომავლობის დამადასტურებელი, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპული დასკვნები, მოყვარული მკვლევარნიც ცდილობენ თქვან თავიანთი სიტყვა და უპოვონ საკუთარ სურვილებს და ინტერესებს დაქვემდებარებული ახსნა-განმარტებები. ასე, მაგალითად ერთი ფრიად კოლორიტული პიროვნების აზრით, კართაგენს, გადაკეთებულია თორემ, თავიდან **ქართთაგენი** ერქვა და იქაური მკვიდრნი ქართული გენისა (ქართველები) იყვნენო. ასევე, ამ საპატივმცემლო პიროვნებას მიაჩნია, რომ ტერმინი **ქართველი** მომდინარეობს **ქართა (ქარების) ველი**-დან, ხოლო ტერმინი **საქართველო** წარმოადგენს სამი სიტყვის კომპოზიტს და წარმომდგარია **სამი ქართა ველი**-დან. მაგრამ, თუნდაც, აშკარა გულუბრყვილო აზრი რომ არ იყოს, ასე მარტივად ვერ გადაწყდება ეს საკითხი, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოში, ძირითადად, ორი მიმართულების, დასავლეთის და აღმოსავლეთის, ქარია გაბატონებული, ხოლო მრავალი სხვადასხვა მიმართულებით თუ დაიქროლებს ნიავი, მათი გაბატონებული ქარის რანგში აყვანა, ცოტა გაზვიადებულია; მეორეც, არავითარი საფუძველი არ არსებობს ტერმინი **ქართველი** და ქართული ეთნოსი **ქარ-ბორიოს** დავუკავშიროთ. ასეთი სუსტი არგუმენტებით ჩვენი წარმომავლობის ახსნა, ზოგი არმენი მეცნიერებისადმი მიბაძვა გამოგვივა და საფუძვლიან დებულებად ვერ გამოდგება.

მეტად საყურადღებოა აკად. რისმაგ გორდეზიანის გამოკვლევები ქართველთა და ბერძენთა ურთიერთობის შესახებ და, მათ შორის ერთი ასეთი დასკვნა:

„...ბერძნულ წყაროთა მონაცემები სხვადასხვა ეგეოსურ გადმოსახლებათა შესახებ კავკასიაში გვიან ბრინჯაოს ხანის განმავლობაში სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს. როგორც ჩანს, სხვა ფაქტორებთან ერთად სწორედ მათი შედეგი იყო ქართველურ ენათა საბოლოო დიფერენციაცია“(იხ. რისმაგ გორდეზიანი, **“წინაბერძნული და ქართველური”**, თსუ-ს გ-ბა, თბილისი, 1985, გვ. 167).

აღნიშნული დასკვნა ქართულ ენაში დამკვიდრებული ბერძნული ლექსიკის სიმრავლითაც დასტურდება. ჩვეულებრივი მოვლენაა, ერთდაიმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა ენაზე მეტყველ ხალხთა თავმოყრითა და ერთად ცხოვრებით, განსხვავებული სამეტყველო დიალექტის ჩამოყალიბება. მაგრამ იბერიული მოდგმის ხალხთა ისტორიაში ამ მოვლენამ ტრაგიკული შედეგი გამოიღო. ჩვენი აზრით, სწორედ ეს რეალობა გახდა იბერთა ერთიანობის რღვევისა და იბერთა და ქართთა ჰეგემონობისათვის ხანგრძლივი ბრძოლის მიზეზი. ვფიქრობთ, აქ მეტად უარყოფითი როლი ითამაშა იბერთა წინდაუხედაობამაც.

რაში მდგომარეობს ეს წინდაუხედაობა?

ის, რაც მოხდა იბერიის იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩამოყალიბდა ქართის ტომი, ანალოგიურ პირობებში შეიძლებოდა მომხდარიყო იგივე, იბერიის და ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ვერ გაითვალისწინეს იბერებმა და რამდენადმე ენაშეცვლილ თვისტომს მომხდარით უკმაყოფილოებმა, სახელი შეუცვალეს.

მედიცინაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ავადმყოფობის გამომწვევი ფაქტორის სწორი დიაგნოზის დადგენას სენთან ბრძოლასა და გამარჯვებაში. არასწორი დიაგნოზი წინაპირობაა არასწორი მკურნალობისა და შედეგიც ხშირად ტრაგიკულია. ასე ხდება, ჩვენი აზრით, იბერთა მოდგმის ცხოვრებაშიც.

მართალია, მონათესავე ტომებს შორის იმარჯვებს და ძალაუფლებას ხელში იღებს კულტურულ-ეკონომიკურად გაძლიერებული ტომი და თუ ეს რეალობა ბუნებრივ კანონზომიერებასთან ჰარმონიაში ხორციელდება, ყველა ტომი კმაყოფილი იქნება და ერთიანობაც მტკიცე. მაგრამ თუ ტომთა გაერთიანება ძალადობის შედეგია, ასეთი ერთიანობა არაა მტკიცე და ყოველთვის მოსალოდნელია ტრაგიკული შედეგი.

მეგრულ ენაში გვაქვს ტერმინი **კათა**, რომელიც იხმარება ხალხის მნიშვნელობით. მაგ., „მუ **კათა** რე ათე **კათა**“(რა ხალხია ეს ხალხი). სხვადასხვა ჯგუფის საზოგადოების ერთ ჯგუფად გაერთიანებაზე იტყვიან: აკი**კათ**ეს, დი**კათ**ეს. მაგ., „მართალია დო უტუეფიშ ჯარეფქ აკი**კათ**ეს“[მართალიასი და უტუების (უტუ ორი იყო, უტუ მიქავა და უტუ თოდუა) ჯარები გაერთიანდნენ]; „მაფშალიეფქ დი**კათ**ეს, ღურჭულეს მხიარულო, ჩქიმი ოროფილი თექ ვარდ დო, ვამოჭამუდ თინა შურო“[ბულბულები შეიკრიბნენ, იჟღურტულეს მხიარულად, ჩემი სატრფო იქ არ იყო (და) არ მატკბობდა იგი სულაც]; ან კიდევ,

„ქგომცეის ფსქალეფიშორო, ქაშვა**კათ**ი მათ ფურკო,

გეფჩაჩი დო გებულიტი, ზღოდილ **კათა** დგინ სუკო,

ზსხრი თეში მიხუმინ, ოკონ ღვარალუა რდკო,

გიბჯინიო, სორე ტერი, ქგობლიებ მუკიმუკო“

(ლიონ ფიფია)

[შემესიენ ფუტკრებივით, დავერიე (ზედმიწ., შევერიე) კვამლის დარი,

დავლეწე და ამოვულიტე, გორადა დგას კაცნი (ხალხი) მკვდარი,

სისხლი ისე მოხუილებს, თითქოს იყო ნიაღვარი,

გავიხედე, სად არს მტერი, შემომცლია მათი ჯარი.]

(თარგმანი მიახლოებითია)

კუპური ფიფია,
“ფაზისის ”აკადემიის
ნამდვილი წევრი

საწესდებო ამოცანები "ქართველი შევარდენისთვის", ანუ ეროვნული "პოლიტეკონომიის" თავისებურებანი

როგორ აარიდა ობამამ თვალი მიშას

ბედი არ სწყალობს მიშას. გამოცდილმა და ხანში შესულმა ჯო ბაიდენმაც არ მოისურვა, შეხვედროდა ქართველ ლიდერს ამერიკის მიწაზე გაეროს ფორმატის შემდეგ.

იყო რაღაც **"წვრილმანები"**: შეხვედრები უნივერსიტეტში, ბიზნესმენებთან, პრეზიდენტის პრესსამსახურის მტკიცებით, ქალბატონ კლინტონთანაც. აი, ამერიკელმა "გვირგვინოსანმა" ბარაკ ობამამ ამჯობინა, **"კავკასიის ფორმატში"** შეხვედროდა მხოლოდ მზიური აზერბაიჯანის მეთაურს, დემოკრატსა და დემოკრატის შვილს ილხამ ჰეიდარის ძე ალიევს... მსოფლიო და აზერბაიჯანის მასმედიამ გულახდილად ასე განაცხადა: აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აღნიშნა პრეზიდენტ ალიევის ლიდერობა და ხაზი გაუსვა, რომ აზერბაიჯანი რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქვეყანაა, მათ შორის, ვინც უმეტეს წარმატებებს მიაღწია (?!).

ეს არის საქართველოს პრეზიდენტისთვის ცხვირში წკიპურტის კვრა, რასაც უნდა მივმხვდარიყავით მაშინვე, როცა ცნობილმა აფროამერიკელმა კონდოლიზა რაისმა არ მოისურვა საკაშვილთან შეხვედრა, რასაც, აგრეთვე, აფროამერიკელ ბარაკ ობამას თვალის არიდება მოჰყვა. შეიძლება, რომ ამ ყველაფრის მიზეზი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის **"გაუწონასწორებელი"** რასისტული გამონათქვამები იყო? სავსებით შესაძლებელია...

დასკვნა ასეთია: ამ სამწუხარო ფაქტით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენს ეროვნულ პოლიტიკას (და მასთან ერთად ეკონომიკასაც) არა თუ პირველ, არამედ მეორედაც არ მიიჩნევენ რეგიონში, ასეთია ოკეანისგაღმელთა სტატისტიკაც და, ასევე, თეთრი სახლის შეფასებაც.

შევეცადოთ, გავერკეთ, სადაა ძაღლის თავი დამარხული, რადგან ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატებების (იგულისხმეთ - პრეზიდენტის მიერ პირადად!) პრეზიდენტისეული შეფასებები, რომლებიც მან პატივცემულ საზოგადოებას წარუდგინა ნიუ იორკში, წარმოუდგენლად განსაცვიფრებელი იყო და, ამდენად, გაუგებარი დარჩა საქმეში გარკვეული ხალხისთვის.

ამან საშუალება მისცა ორი წლის სტაჟის მქონე მხურვალე ოპოზიციონერს, პარლამენტის ექსსპიკერს, ნინო ბურჯანაძეს არცთუ კორექტულად განეცხადებინა **"მიზნობრივ"** პრესკონფერენციაზე: **"სააკაშვილმა, უბრალოდ, იცრუა გაეროს ტრიბუნიდან. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, რომ სიღარიბე ჩვენთან დაძლეულია, არ ეთანხმება მსოფლიო ბანკის მონაცემებს, რომლის შეფასებით, საქართველოს მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტი გაჭირვებულია"**. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ უცხოეთიდან კაპიტალდაბანდებათა დონითა და ეკონომიკის განვითარების ტემპებით საქართველო ჩამორჩება მეზობლებს – აზერბაიჯანსა და სომხეთს.

In vino veritas! (ღვინოშია ჭეშმარიტება!)

ომისშემდგომ საქართველოში ყველაზე დიდი დეფიციტი **"ჭეშმარიტი სიმართლეა"**, რომელსაც ისეთი მონდომებით მალავენ, რომ ზოგჯერ მის წინააღმდეგობათა ტყვე ხდები, რადგან საქართველო შვეიცარიაში, სინგაპურსა ან ჰონკონგში აგერევა, ისევე, როგორც ჩვენი სახელმწიფოს პირველ პირებს.

მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევი – გარეუბნებიდან ჩვენი დედაქალაქის ცენტრისკენ გზას თუ გაუყვები, სულ ცოტა, ას მათხოვარს გადაეყრები. მათ შესახებ სტატისტიკა არაფერს ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის შემდგომ წლებში ხელგაწვდილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქვეყანაში, რომლისთვისაც მათხოვრობა, როგორც სოციალური მოვლენა, უცხო იყო, იშვა ახალი **"დარგი"**, რომელიც ჩვენი პოსტრევოლუციური წარმატებების ფონზე, სულ უფრო აქტიურად ვითარდება. გასაოცარი დემოკრატიის ფენომენია, არა?

ხელისუფლება ვერ ამჩნევს ამ კატეგორიის მოქალაქეებს, არც სურს, იცოდეს რამე მათ შესახებ.

მართალია, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველ წლებში დიდი ხმაური მოჰყვა მის მოწოდებას, უპოვართათვის 100 უფასო სასადილოს გახსნას, მაგრამ ინიციატივა ჩაკვდა მე-20 თუ 31-ე საზკვების ობიექტის გახსნის შემდეგ. დღეს კეთილი ქრისტიანების გარდა ამ კოლექტიურ სასადილოებს არავინ იხსენებს, რადგან მოწყალების იდეამ დაკარგა აქტუალობა, იმიტომ, რომ ვერ ეწერება ენერგიულად განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაში, რომელშიც არ არიან და არც შეიძლება იყვნენ ღარიბ-ღატაკნი.

კეთილდღეობის ილუზია არა მარტო ბათუმის სივრცეშია, არა მარტო წითელი ლენტების გაჭრას თან სდევს, არამედ არის ამჟამად დამუხრუჭებულ დარგშიც - მევენახეობასა და მეღვინეობაში. რა ერთიანობასა და ჰარმონიულობაზე შეიძლება ლაპარაკი ისეთ ვითარებაში, როცა ღვინის ქარხნებს იარაღით აიძულებენ, მიიღონ მწარმოებლებისგან არაკონდიციური პროდუქცია, და პარალელურად წარმოთქვამენ საქებარ ოდებს სასმელისას, რომელსაც თურმე **"მალულად სვამს კრემლის დიდთავადობა, რომელიც მოკლებულია საშუალებას, ისიამტკბილოს ქართული ღვინით თავისი სპეციალური მაღაზიების მეშვეობით"**.

"ქართული ღვინის ექსპორტი შარშანდელთან შედარებით 25 პროცენტით გაიზარდა", – აღნიშნა მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე პრემიერმა გილაურმა. ვენდოთ გილაურს. მაგრამ ამას მოჰყვება ისეთი აბდაუბდა, რომ შეიძლება კისერი მოიტეხო.

თანამდებობის პირთა განცხადებით, აღნიშნული ზრდის 20 პროცენტი შიდა ბაზარზე მოდის, რაც თითქოს ტურისტების რაოდენობის ზრდითაა გამოწვეული. ეტყობა, რეალიზაციის ზრდას ხელს უწყობს გამრავლებული პურისჭამა რესტორნებსა და კაფეებში მიმღები მხარის ანგარიშზე, როცა თამადა სტუმრების სადღეგრძელოებს ანბანის მიხედვით სვამს და სახსოვრად ატანს შესანიშნავ ნიმუშებს ქართული ღვინის. არადა, დიდი ძალისხმევის შედეგად მოპოვებული დასავლური პრეფერენციები (გარკვეული სავაჭრო პრივილეგიები) აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნებისთვის სათანადოდ არ მუშაობს.

რისი ბრალია ეს და ვინაა დამნაშავე?

უმთავრესი ბრალი და მიზეზი ის არის, რომ ეკონომიკა, როგორც პოლიტიკა უმკაცრესი ადმინისტრირების ჩარჩოებშია მოქცეული.

მაგალითად, მთავრობის მიერ მეღვინეებზე განხორციელებული წნეხი და იძულებითი მიღება დაბალი ხარისხის პროდუქციისა, ვერ უპასუხებს აშშ-ისა და ევროპის ბაზრების მაღალ მოთხოვნას. ამასთან, ამ თამასის დაძლევის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ზოგიერთებს – ვინც **"მეგობრობს"** ხელისუფლებასთან და მისი მხარდაჭერით სარგებლობს. შედეგად კი ვიღებთ დაბალი ხარისხის საექსპერტო საქონელს და მცირე შემოსავალს ბიუჯეტში. იმიტომ კი არა, რომ არ გვსურს, არამედ იმიტომ, რომ არ შეგვიძლია.

გასაგებად რომ ვთქვა, ჩვენს ბიზნესს ჯერ კიდევ არ შეუძლია, მასშტაბურად შეუტიოს ამერიკისა და ევროპის საბაზრო სიმაღლეებს, ქართული ღვინის მაღალი ხარისხის შესახებ პრეზიდენტის მრავალგზისი განცხადებების მიუხედავად.

სიტუაციის ტრაგიკომიზმი ის არის, მთავრობის იმავე სხდომაზე პრემიერი პირველ აგრარიკოსს რომ ავალებს, სასწრაფოდ შეხვდეს თურქ კოლეგას. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებულია შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მეზობლებისთვის ერთი მილიონი ლიტრი ღვინოების მიწოდებას საბაჟო გადასახადის გარეშე. მაგრამ გილაურისავე თქმით, ამ კვოტიდან ათვისებული აღმოჩნდა 40.000-60.000 ლიტრი ქართული ღვინო! კვეზერელის მისია – მიაწვეს და გაყიდოს – გასაგებია, მაგრამ ძნელად არის შესასრულებელი, იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ, მართალია, იგი თანამდებობის პირია, მაგრამ ადამიანური შესაძლებლობებითაა შეზღუდული და თავს ზემოთ ვერ ახტება. საკითხავია, რის გაკეთებას შეძლებს იგი ორიოდ სამივლინებო დღეში, თუნდაც ერთ თვეში, როცა არ არსებობს რეალური შესაძლებლობანი, ათწლეული უქმადაა დაკარგული. თანაც მეღვინეობაში უცვლელია ურთიერთობანი, რომელთაც ისტორიულად კორუფციული ფესვები და ასეთივე ურთიერთობა აქვს ხელისუფლებასთან.

დიდი ხანია, რაც იარლიყებს ვიყენებთ

სისულელის, უაზრობისა და სიცრუის მოზღვავება, რაც სიმართლის რანგშია აღზევებული და ეხება ჩვენს მრეწველობას, აგრარულ სფეროს და ა.შ., თურმე სისტემური რეფორმირების შედეგია. ეკონომიკაზე, რომელიც ყვავის და არ ჭკნება, ჩვენს წარმატებებზე დაუღალავად და აღფრთოვანებით წერენ უკრაინელი კალმოსნები, ლაპარაკობენ საქმიანი ადამიანები, რომლებიც, უეჭველია, ჩვენი პრეზიდენტის "ნარინჯისფერი მეგობრების" ნარჩენები არიან. რას შეიძლება დავარქვათ "ფერადი" და ყვავილოვანი რევოლუციონერების მსოფლიო სოლიდარობა, რომელიც აშკარად მხარდაჭერილია "ცენტრის" მიერ და იქიდანვე იმართება?

კერძოდ ვინ მართავს?

სავარაუდოდ, რეაქციული ძალები, კერძოდ, კონფრონტაციის ქორები და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ოკეანის გაღმიდან. ეს უკანასკნელი დღეს ასეულობით მილიარდ საბიუჯეტო დოლარს კი არა, უკვე ტრილიონობით დოლარს ატრიალებს. მას თავისი შტატიანი წარმომადგენლები ჰყავს ამერიკის ადმინისტრაციაში (ვისთანაც მეგობრობა გვაკავშირებს). ალბათ, სწორედ ამიტომ ძალაში რჩება ჩვენი საგარეო პოლიტიკა და მუხლეზე დამხობილი ეკონომიკა, რომელიც წარმატებების "სასწაულებს" ახდენს ვაშინგტონის სცენარების მიხედვით. რაც, საბოლოო ჯამში, თანამედროვე მსოფლიოს დანაწევრებისა და კონფრონტაციისთვის განხორციელებული ძალისხმევის გაგრძელებაა.

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ რეალობას, რომელიც თითოეული ჩვენგანის თვალწინ ხდება. ლაპარაკია ვალუტის გაცვლაზე.

უპირველესად, მივულოცოთ ერთმანეთს ეროვნული ვალუტის განმტკიცება. შემდეგ მივულოცოთ ჩვენს ფინანსების მეფეებს, რომლებიც ახერხებენ ძალა შეუნარჩუნონ ლარს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ფასები ასი პროცენტით იზრდება. ეს ოპერაცია თავისი მასშტაბით შეიძლება შევადაროთ მეორე მსოფლიო ომში მეორე ფრონტის გახსნის ოპერაცია **"ოვერლორდს"**, როცა მოკავშირეებმა თავიანთი ჯარები გადმოსხეს საფრანგეთში, ფაშისტების **"ზურგში"**.

აწყობილად და ცენტრალიზებულად მოქმედებს მთელი ქართული საბანკო და ჯიხურების გადაცვლის სისტემა! პირობები თითქოს თავისუფალია, საბაზრო, მაგრამ სავალუტო რყევები მაინც და მაინც განსაკუთრებულ საათებში ხდება, როცა რომელიღაც საერთო ჩამრაზს ჩართავს ერთი დისპეტჩერი-ნათელმხილველი. ამ დროს კი სხვა ვალუტების კურსები იცვლება რბილად და არ უშლის ცხოვრებას ადამიანებს. მხოლოდ ლარია ისეთი, რომელიც ხან ავარდება, ხან არანაკლები სისწრაფით ეცემა...

ესეც ჩვენი თავისებურებების, ტრაიბალიზმისადმი ჩვენი მიდრეკილების შედეგია, საზოგადოების **"დემოკრატიზაციისა"** და საბაზრო **"პოლიტეკონომიის"** მიუხედავად, რომელსაც წარმართავს, აწესრიგებს ერთადერთი, ძალაუფლების მოყვარული ხელი - აბსურდის თეატრისა და ერთი მსახიობის თეატრის პრინციპის მიხედვით.

ასე ყალიბდება პირობები, როცა ამერიკასთან და ევროპასთან ვაჭრობის სასათბურო პირობების მიუხედავად, ადგილობრივ წარმოებას, რომელიც ძალიან ცუდად მუშაობს, ცოტა რამ თუ შეუძლია გაიღოს მომგებიანი ექსპორტისთვის. შედეგად საექსპორტო ნიშა, წარმატებების შესახებ ბაქიბუქის მიუხედავად, თითქმის ცარიელია.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, წლევანდელ ექვს თვეში ფულადი გამოსახულებით ექსპორტმა 865 მილიონი შეადგინა, იმპორტმა - 2,642 მილიარდი დოლარი. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი შეადგენდა 1,177 მილიარდს, რაც 2009 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელზე ერთი პროცენტით მეტია. ციფრები წლის ბოლოსთვის, რა თქმა უნდა, გაიზრდება. მაგრამ შეფარდება ექსპორტსა და იმპორტს შორის, საეჭვოა, გაუმჯობესდეს. საამისო ობიექტური პირობები შექმნილი არ არის. კაცმა რომ თქვას, თხილის გარდა, განვითარებულ ქვეყნებში გასაყიდი არაფერი გაგვაჩნია. ეს კი განვლილი პერიოდის შეფასების საშუალებას გვაძლევს, როცა კრედიტები, საფონდო გადარიცხვები, ტრანშები და ა.შ. იხარჯებოდა ვითომ ტურისტული და სხვა ბიზნესისთვის აუცილებელ უსისტემო მშენებლობასა და ფსევდო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად.

და კიდევ ერთი, ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი თავისებურება, როცა უცხოეთის სამსახურები და მათი ცალკეული ფიგურანტები ჯიუტად არ ამჩნევენ ჩვენთან არსებულ უკუღმართობას და გაჭირვებას და წარმატების იარლიყებს გვიბეჭდავენ. ნუ დავასახელებთ მათ, რადგან ისედაც ცნობილია მათი ვინაობა. მოდერატორების აზრით, ჩვენ სწორი გზით მივდივართ, მაგრამ ვერ ვმდიდრდებით. სიღატაკე და მოუწყობლობა გვთრგუნავს. გამონაკლისი ელიტაა და მისი პირველი რიგის გარემოცვა.

კრიტერიუმი ყოველთვის ერთია: სიღარიბის დაძლევა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, რაც დემოკრატიულ ურთიერთობებთან არის შეთანხმებული. ანუ ყველაფერი ის, რაც დღევანდელ საქართველოში ფრიად სუსტადაა წარმოდგენილი და გადაფარულია ბათუმის, თბილისის, გორის და სხვა ფეიერვერკების ჭრელა-ჭრელობით.

ეს ყველაფერი ხდება ნომენკლატურული კაპიტალიზმის ფონზე, რომელსაც ხელისუფლება და სტუმრები გვთავაზობენ, როგორც ერთადერთ გამაჯანსაღებელ პროგრამას განვითარებული სოციალიზმის სანაცვლოდ.

P. **S**. მხოლოდ გარეგნულად ჰგავს ჩვენი პრეზიდენტი თავისუფლად მონავარდე შევარდენს. სინამდვილეში იგი მართული და მკაცრად კონტროლირებადი ფიგურაა. არაფერს ნიშნავს, რომ რიგი **"უცნაურობანი და მოულოდნელობანი"** ჩაიდინა ხუთდღიანი ომის დროს, თავი გამოიჩინა გიგანტური საპორტო პროექტებით, ასაფრენი ზოლების და საიდუმლო ლაბორატორიების მშენებლობით, პატრიოტული ახალგაზრდული ბანაკების მოწყობით საზღვარზე, სვანეთში ტურისტული გზებისა და ტრასების გაყვანით მთიან აფხაზეთსა თუ ცეცხლით მოცულ ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელად... ეს ყველაფერი ომის გაგრძელებაა ოღონდ სხვა მეთოდებით, შრომის განაწილებაა მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში, სადაც **"ქართველი შევარდენისთვის"** საწესდებო ამოცანებს შეიმუშავებენ იგივე მსოფლიო ქორები!

თუ ამ ყველაფერს ჩავუფიქრდებით, გაირკვევა, რომ არსობლივად იგი შიდა მოხმარების კატასტროფული მოდელია, განსაკუთრებით, ჩვენი ეკონომიკისთვის (გავიხსენოთ განვლილი ათწლეულის შედეგები). ფულს მართლაც გვაძლევენ, ბევრს, უმეტესად – კრედიტებით, რომელთა გადახდა არაერთ თაობას მოუწევს, თუ ყველაფერი **"კარგად"** იქნება. მაგრამ დღეს ისინი თითქმის სრულად იხარჯება იმ მიზნებისთვის, რომლებიც პატრონების მიერ არის განსაზღვრული.

სააგენტო „საქინფორმი"

სწავლა-განათლება ძველ საქართველოში

იმ ფაქტორთა შორის, რომელნიც ხელს უწყობდნენ ქართული კულტურის ზრდა-განვითარებას, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სწავლა-განათლების საქმესაც. ფეოდალური სწავლა-განათლების სისტემა მოიცავდა საერო და სასულიერო სწავლა-აღზრდის სფეროს. აღნიშნულ ხანაშიც სწავლა-განათლების საქმე ეკლესიას ეპყრა და ქრისტიანული იდეოლოგიის შემზღუდველ გავლენას განიცდიდა. სწავლება ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან წარმოებდა და მას, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული საქმიანობა ჰქონდა მიზნად, კერძოდ, მწიგნობარი ბერ-მონაზვნის, ეკლესიის მსახურის აღზრდა, ე.ი. ისევე, როგორც ეს ხდებოდა იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში საერთოდ. თუმცა, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ დროს საერო განათლების ძლიერი ნაკადი, მისი ხალხური საწყისი შეუჩერებლივ უტევდა შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკას და აზრის თავისუფლებისათვის იბრძოდა.

სწავლა-აღზრდის იმდროინდელი სისტემა ფეოდალური სახელმწიფოსა და გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.

XI-XII სს-ისა და XIII ს. დასაწყისის საქართველოში კულტურის საერთო დონის განვითარებას სწავლა-განათლების საქმის აღმავლობაც კვალდაკვალ მიჰყვებოდა. კერძოდ, შესამჩნევად დაწინაურებულა ამ პერიოდში სასკოლო განათლება. სკოლები არსებობდა ეკლესია-მონასტრებთან, საეპისკოპოსო კათედრებთან და, აგრეთვე, ცალკეც, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება.

გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფის ცნობით, გიორგის მშობლებმა, როცა მათი ქალიშვილი თეკლე (გიორგი მთაწმინდელის და) შვიდი წლის შეიქნა, ტაძრისის დედათა მონასტერში (სამცხეს) მიიყვანეს და მის წინამძღვარს ჩააბარეს, რომელმაც **„შეითვისა იგი“** და **„კეთილად აღზარდა“**. როცა გიორგი შვიდი წლისა გახდა, მშობლებმა ისიც ტაძრისში მიიყვანეს. აქ გიორგი იზრდებოდა „მონასტერსა მას შინა, და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან, აწ უკვე გაზრდილი და განსწავლული **„დისა მისისაგან“**. დაწყებითი განათლების მისაღებად გიორგიმ ტაძრისში სამი წელი დაჰყო. ათი წლის რომ შეიქნა, ბიძებმა ახლა უკვე ხახულს წაიყვანეს, ლავრისა **„მოძღუარს“** და **„ეგრეთვე დიდსა ბასილის, ბაგრატის ძესა“** წარუდგინეს, რის შემდეგაც ჩააბარეს **„მოძღურებათა შინა“** განთქმულ ილარიონ თუალელს, რომელიც იმ დროს ხახულში დამკვიდრებულიყო და მან გიორგის **„წურთა იწყო“**.

ეს ცნობები ცხადყოფენ, რომ ხახული არა მარტო საკულტო-სამონასტრო, არამედ სასწავლო-სასკოლო ცენტრსაც წარმოადგენდა, სადაც საკმაოდ კარგად მომზადებული „მოძღუარნი“ (მასწავლებლები) ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ადრეული ხანის დიდ მონასტრებთან (ოშკის, ოპიზის, შატბერდის, ბერთას, ხანძთას, ოთხთა ეკლესია) ხშირად გვხვდება ფართო მოცულობის მქონე შენობები. ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, ეს შენობები მონასტრებთან არსებული სემინარიებისათვის იყო განკუთვნილი. მაგალითად, ოშკის მონასტრის კომპლექსში ძირითადი ტაძრის ჩრდილოეთით მდგარი ასეთი შენობა ოთხკუთხა დარბაზია, რომელიც ერთი შეხედვით ქართველი გლეხის დარბაზს მოგვაგონებს.

თუ რა საგნები ისწავლებოდა ზემოაღნიშნულ სკოლებში, ამის შესახებ ცნობები შემონახული აქვს გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“. როდესაც ბიოგრაფი გიორგი მთაწმიდელის ხახულის მონასტერთან არსებულ სკოლაში სწავლაზე მოგვითხრობს, ამის მიხედვით ირკვევა, რომ ხახულში გიორგისათვის უსწავლებიათ თეოლოგია – **„ესრეთ ყოველნივე საღმრთონი წერილნი ძუელსა და ახლისა შჯულისანი, რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოვნა, ყოველნივე კეთილად გულად იხუნა“**. გარდა ამისა, გიორგისათვის გალობა, ჰიმნოგრაფია უსწავლებიათ. ბიოგრაფის სიტყვით, **„უწყეს სწავლათაცა საეკლესიოთა და სამღვდელოთა, რომელთა შინა უმეტეს ყოველთა ჰასაკისწორთა მისთასა წარემატა. და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავნა“**. რაც შეეხება **„სწავლათა საეკლესიოთა და სამღვდელოთას“**, ამაში გიორგი მცირეს ნაგულისხმევი აქვს ლიტურგიკა. გიორგი მთაწმინდელის სწავლაზე საუბრისას ბიოგრაფი ცდილობს, წარმოაჩინოს მისი მისწრაფება **„საეკლესიო სწავლასა“** და თეოლოგიისადმი.

ხახულში გიორგი ათი წლისა მიიყვანეს. აქედან გამომდინარე, ზემოდასახელებული საგნები (რომლებთან ერთად, რა თქმა უნდა, ქართული მწიგნობრობაც უნდა ვიგულისხმოთ) მას 10-დან და 12-13 წლამდე შეასწავლეს.

ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ოფიციალური სასწავლებლები იყო XI-XII საუკუნეების საქართველოში. გავრცელებული ყოფილა კერძო საშინაო სწავლებაც. საშინაო სწავლების ტრადიცია ძველთაგანვე არსებობდა საქართველოში და იგი უმთავრესად სამეფო კარისა და დიდგვარიანი ოჯახის შვილების აღზრდასთან დაკავშირებით გვხვდება.

XII საუკუნეში თამარ მეფის აღზრდას მეთვალყურეობდა მისი მამიდა რუსუდანი. რუსუდანისავე სახლში იზრდებოდა დავით სოსლანი, შემდგომში თამარის ქმარი, რომელიც რუსუდანს **„მოეყვანა საზდელად სახლსა შინა მისსა“**.

XI-XII სს-ისა და XIII ს. დასაწყისის საქართველოში სასკოლო განათლების დაწინაურებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ პერიოდში ქართველებმა კარგად გაიცნეს ბიზანტიური სკოლა. მრავალი ქართველი, განსაკუთრებით დიდგვარიან ფეოდალთა ოჯახების წარმომადგენელნი, დროებით ან სამუდამოდ სახლდება ბიზანტიაში და იქაურ სკოლებში იძენს ბერძნულ სწავლა-განათლებას. მაგალითად, XI საუკუნის დამდეგს, ბაგრატ IV-ის გამეფების პირველსავე წელს, **„წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“**. ტაოელი აზნაურის, ვაჩე კარიჭის ძის ოჯახმა, ბიზანტიის სკოლებში აღზრდილმა, მოგვცა ისეთი შესანიშნავი მოღვაწე, როგორიცაა ეფრემ მცირე. ცნობილია, აგრეთვე, რომ გიორგი მთაწმინდელმა საქართველოდან წაიყვანა ბიზანტიაში 80 ყმაწვილი. სომეხი ისტორიკოსის – ვარდან დიდის ცნობით, დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად და მთარგმნელობით ხელოვნებაში გასაწვრთნელად.

დღეისათვის ქართულ მეცნიერებაში საცილობელი აღარაა, რომ XII საუკუნის საქართველოში არსებობდა უმაღლესი სკოლები, აკადემიები. ერთ-ერთ ასეთ უმაღლეს სკოლას წარმოადგენდა გელათის აკადემია.

გელათი აღმაშენებლისავე ხანაში თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იყო მიჩნეული. მონასტრის დამაარსებელმა განსწავლული პირები მიიწვია იქ, საქართველოსა თუ უცხოეთში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მწიგნობრებს თავი მოუყარა და შემოქმედებითი მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა **„მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლთია სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ, სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და ხორციელთა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“**. **„მამული ლიპარიტტი“** შესწირა და იქ დამკვიდრებულთ **„უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“**.

მემატიანის თხრობიდან ჩანს, რომ დავითს გელათის მონასტრის დაარსებისას ფართო მიზანი ჰქონდა დასახული. ის საფუძველს უყრიდა და ქმნიდა არა მხოლოდ საკულტო დაწესებულებას, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო შემოქმედების დიდ ცენტრს.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის ხანამდეც მონასტრები ფეოდალური საქართველოს კულტურულ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის როლს ასრულებდნენ. მონასტრები საშუალო საუკუნეების საზოგადოების სწავლების ცენტრებს წარმოადგენდნენ, არაერთი მონასტერი იყო ამ დროს საქართველოში და მის გარეთ (პალესტინაში, სირიაში, ბიზანტიაში, ბულგარეთსა და სხვაგან), სადაც დიდი წარმატებით იყო გაშლილი შემოქმედებითი მუშაობა შუასაუკუნეობრივ საქრისტიანო მეცნიერებაში. ენა, ლიტერატურა, ისტორია, პოეზია, ფილოსოფია, ფილოლოგია და ცოდნის სხვა დარგები ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოველი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ის, რაც დავითმა გელათის აშენებით დააპირა, არსებითად განსხვავდებოდა აქამდე არსებული პრაქტიკისაგან. დავითი შეეცადა, ყოველივე ამის **„ორგანიზებას ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანების სამსახურად. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა მეფეს, ის ამ დროს 30 წელს ძლივს იყო მიღწეული, ეს დიდი საქმე განუზრახეს მისმა უერთგულესმა მრჩეველ-თანაშემწეებმა საერო თუ საეკლესიო პოლიტიკის საქმეებში, – გიორგი მწიგნობართუხუცესმა და სხვა მონაზვნებმა. და მოწიფულ საქმეს თავი მოება. გონებრივ მუშაკთა საუკეთესო ძალები შემოკრიბეს ყველა იმ ადგილებიდან, სადაც კი ქართველები მოღვაწეობდნენ. დაარსდა აკადემია – გონებრივი ცენტრი ქართული ქრისტიანული მეცნიერებისა. გასაგებია, თუ რაოდენ არსებითი და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ეს ავტორიტეტი იმ დიდი საქმის შესრულებისათვის (ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანება და თურქთა განდევნა), რომელიც დავითმა წამოიწყო“**. მრავალგან დაქსაქსული კულტურული კერების ნაცვლად ერთი კერა შეიქმნა, საუკეთესო ძალები შემოკრებილ იქნა და პირდაპირ ჩადგა გაერთიანებული ქვეყნის კულტურის სამსახურში.

ისტორიკოსი გელათს ათენზე მაღლაც კი აყენებს. **„ის გელათს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად სახავს იერუსალიმი არა მარტო ყოვლისა აღმოსავლისა, არამედ ყოვლისა დასავლეთისა თუ ქვეყნის ყველა მხარეთა სიბრძნის წყარო იყო. ასე რომ ჩვენი ისტორიკოსი ამბობს, რომ გელათი ყოველ აღმოსავლეთში (მთელ აღმოსავლეთში) იერუსალიმობას გასწევს, ათინობას გასწევს. ასე რომ, გელათის დანიშნულება და როლი საქართველოთი როდი ამოიწურება, ის მთელ აღმოსავლეთს მიჰფენ ქრისტიანულ სწავლას, ქრისტიანულ მეცნიერებას. ასეთი ფართო მიზნების სამსახურში ეხატებოდათ, ჩანს, დავითსა და მის თანაშემწეებს გელათი მისი აკადემიით. მეცნიერების სწავლების ცენტრი სჭირდებოდა ახალ ქრისტიანულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის მონაცვლეობას ლამობდა“.**

ისტორიულ წყაროებში (მაგალითად, შემოქმედის გულანის მინაწერში) დაცული ცნობების მიხედვით, დავითი 1106 წელს შეუდგა გელათის ანსამბლის მშენებლობას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს გელათის მონასტრის მშენებლობის დაწყების შესახებ ამბავი 1103-1110 წლებს შუა აქვს მოთხრობილი. გელათის მონასტრის მშენებლობა კარგა ხანს გაგრძელებულა. დავითს მისი დამთავრება ვეღარ მოუსწრია. ანდერძში გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დაუმთავრებელი დარჩა მშენებლობა, რაც თავის ვაჟს – დემეტრე I-ს (1125-1156) დაავალა და უანდერძა: „ხოლო დამრჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთვსცა ტკივილი სამარადისო. აწ შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის“. 1125 წლისათვის, როცა დავითი გარდაიცვალა, მონასტრის მშენებლობის დასრულებას ბევრი აღარაფერი აკლდა. ყოველ შემთხვევაში, დავითის მემატიანე, რომელიც თავის თხზულებას 1123-1126 წლებში წერდა, გელათის ტაძარს დამთავრებულად ასახელებს და მას ხოტბასაც კი ასხამს. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის, რომ მშენებლობის დასასრული დაახლოებით 1126 წლით დათარიღდეს. აქედან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა გელათში ადრევე, დავითის სიცოცხლეშივე, გაჩაღდა. მეფემ აღარ დაუცადა მონასტრის დასრულებას და ქართველ მწიგნობრებს ადრევე მოუყარა თავი.

გელათის აკადემია თავის კედლებში აერთიანებდა ქართული კულტურის გამოჩენილ და პროგრესულ წარმომადგენლებს. XII საუკუნეში იგი გადაიქცა ქართული რენესანსის ერთ-ერთ მძლავრ კერად. ამით აიხსნება ის დიდი ავტორიტეტი, რომლითაც ის სარგებლობდა. ცნობილი ქართველი მეხოტბე პოეტი იოანე შავთელი გელათს რომსა და ელადას ადარებს:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა:

ენატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა“.

გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებელმა მოიწვია ქართული კულტურის წარმომადგენლები, რომელნიც იმ დროს ათონის, პეტრწონის, აგრეთვე, კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის სხვა აკადემიებში მოღვაწეობდნენ. მათ შორის იყვნენ: იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუცეს-მონაზონი, იოანე ტარიჭისძე და სხვები, რომელთაც გელათში მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო-ფილოსოფიური მოღვაწეობა გაშალეს.

ქართულ წყაროებში შემონახული ცნობების მიხედვით, ირკვევა, რომ გელათის აკადემიას საგანგებო თანამდებობის პირი ხელმძღვანელობდა, რომელიც „მოძღუართ-მოძღუარის“ ტიტულს ატარებდა. მოძღვართმოძღვარს მთელს საქართველოში უდიდესი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული, უაღრესად განათლებული პირი იყო. იგი აშკარად გელათში ზის და არის იქ არსებული აკადემიის უფროსი, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „რექტორი“. გელათის მოძღვართმოძღვარი, როგორც აკადემიის რექტორი, დიდმოხელე სასულიერო პირთა (ჭყონდიდელი, „კათალიკოზნი ქართლისა და აფხაზეთისა“ და სხვ.) შორის ყველგან პირველი იხსენიება. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მას მათზე მეტი უფლება და პატივი აქვს მინიჭებული. მაგალითად, დიდ დარბაზზე დასასწრებლად მოძღვართმოძღვარს საგანგებოდ ეგზავნება ერთი ჯორი და სამი ცხენი (ორი ცხენი მოწაფეებისათვის), დარბაზში პირველად ის შედის, შემდეგ კი კათალიკოსი. მეფეც ყველაზე მეტი პატივისცემით მას ესალმება **(„მეფე ნოხთა პირსა მოეგებოს და მიესალმოს“)**, ვიდრე კათალიკოსებს და ჭყონდიდელს.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ტერმინი **„მოძღუართ-მოძღუარი“**, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ძალზე ენათესავება ბიზანტიური უმაღლესი სკოლის მეთაურის („დიდასკალოს ტონ დიდასკალონ“) სახელწოდებას.

ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში XII საუკუნის საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის არსებობის შესახებ ერთადერთი პირდაპირი და უტყუარი ცნობა მხოლოდ გელათის აკადემიას ეხება.

არსებობს გვიანდელი ხანის ცნობები იმის შესახებ, რომ XII საუკუნის საქართველოში, გარდა გელათისა, უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა იყალთოში აკადემიის სახით, რომელსაც არსენ იყალთოელი ხელმძღვანელობდა. იყალთოში ქართული უმაღლესი სკოლის არსებობის ფაქტზე მიუთითებენ დავით რექტორი და თეიმურაზ ბაგრატიონი. იყალთოში აკადემიის არსებობის შესახებ მტკიცე ხალხური გადმოცემაც არსებობს. იმ ფაქტს, რომ XII საუკუნეში იყალთოში არსებობდა უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულების შენობა, ადასტურებს ის ნაგებობა, რომელიც ნანგრევების სახით დღემდე დაცულია სოფელ იყალთოში. ყველა ამ ზემოაღნიშნული მონაცემის გათვალისწინების საფუძველზე ქართულ მეცნიერებაში უკვე საეჭვო აღარაა, რომ იყალთოს ღვთაების მონასტრის გალავნის შიგნით, სამხრეთ ნაწილში დაცული გრძელი ორსართულიანი სამოქალაქო ნაგებობა, რომელსაც აღმოსავლეთიდან საწნახელი ეკვრის, არის ქართული საერო ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლი – XII საუკუნის ქართული აკადემიის შენობა.

გადმოცემით, უმაღლესი სკოლა უნდა არსებულიყო გრემშიც, მაგრამ ამის შესახებ რაიმე ძველი სარწმუნო წერილობითი წყარო ან დოკუმენტური მოწმობა არ მოგვეპოვება.

ისმის კითხვა: რა საგნები ისწავლებოდა ქართულ უმაღლეს სკოლებში?

მკვლევართა აზრით, გელათისა და იყალთოს აკადემიებში, ძირითადად, სწავლების ისეთივე სისტემა უნდა ყოფილიყო შემოღებული, როგორიც საერთოდ იმდროინდელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში. კერძოდ, ბიზანტიაში უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმაში შვიდი დისციპლინა იყო საყოველთაოდ სავალდებულო. ეს სამეცნიერო დისციპლინებია ე.წ. ტრივიუმ – ქუადრივიუმ-ის (სამი + ოთხი) ციკლი: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. **„ამ შვიდი დისციპლინის სწავლება სავალდებულო იყო ყველგან, მაგრამ ამა თუ იმ სასწავლებელში, ადგილობრივი საჭიროებისდა მიხედვით, შეიძლებოდა დამატებითი საგანი ყოფილიყო გეგმაში შეტანილი. ჩვენ ვიცნობთ ბიზანტიის უმაღლესი სკოლების ისეთ გეგმას, სადაც, იმ შვიდი დისციპლინის გარდა, იყო მედიცინა; ზოგან შეტანილი იყო (მაგალითად, ბეირუთში) სამართლის მეცენიერება, სხვაგან კიდევ სხვა“**. რაც შეეხება საქართველოს უმაღლეს სკოლებს, ქართულ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე მკვლევარნი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ აქ, კერძოდ, გელათში, სავალდებულო უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული შვიდი დისციპლინა. ასეთი ვარაუდის გამოთქმისას მკვლევართ მხედველობაში აქვთ იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური ნაწარმოები **„განმარტება პროკლე დიადოხოსის და პლატონური ფილოსოფიისათვის“**, რომლის ბოლოსიტყვაობაშიც იგი დაწვრილებით მსჯელობს ზემოაღნიშნულ შვიდ სამეცნიერო დისციპლინაზე, თუ რომელი მათგანი რისთვის არის საჭირო, რომელი მათგანი რა დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ქმნის.

პეტრიწი ჯერ ტრივიუმ-ში შემავალ დისციპლინებზე – გეომეტრიაზე (ქვეყნის სამზომლო), არითმეტიკაზე (რიცხუნი) და მუსიკაზე (სამუსოი) მსჯელობს, რომლებიც საღვთისმეტყველო განათლების პირველ ციკლად აქვს წარმოდგენილი. ცოტა უფრო ქვემოთ იოანე პეტრიწი მეორე ციკლის (quadrivium) თითოეული სამეცნიერო დისციპლინის (დრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხველობა) განმარტებას იძლევა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რაში დასჭირდა იოანე პეტრიწს, ეხსენებინა ეს შვიდი დისციპლინა (ქუეყნის სამზომლოი, რიცხუნი, სამუსოი, დრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხველობა)? ნათელია, რომ მან საქრისტიანო დებულებების განსამარტავად მოიშველია სწორედ ის დისციპლინები, რომლებიც ისწავლებოდა გელათის აკადემიაში, ე.ი. იქ, სადაც სხვებთან ერთად მანგანის აკადემიაში აღზრდილი იოანე პეტრიწი თვითონაც მოღვაწეობდა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ტრივიუმ ქუადრივიუმ-ის საგნებისა, გელათის აკადემიაში, როგორც ჩანს, მედიცინაც ისწავლებოდა. მკვლევართა აზრით, XIII საუკუნის დასაწყისში თარგმნილი სამედიცინო ხასიათის **„წიგნი საალიმოი“** სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელო ნაშრომი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, გელათში, მედიცინის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით იხმარებოდა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როგორც კი დაამთავრებს თხრობას გელათის მონასტრისა და აკადემიის აშენების შესახებ, იქვე უმალ დასძენს: **„აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუნიერსა, რომელსა შინ შეკრიბნა ძმანი თვითოსახითა სენითა განცდილნი“**, ესე იგი: დააარსა საავადმყოფო სხვადასხვა სენთა სამკურნალოდო. და აი, ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ეს ქსენონი (**„საავადმყოფო“**) დაარსებულ იქნა გელათში, როგორც კლინიკა (ანუ პოლიკლინიკა: შდრ. **„თვითოსახითა სენითა“**, ე.ი. სხვადასხვა დაავადებათა), რომელიც ემსახურებოდა გელათის აკადემიის სამეცნიერო კათედრას.

XII საუკუნის ქართულ უმაღლეს სკოლებში სწავლა-განათლების საქმე იმ დროისათვის მაღალი აკადემიური დონით ხასიათდებოდა. ეს სკოლები თავის მეცნიერულსა და პრაქტიკულ საქმიანობას აწარმოებდნენ იმდროინდელი პროგრესული იდეების საფუძველზე.

მოამზადა
თეიმურ იმერლიშვილმა

სამეგრელოს ღირსეული შვილები

„ბაკალარო" კაცის მიერ დაცოვებული ნათელი კვალი...



დღეს მადლიერი სამშობლო თავს ხრის დიდი მეცნიერისა და ადამიანის ვლადიმერ გაგუას ხსოვნის წინაშე, სამწუხაროა, რომ წარსულის მოგონებით გვიხდება მასზე საუბარი...

ჩემთვის ამჟამად არ არსებობს უფრო მაღალი საპატიო მოვალეობა, ვიდრე სიტყვით ვცეთ პატივი იმას, ვინც ხანგრძლივი დროის მანძილზე ემსახურა ერს, ქვეყანას. ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, საზოგადო მოღვაწემ და მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთ–ერთმა დამაარსებლმა, ვიცე–პრეზიდენტმა, პროფესორმა მთავრობის ჯილდოების კავალერმა ბატონმა ვლადიმერ გაგუამ სიცოცხლეშივე დაიმსახურა ღირსეული ადგილი სახელოვან პლეადაში, ამას საქმეები ღაღადებენ. ვაჟასი არ იყოს მასზე სიცოცხლეში ამბობდნენ ,,არწივსა მაღალ მთისასა, აბა რად უნდა ქებანი"

ბატონი ვლადიმერ გაგუას ფენომენის უკეთ გაცნობის მიზნით, პირველ რიგში უნდა გავეცნოთ, იმ სოციალურ გარემოს, სადაც აღიზარდა და ბავშვობის წლები გაატარა, ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას მის მშობლებზე. ვლადიმერ გაგუა პედაგოგიურ მეცნიერებათა თეორიის კორიფესა და თავად საუკეთესო აღმზრდელის, სახალხო პედაგოგის ოჯაში დაიბადა.

ვლადიმერ გაგუას მამა – ვლადიმერი (ვლადი) გაგუა ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

იგივე პროფესიის იყო ვლადიმერ გაგუას დედა– ვერა კობახიძე. მიუხედავად იმისა, რომ მრავალშვილიანი დედა იყო იგი ღირსეულად ართმევდა თავს, როგორც საკუთარი ისე სხვისი შვილების აღზრდას (ვლადი გაგუას და ვერა კობახიძეს: 6 ქალიშვილი და ორი ვაჟი ყავდათ).

ვლადი გაგუა მუშაობდა ფოთის გიმნაზიაში, შემდეგ ქუთაისის გუბერნიის მეოთხე რაიონის სკოლის ინსპექტორად, სენაკის მაზრის სახალხო განათლების განყოფილების გამგედ. ვლადი გაგუას სადაც უმუშავია ყველგან დიდმნიშვნელოვანი განათლების ფორმის ორგანიზატორი იყო, რაც განათლების სისტემაში ღირსეულ პირთა ხვედრია.

ვლადი გაგუას პირადი ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან. აკაკი წერეთლის სახ. მუზეომის სხვიტორში არის სურათი, რომელთაგანაც აკაკი წერეთლის გადაღებულ ადამიანთა შორის ერთ–ერთი ვლადი გაგუაა. აი ასეთ ოჯახში აღიზარდა ერის საამაყო პიროვნება პროფესორი ვლადიმერ გაგუა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია – ,,ვარდების რევოლუციით" მოსულმა ხელისუფლებამ საერთოდ დაივიწყა წარსული ადამიანების დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე. მათ ავიწყდებათ დიდი ილიას შეგონება – აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა.

<u>ვლადიმერ გაგუას ცხოვრება და მოღვაწეობა</u>

2002 წელს ვლადიმერ გაგუას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გამოქვეყნდა სქელტანიანი წიგნი ,,უმაღლესი ღირსებათა სამსახურში" . ამ წიგნში არა მარტო მისი მდიდარი მემკვიდრეობაა გაანალიზებული, არამედ თავმოყრილია მისი კოლეგების, მეგობრების, თანამოაზრეების, ნათესავებისა და შვილების წერილებიც, სადაც ნათლად ჩანს მისი პიროვნული ხიბლი, უნიკალური პიროვნული თვისებები, რომლიც კოლხეთის მიწაზე აღზრდილ შვილს ვლადიმერ გაგუას შეეფერება.

ვლადიმერ გაგუა დაიბადა 1927 წლის 14–მარტს.დაწყებითი განათლება კოტიანეთში მიიღო, შემდეგ კი ძველ სენაკში გადავიდა სასწავლებლად. დიდმა შრომისმოყვარეობამ და სწავლისადმი ინტერესმა თავისი შედეგი გამოიღო. სკოლა წარჩინებით დაამთავრა,სოფელში დაბრუნდა და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

მძიმე პერიოდი იყო – მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომი, მილიონობით ხალხი იყო გაჭირვებაში და მათ შორის გაგუების ოჯახიც. ლადოს უფროსი ძმა ომში წაიყვანეს მთელი ოჯახის სიმძიმე ლადოს დააწვა.

1944 წელს უკვე ომის ბედი გადაწყვეტილი იყო **„საბჭოთა ხალხის"** წარმატება გარანტირებულ გახლდათ. ამ დროს ლადო დიდ იმედებს ამყარებდა ძმაზე რომ ის ომიდან დაბრუნდებოდა და ოჯახი ეკონომიურად მომძლავრდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ მისი ძმა დაიღუპა. ბატონ ვლადიმერმა სოხუმში გაზეთ **„საბჭოთა აფხაზეთის"** რედაციაში დაეწყო მუშაობა. ამ რედაქციაში მუშაობდა ლადოზე 5 წლით უფროსი და – ლეილა, რომელიც ფაქტიურად მას სოხუმში დედობას უწევდა. იმ დროს **„საბჭოთა აფხაზეთის"** რედაქციაში, საუკეთესო ჟურნალისტები იყო თავმოყრილი, როგორიცაა: გიორგი მერკვილაძე, ხუტა ბუსულავა, ხ. ახალაია, ო. ოკუჯავა და სხვები. მათთან თანამშრომლობამ ვლადიმერს დიდი ცოდნა და გამოცდილება შესძინა.

1946 წელს ვლადიმერ გაგუა ტოვებს სოხუმს და თბილისში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოდის. საბუთები უნივერსიტეტის ფილოსოფია ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის გახსნით შეიტანა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი ერთ–ერთი ყველაზე ძლიერი ფაკულტეტი იყო, სადაც ასწავლიდნენ მსოფლიო დონის მეცნიერები, აკადემიკოსები, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, პროფესორები: სერგი დანელია, კოტე ბაქრაძე, პავლე წერეთელი, ამ ატმოსფეროში მოუხდა სტუდენტობა და სულიერი ფორმირება და სწორედ ამან მოახდინა გავლენა მისი ცხოვრების გზის არჩევაზე.

1951 წელს მან წარმატებით დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი ფსიქოლოგიის პედაგოგიკის კვალიფიკაციით. 1954 წელს აისრულა თავისი დიდი ხნის სურვილი და საკონკურსო გამოცდების წარჩინებით ჩაბარების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს განათლების სამინისტროს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა საკვლევ სამეცნიერო ინსტიტუტის ასპირანტურაში, პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სპეციალობით, რომელიც 1957 წელს დაასრულა.

ასპირანტურის სამი წელი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ მოემზადებინა და დაეცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ვლადიმერის გაცნობა დრამატულად მოხდა – ნახევარი საუკუნის წინ, ამჟამინდელი **"თავისუფლების"** მეტროში შევხვდი მეგობარს – გრიგოლ მჭედლიშვილს, რომელიც იმ დროს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხმგებელი მუშაკი გახლდათ. მთხოვა დაიცადე და **„ბაჯაღლო"** კაცს გაგაცნობო. დავინტერესდი, როგორც დღეს, მითუმეტეს მაშინ ქვეყანა სავსე იყო ისეთი ადამიანებით, რომელთა შემკობა შეამებოდა. ჩემ ინტერესს ისიც აძლიერებდა, გრიშა სახოტბო სიტყვებს უხვად არ არიგებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოგვიახლოვდა სიმპათიური გარეგნობის, სათნო გამომეტყველების მომღიმარი, მშვიდი, მოკრძალებული ახალგაზრდა კაცი. გრიშამ გამაცნო.

ვლადიმერი იმ დროს კომკავშირის კიროვის რაიონის პირველი მდივანი იყო. პირადად არ ვიცნობდი მას, მაგრამ ბევრი კარგი მქონდა გაგონილი მისი გაწონასწორებულობისა, გულისხმიერებასა და კაცურ კაცობაზე. ჩვენ ხშირად ხვდებოდით ერთმანეთს მეგობრებთან ერთად. მალე ჩვენი ნაცნობობა მეგობრობაში გადაიზარდა. პირველი ჩემი შდაბეჭდილება ბოლომდე ურყევი დარჩა და რაც დრო გადიოდა ვრწმუნდებოდი მეგობრებს მისთვის შესაფერისი სახელი შეერქვათ... იგი უმალ იპყრობდა თანამოსაუბრის ხიბლს გულით, ჰუმანურობით, სიწმინდით, საღი აზროვნებით, იუმორის საოცარი გრძნობით, გაჭირვების დროს თანადგომით, დაუოკებელი სურვილით, სამშობლოს, ქართული ტრადიციების, სიყვარულითა და პატივისცემით, მაღალი საზოგადოებრივი აქტივობით.

იგი ძალიან მალე შეიყვარა რაიონის ახალგაზრდობამ ქალაქის აქტივმა. ეს იოლი საქმე როდი იყო მან ძალიან მალე დედაქალაქში ღირსეული ადგილი დაიკავა პარტნომენკლატურაში შესვლა, პრესტიჟულ თანამდებობაზე არჩევა, მეგობრების შეძენა შემთხვევით არ ხდება, ეს მხოლოდ ერთეულების ხვედრია. ვლადიმერის გამორჩეულობაზე მისი სამსახურებრივი საქმიანობის დინამიკა მიუთითებს. ვლადიმერს თავის ავტობიოგრაფიაში შეტანილი არ აქვს, მაგრამ ფაქტია – პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვლადიმერს რეკომენდაცია მისცა ქუთაისის ოლქის კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. მაგრამ საკავშირო მთავრობამ ქუთაისის ოლქი და თბილისის ოლქი.

მქონდა ბედნიერება წლების განმავლობაში მემუშავა კიროვის რაიონში ხელმძღვანელ თანამდებობაზე და ბევრი რამ ვიცი რაიონის აქტივის წევრ ვლ. გაგუაზე. თავის უაღრესად თბილი და კეთილშობილი ადამიანის თვისებებით, დიდი ორგანიზატორული ნიჭით. საყოველთაო ყურადღება მიიქცია.

ვლადიმერზე ბევრი დაიწერა და კიდევ ბევრი დაიწერება, როდესაც ქვეყანაში სამართლიანობა აღსდგება, რადგან ვლადიმერი გადის იმ სამეულთა რიგებში, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებასა და თეორიას... მასზე გამოქვეყნდა სქელტანიანი წიგნი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვლადიმერის ადრინდელი მოღვაწეობის პერიოდი ძალიან მკრთალად არის შესული. ამიტომ ვაწოდებ ქართველ მკითხველს ზოგიერთ ფრაგმენტებს ვლადიმერის ცხოვრებიდან.

ვლადიმერის ხელმძღვანელობით რაიონის ახალგაზრდების მიერ ბევრ საინტერესო წინადადებებს შეესხა ფრთები. ომის უბედურება მისმა ოჯახმაც განიცადა, ძმა დაკარგა ომში და ამიტომ დაღუპულთა და ინვალიდად დარჩენილთა ოჯახებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ამ მიზნით შეიქმნა რაიონში სპეციალური ბრიგადები, ისინი უსასყიდლოდ ურემონტებდნენ ბინებს, ეხმარებოდნენ საკარმიდამო მიწის დამუშავებაში. აი, რას წერს ომში დაღუპულის მეუღლე კ. ბოჭორიშვილი **"ახალგაზრდა კომუნისტის"** რედაქციას **„არა ვარ მარტოსული გამუდმებით ვგრძნობ მზრუნველობას და ყურადღებას, რაიონის ახალგაზრდებმა უთუოდ შემიკეთეს საცხოვრებელი ბინა, გამიწიეს ფულადი დახმარება".**

ვლადიმერის უშუალო ინიციატივით რაიონის კომკავშირელებმა შექმნეს მრავალნაციონალური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც დახმარებას უწევდა მხატვრული თვითშემოქმედების სახლი კომპოზიტორ ჩირინაშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა ფართოდ გაითქვა სახელი, ატარებდა კონცერტებს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში და შემოსული თანხა ხმარდებოდა ზემოაღნიშნული კატეგორიის ოჯახებს. რაიონის კომკავშირელები, ვლადიმერის ხელმძღვანელობით ამით კი არ კმაყოფილდებოდნენ, ისინი ეხმარებოდნენ მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე არამარტო ომში დაღუპულ და ინვალიდების ოჯახებს არამედ მარტოხელა დედებს, ინვალიდებსა და პენსიონერებს, მიწის დამუშავებაში. ამას მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარე კ. დანელია გაზეთ **„კომუნისტში"** გამოქვეყნებულ მადლობის წერილში წერდა. კომკავშირელთა მოძრაობას შეუერთდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები და შრომა უფრო მრავალფეროვანი გახდაო.

ვლადიმერის პერიოდში აშენდა რამდენიმე მარტივი ტიპის მოედნები, სტადიონები და სხვა.

კიროვის რაიონის ახალგაზრდების ინიციატივით პირველებმა რესპუბლიკაში გააკეთეს შინმოუსვლელთა სტენდი, ეს ინიციატივა შემდეგ ფართოდ აიტაცეს და საყოველთაო ხასიათი მიიღო. არ რჩებოდა დარგი რაიონში, სადაც კომკავშირელ ახალგაზრდებს თავისი სიტყვა არ ეთქვათ.

ვლადიმერის იუმორმა, სამკერვალო გაერთიანება **„ამირანს"** მარტივი ტიპის მოედანი შესძინა. სხვა ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.

ვლადიმერ გაგუამ თავისი ნათელი გონება, გულის სითბო, ღრმა აზროვნება, დაუშრეტელი ენერგია, დიდი ნებისყოფა მოახმარა საქართველოში პედაგოგიური მეცნიერების განვითარების საქმეს.

ვლადიმერ გაგუა იყო, მუდამ მშვიდი, მოკრძალებული, დინჯად მოლაპარაკე, ნელად მოსიარულე... მისთვის მახასიათებელი იყო: მომხიბვლელი უშუალობა, დიდი ჰუმანიზმი და სიბრძნე, ტაქტი, ზომიერების გრძნობა, საოცარი გულისხმიერება, სულგაშლილობა... იყო პიროვნება, რომელმაც არ იცოდა გულში ჩატოვება წყენისა, ადვილად შეეძლო პატიება, არ ძალუძდა ჩასაფრება, თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ვმეგობრობდი, არავისზე საყვედური არ დასცდენია და შეურაცხყოფაც არავისთვის მიუყენებია. ერთი სიტყვით, ქრისტიანული წესით ცხოვრობდა და ზნეობის ნიმუში იყო, ამიტომ მეგობრების ფართო წრესა და ქართულ საზოგადოებაში განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ვლადიმერის პიროვნული თვისებები კარგად არის ასახული მისი მეგობრების, კოლეგების, შვილების, ნათესავების მოგონებებში, რომელიც თანდართული აქვს წიგნს.

ცალკე საუბრის თემაა ვლადიმერის ურთიერთობა, მეუღლესთან ქალბატონ ნელი ახვლედიანთან. ნელი არაჩვეულებრივი სილამაზის გოგონა იყო, საოცრად ნაზი და მიმზიდველი, ქალური კდემამოსილება, დარბაისლური ბუნება სიცოცხლის ბოლომდე გაყვა. შესანიშნავი ოჯახი შექმნეს და უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის. მათი ურთიერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემა იმდენად ამაღლებული იყო, მარტო ნაწარმოებებში ამოიკითხავდით.

სამი შვილი შესძინა ქალბატონმა ნელიმ ვლადიმერს. დალი, გია ლევანი. სიკეთით სავსე ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს – მოულოდნელად გარდაიცვალა მისი ქალიშვილი, ინსტიტუტის გამორჩეული სტუდენტი ორი შვილის დედა. ეს თავზარდამცემი იყო არა მარტო გაგუების ოჯახისათვის, არამედ ყველა მათთვისაც, ვინც მის ოჯახს იცნობდა. სწორედ ამ უბედურებას ვერ გაუძლო ვლადიმერის მეუღლემ ნელიმ...

ვ. გაგუამ 60-იან წლებში დაასრულა ფუნდამენტალური მონოგრაფია **„სახალხო განათლება მე–19 საუკუნის რეფორმის შემდეგ საქართველოში"**. ამ ნაშრომში მან გააგრძელა პროფესორ გიორგი თავზიშვილის მიერ დაწყებული საქმიანობა, კერძოდ შეისწავლა სახალხო განათლებისა და პედაგოგიური იდეების გავრცელების ისტორია 19–ე საუკუნის საქართველოში. ნაშრომში განხილულია ის დიდი ბრძოლა, რასაც ეროვნული სკოლებისათვის ქართულ ენაზე სწავლების მოპოვებისათვის მიმდინარეობდა მე 19 – საუკუნის 70 წლიდან საუკუნის ბოლომდე. შემდეგში ნაშრომი სადოქტორო დისერტაციად წარადგინა და დაცვა 1971 წელს შედგა. 1974 წელს საკავშირო უმაღლესმა საატესტატო კომისიამ მას მიანიჭა პედაგოგის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო იგივე კომისიამ 1976 წელს მიანიჭა პროფესორის წოდება– წიგნი რუსულ ენაზეც არის გამოცემული. გავიდა წლები ვლ. გაგუა თავად გახდა ცნობილი მეცნიერი პედაგოგიკის მეცნერებათა დოქტორი, პროფესორი, მაგრამ გამოჩენილი მასწავლებლისადმი დიდი მადლობის გრძნობა მას არასოდეს განელებია.

ამ მადლიერების გამოხატულებაა სწორედ მისი წიგნი **„გიორგი თავზიშვილი"**,რომელიც გამოქვეყნდა 1977 წელს. გიორგი თავზიშვილის მოწაფემ თავის უშუალო მოვალეობად მიიჩნია, რათა გაეცნო ფართო საზოგადოებისათვის თავზიშვილის ღვაწლი ქართულ მეცნიერებაში. მანვე

გაგრძელება მე-12 გვ. ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი - ქართველ ერის ისტორია

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.

ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.

მოვიყვანთ კიდევ ერთ წმინდა გიორგის დღეობის დროს შენახულ ჩვეულებას. ქ. ახალსენაკის მახლობლად სოფ. სუჯუნას ძველი განთქმული წმინდა გიორგის საყდარი დგას. 23 აპრილს აქ მთელ სამეგრელოდან მრავალზე უმრავლესი მლოცავი ხალხი მოიყრის ხოლმე თავს. დღესასწაულის წინა დღეს ერთს სათნოებით და სიწმინდით განთქმულს მოხუცებულს ამოირჩევდნენ ხოლმე, მთელს ღამეს ეკლესიაში დასტოვებდნენ; ის ღამეს მას ლოცვაში და ოცნებაში უნდა გაეთენებინა. დილით, ვიდრე წირვა დაიწყებოდა, საყდარში ნამყოფ მოხუცებულს გამოიყვანდნენ ერთ მაღალ ადგილას დააყენებდნენ ხოლმე და იქიდან იგი შეკრებილს ერს, სამეგრელოს ბატონსა და მცხოვრებლებს მომავალ წლის თავგადასავალს უწინასწარმეტყველებდა ხოლმე. ამ ჩვეულებაში ყურადღების ღირსი ის გარემოება, რომ სათნოებით და სიწმინდით განთქმულმა მოხუცმა ღამე ეკლესიაში უნდა გაათენოს, რომ **მხოლოდ წმინდა გიორგისაგან** და **ღამით**, მაშასადამე, შეუძლიან კაცს ადამიანის მომავალი შეიტყოს. ეს ჩვეულებაც მთვარის თაყვანის ცემის ნაშთია; მომავალის წინასწარმეტყველი მოხუცი ფშავ-ხევსურების ხევსურებისა და დეკანოზის მოვალეობას ასრულებს.

რომ ხალხი წინასწარმეტყველებას, ბოდვას, ქადაგად დაცემას მთვარის გავლენითა ხსნის, იქიდან სჩანს, რომ მეგრელები ისეთ ავადმყოფობას, როცა ყმაწვილს საშინელ სიცხეს მისცემს და ბოდვას დააწყებინებს ხოლმე, **„თუთაშის“** უძახიან; ხოლო **თუთაში** მეგრულად ნიშნავს **„მთვარის“** ავადმყოფობას.

დასავლურ სვანურ წმინდა გიორგობაზე მეკერმისა და ფარისევლის კვირას, წირვის დროს რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი დიდით პატარამდე წმინდა გიორგის საყდარში მიდიან. ყველას ხელში ანთებული არყის ხის ტოტები უჭირავს. ეკლესიასთან რომ მივლენ; ანთებულ ხეებს ერთი-ერთმანეთზე დასდებენ და დიდ ცეცხლს გააჩენენ ხოლმე. მერე ხალხი „დიდებ“-ის ლოცვას და გალობას დაიწყებს. დიდებას მორჩება თუ არა ხალხი სიმღერით შინ ბრუნდება, ორშაბათამდის ღამეს სიმღერათამაშობაში გაათენებს ხოლმე. ამ დღეობას სვანები „ლიმპიარი“-ს უძახიან და ქართულს ლამპრობას უდრის. სვანებშიაც წმინდა გიორგობა კვირას შუადღეს იწყება, მთელ დამეს გასტანს და სადამო ხანს თავდება; სვანურ წმინდა გიორგობაში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი „ლამპიარის“-ს ჩვეულებაა. ასეთივე ჩვეულება გურიაშიც სცოდნიათ. „ქართლის ცხოვრებ“-იდანა სჩანს, რომ ლამპრობა ძველი ქართული ჩვეულება ყოფილა; კვირიკე ქორიკოზის შესახებ იქ ნათქვამია: „კვირიკემ ესე პირი ითხოვა, რათა მას, ზამთარსა არა ადიღონ ციხე ბოჭორმისა და შემოდგომად აღვსებისა წარვიდეს და ნება სცეს; ამისთვის აღიღეს მისგან ციხე ნახჭევანისა და შვილი ერთი უმრწემესი სახელით დავით მძევლად და განუტევეს **დღესა ლამპრობასა...** და კვირიკე შევიდა ბოჭორმას, ეკაზმოდა და ლამობდა შემდგომად აღვსებისა წარსვლასა როგორც ამ ნაწყვეტიდანა სჩანს, მაშინაც ლამპრობა დახლოებით იმავე დროსა სცოდნიათ, როდესაც ეხლა სვანები დღესასწაულობენ.

ზემოდ "ნაციხურობი"-სა და "ლიმპიარი"-ს აღწერის დროს გამორკვეული იყო, რომ წმინდა გიორგობას თავსაც და სწორებსაც ორშაბათობით იმიტომ უხმობენ, რომ ორშაბათი ქართველების სარწმუნოებრივ შეხედულობის თანახმად მთვარის დღე (თუთაშხა, დოშდილ) იყო. ეხლა როცა დამტკიცებულია, რომ მთვარე ქართველების უმთავრესს და ძლიერ ღვთაებად ითვლებოდა, ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ თუ რომელი დღე უნდა ყოფილიყო ჩვენი ხალხის საზოგადო უქმე დღედ. რასაკვირველია, კვირა არ იქნებოდა; იმიტომ-კი არა რომ ამ დღის უქმობა ქრისტიანობას შემოჰყვა, რადგან როგორც მზის დღე (ჟახა, მიჟლადელ) შესაძლებელი იყო ქართველებს მზე უმთავრეს ღვთაებად აღეარებინათ ქრისტიანობის წინადაც და წარმართობის დროსაც ეუქმათ. კვირა იმიტომ ვერ იქნებოდა უქმე დღედ, რომ მზე ქართველებს ისე სწამდათ როგორც მთვარე; მაშასადამე ქართველების ჩვეულებრივ უქმე დღედ ორშაბათი უნდა ყოფილიყო: ამისი კვალი ეხლაც ცხადად ეტყობა ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებას. ხევსურები, მაგალითად, პარასკევსა და შაბათ-კვირას გარდა ორშაბათობითაც უქმობენ. ქართლშიაც ნაადგომების პირველ კვირიდან მოყოლებული ვიდრე მკა არ გათავდება ორშაბათობით არ შეიძლებოდა მუშაობა.

ეხლა, როცა გამოირკვა რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველ ქართველების სარწმუნოებაში მთვარეს და მის მდგომარეობას, მცხრალისა სრულისა და მთვარის აღვსების გამოცნობას, რასაკვირველია, ხატის მსახურებს უნდა კარგად სცოდნოდათ მთვარის ანგარიში. სწორედ ასე იყო კიდეც. ფშაველსა და ხევსურს ხევის ბერსა და დეკანოზს, რომ ჰკითხოთ, ამბობდა ამ ორმოცდა ათი წლის წინათ. ერისთავი, მთვარე რამდენი დღისაა, ერთ წამსვე მიიღებთ სწორე პასუხს. ვინ არ იცის, რომ საქართველოში ამ ოცი წლის წინათ ყველამ, ზოგმა ეხლაც კი, ჩინებულად იცოდა მთვარის როდენობის გამოანგარიშება.

ჩვენი დასკვნა, რომ წმინდა გიორგის საქართველოში მთვარის ღვთაების ადგილი უკავია არაფერი უშლის რა, რადგან ქართულ ხალხურ შეხედულობით მთვარე სქესით მამაკაცია; ეს ცხადად სჩანს შემდეგ საერო ლექსიდან:

„ნათელმა მთვარემა ბრძანა:
ბევრით მე ვჯობივარ მზესა.“
დაჯდა, დასწერა წიგნები,
ზენა ქარი მიათრევსა.
მზეს რომ კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
„მე და ვარ და ის ძმა არის
რად ვძულდებით ერთმანეთსა“.

ამ ლექსზე დამყარებულ დასკვნას, რომელიც ქართველ ხალხის საზოგადო რწმენას წარმოადგენს, ვერ დაარღვევს სტრაბონის აღწერილობის ის ადგილიც, სადაც იგი ამბობს, რომ საწირავს მოუტანდნენ ხოლმე ღვთაებას და ღვთაება მდედრობითი სქესის სიტყვით არის აღნიშნული; არ არღვევს იმიტომ, რომ სტრაბონი ამ შემთხვევაში მდედრობით სქესს და არა მამრობითს იმის გამო ხმარობს, რაკი **Σελήνη** მთვარე ბერძნულში მდედრობითი სიტყვაა. რომ ქართველების შეხედულებით მთვარე მამაკაცია, ხოლო მზე ქალია, იქიდანა მტკიცდება, რომ ყველა საკუთარი სახელები, რომლებშიაც მზეა ჩართული, უეჭველად განსაკუთრებით ქალების სახელია, მაგალითად, ფშავებსა და ხევსურებია ქალური სახელები: მზია, გულთამზე, მზევინარი, მზექალა". ამავ აზრს ერთი ქართული იავნანაც ამტკიცებს: გამდელი ასე დამღერის ხოლმე ბავშვს:

„დაიძინე გენაცვალე, იავ, ნანინა,
მზე დაწვა და მთვარე შობა, იავ, ნანინა!

რაკი მზეს ლოგინად დაწოლა და შობვა შესძლებია, უეჭველია იგი ქალი უნდა იყოს, ხოლო მთვარე მაშასადამე ვაჟი.

ამასვე ამტკიცებს შემდეგი მეგრული სახალხო ლექსი:

„ბჟა დია ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი,
ხვიჩა ხვიჩა მურიცხეფი
და დო ჯიმა ჩქიმი“

მზე **დედაა** ჩემი
მთვარე (თუთუ) **მამაა** ჩემი,
სხვა და სხვა ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი".

ყურადღების ღირსია, რომ პონტოში და ფრიგიაში, სადაც ერთ დროს ქართველი ტომები ბინადრობდნენ, სტრაბონის სიტყვით მთვარის თაყვანისცემა გავრცელებული ყოფილა. მაგალითად იგი მოგვითხრობს, პონტოს ქალაქ კაბირას ფარნაკის საყდარია, სოფელ-ქალაქი ამერია ეკუთვნის, ბევრი მონები ჰყავს და სახატო მიწებიცა აქვს, რომელსაც ყოველთვის მთვარისთვის ტაძრები ფრიგიასა, კარიასა, პიზიდიის ან ანტიოქიაში იყო. მთვარე უმთავრეს ღვთაებად ითვლებოდა და მეუფეს ეძახდნენ; საცა-კი გამოსახულია იგი, ყოველთვის ხელში ქვეყნის მპყრობელობის აღმნიშვნელი სფერო უჭირავს, ზეცისა და ქვეყნის ბატონია. <u>იგი აძლევს დედამიწას უხვ მოსავალ, ხოლო ადამიანს მფარველობას უწევს და დაჩაგრულს ექომაგება ხოლმე; საკმარისია მიმძლავრებულმა კაცმა მთვარეს შესჩივლოს, დაარისხოს თავისი შემავიწროებელი და ამ ღვთაების ტაძარში თავის მტრის წინააღმდეგ ჯოხი დასტოვოსო, რომ მაშინვე მთვარის ღვთის რისხვა დასტყდომოდა თავზე;</u> მხოლოდ თავის დროზე შეწირული სამღთო თუ იხსნიდა ამ სასჯელისგან, თორემ სხვა ვეღარაფერი უშველიდა მას. თავისი მონების პირით მთვარე თავის სურვილსა და ბრძანებას ადამიანებსა ატყობინებდა ხოლმე; ამ გვარი რწმენა არსებობდა ზემოაღნიშნულ ქვეყნებში. მამალი ამ ღვთაების ფრინველად ითვლებოდა, იმიტომ რომ მამალმა ღამე ყივილი იცის. ხშირად როცა მთვარე-ღმერთი ადამიანად გამოსახული არის ხოლმე, მხრებს უკან მცხრალ მთვარის წვეტები რქების მსგავსად უჩანს; ამ ნიშნით მისი ვინაობის გამოცნობა ადვილია. უეჭველია აგრეთვე, რომ ბოგაზკიოიში ნაპოვნია ერთი უცნობი ღვთაების ქანდაკება, რომელსაც შუბლზე რქები აქვს გაკეთებული, აგრეთვე მთვარის ღვთაების ქანდაკებად უნდა ჩაითვალოს; ხარის რქებიც ჩვეულებრივ მთვარის ნიშნად ითვლებოდა. **ყველგან,** მაშასადამე, **სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილია; ამის გამო მთვარის, ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველ ტომების უუძველესი სარწმუნოებად უნდა ჩაითვალოს.**

ქართულ ხალხურ თქმულებების შესწავლამ დაგვანახვა, რომ წმინდა გიორგისა (მთვარეს ღვთაებასა) და ღმერთს ელია მისდევს; იგი იმ ღვთაების მოადგილედ უნდა იყოს, რომლებიც **ღრუბლების სამფლობელოს**, წვიმა-სეტყვის, ელვა-მეხის ბატონი იყო; უეჭველია აქაც ძველი წარმართობის დროინდელი სარწმუნოებრივი შეხედულებაა შერჩენილი. კახეთში და ქართლში ისეთი ჩვეულებებია შენახული, რომელნიც უთუოდ ამ ღრუბელთა ბატონის ღვთაებას თაყვანისცემისა და მსახურების ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. როცა ზაფხულში გვალვას დაიჭერს ხოლმე, სოფლის გოგოები შეიყრებიან ერთად, „ლაზარს" გააკეთებენ ხოლმე, სოფელში დადიან და მღერიან:

„ახ, ლაზარე, ლაზარე! "
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა
ცხავი აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა,
ღმერთო, მოგვეც ცის ნამი,
აღარ გვინდა მზის თვალი
„ღმერთო, მოგვე ტალახი,
აღარ გვინდა გორახი".

ხოლო, როცა დიდხანს წვიმს, და ავდარია ჭირნახულს ალპობს, მაშინ შემდეგ დიდებას გალობენ ხოლმე:

„ახ, ლაზარე, ლაზარე! "
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა
ცხავი აცხავებულა,
დარი აჩქარებულა,
„ახ, ლაზარე, ლაზარე!
ცას ღრუბელი აჰყარე!
აღარ გვინდა ცის ნამი
ღმერთო, მოგვეც მზის თვალი!
აღარ გვინდა ტალახი,
ღმერთო მოგვეც გორახი!"

რომელს სახლთანაც-კი მივლენ გოგოები, იმ სახლიდან პატრონი გამოდის, კვერცხებს და ფქვილს აძლევს; ხოლო „ლაზარესა" და ზოგჯერ გოგოებსაც წყალს დაასხამს ხოლმე. შეგროვილ კვერცხებსა და ფქვილს ჰყიდიან და გამორჩენილ ფულით ბატკანსა და თხასა ყიდულობენ; ბატკანს ღმერთს შესწირავენ ხოლმე, თხას – ელიას. ქართლში, მაგ. სოფელ ახალქალაქში, ამნაირივე ჩვეულება იციან, მხოლოდ „ლაზარეს" კი არ აკეთებენ, არამედ ერთ ქალს ამოირჩევენ ხოლმე სოფლელები და კარ-და-კარ რომ სიმღერით მოუვლიან სოფლელები ამ ამორჩეულ ქალს დაასხამენ ხოლმე წყალსა. უეჭველია ორივე ჩვეულება ძველ, წარმართობის-დრინდელ, ღრუბელთა ბატონის ღვთაებისადმი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლური მოქმედებაა. თუშებს ერთი საყურადღებო ჩვეულება ჰქონდათ. ვახუშტი მოგვითხრობს, რომ მათ „აქუსთ კლდე დიდი და მაღალი და დღესა ილია წინასწარმეტყველისასა მივლენ და შესწირავენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა თაყუანისცემენ კლდესა მას, და რა იგი ესმის კლდისა მისგან რწამთ უმეტეს ყოვლისა იგი". ს. სორში ელიაობა ნაადგომებს სამ პირველ კვირიაკეს ხუთშაბათობით აგრეთვე 20 ივლისს და სექტემბერში იციან ხოლმე.

რასაკვირველია ქართველების უძველეს სარწმუნოებაში მთვარისა, მზისა (ღმერთი შემოქმედი ხალხის აწინდელ წარმოდგენით) და ღრუბელთა ბატონის გარდა სხვა ღმერთებიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათი ვინაობისა და სახელების შესახებ გამოკვლევა არ დამიმთავრებია, ამიტომ აქ ჯერჯერობით ღვთის-შობლობას გარდა სხვას არაფერს შევეხები. უეჭველია, რომ ღვთისმშობელსაც ერთ-ერთ ძლიერ უძველეს ქართულ ღვთაების ადგილი უკავია, ვგონებ დედამიწის ღვთაების ადგილი უნდა ეჭიროს. ქართული განთქმული დღესასწაული „ვარდობაი ღვთისმოშობლისაი", ანუ "ვარდობა"-ც ძველის-ძველ, წარმართობის-დროინდელ დღესასწაულის ნაშთია. მაგრამ ამ საგნის გამორკვევისათვის უფრო დაწვრილებით გამორკვევაა საჭირო. ყურადღების ღირსია, რომ ვარდობის დღესასწაული მთვარის თაყვანისცემასავით ყველგან გავრცელებული იყო, საცა ქართველი ტომები ბინადრობდნენ.

(გაგრძელება შემდე ნომერში)



გთავაზობთ ნაწყვეტს ნაპო მესხიას წიგნიდან

„როგორ გასხვისდა აფხაზეთი"

ასეთ დროს მეტი სიმშვიდე და მოთმინება იყო საჭირო. უნდა მოგვეღო სახელმწიფოს ძირითადი კანონი, სადაც აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოწყობის საკითხიც იქნებოდა გათვალისწინებული. ამით მოხდებოდა ინტერესთა შეჯერება და უფლებამოსილებათა გამიჯვნა. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა შეგვეჩერებინა არსებული კონსტიტუცია და არ უნდა შეგვექმნა სამართლებრივი ვაკუუმი. არ უნდა დაგვეშვა პრეცედენტი იმისა, რომ ამით ესარგებლა აფხაზურ მხარეს და აღედგინა 1925 წლის კონსტიტუცია.

შექმნილ ვაკუუმს საკანონმდებლო შევსება სჭირდებოდა.

გარდა ამისა, სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკოსებს, როგორც ადგილობრივს, ასევე ცენტრალურს, დაავიწყდათ, რომ რუსეთი საქართველოს ასე იოლად არ დათმობდა. შემდგომშიც, ჩვენს ქვეყანაში მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ის რომ ყოველთვის გამოიყენებს ყოველგვარ პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ხრიკს, ეს უნდა გვცოდნოდა!

ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს!

ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო, უთქვამთ. წინდახედული ნაბიჯი დროზე უნდა გადაგვედგა. დროზე უნდა შევსულიყავით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (თუ ეს საჭირო იყო და თუ ვაპირებდით საერთოდ!) უსისხლოდ, როგორც ეს სხვა ქვეყნებმა გააკეთეს. თუნდაც სოჭის ხელშეკრულების შემდეგ, მის ფასად უნდა მიგვეღწია რუსეთთან ისეთი შეთანხმებისათვის. მაგრამ აღმოჩნდა, რომ **დსთ**-ში შესვლა სჭირდებოდა ხელისუფლებას მხოლოდ სავარძლების შენარჩუნებისათვის.

ყოველივე ეს აქსიომატურია, თუ გავითვალისწინებთ იმ დროისათვის გერმანიაში შექმნილ ვითარებას.

გეთანხმებით, რომ ქართველებსა და საქართველოს კოლონიზატორშიც არ გაგვიმართლა.

სჯობდა საფრანგეთი ან გერმანია, თუ სიმართლეს ვიტყვით, **დსთ** საუკეთესო ვარიანტი არ იყო. მაგრამ რუსი აქ არაფერ შუაშია, ამიტომ არ შეიძლებოდა ლანძღვა-გინება ყველაფრის, რაც რუსეთთან იყო დაკავშირებული.

დიდ შეცდომა და პოლიტიკური სიბეცეა (ღიმილისმომგვრელის კი – **„ილორი“**) რუსეთთან მიმართებაში კუნთების დემონსტრირება, იარაღის ჟღარუნი და მილიტარისტული რიტორიკით საუბარი, ისევე, როგორც სატელევიზიო გადაძახილები, ზოგჯერ უაღრესად უკადრისი და შეურაცხმყოფელი სიტყვებით. ეს არ ეკადრება არავის, არც სახელმწიფო მოხელეს, მით უმეტეს პრეზიდენტს, რასაც არაერთგზის ჰქონდა ადგილი და გრძელდება დღემდე. ისინი, ეტყობა არ სცნობენ კრილოვის იგავს იმის თაობაზე, თუ როგორ უღრენდა ვეებერთელა სპილოს საბრალო ფინია. სწორედ ასეთი ღიმილისმომგვრელი სიტუაცია იქმნება, როდესაც საქმე მიდის იქამდე, როცა ჩვენი მინისტრები **„ომახიანად“** გვარწმუნებენ რომ ვართ მაგრები, (ეს განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს გამოჩნდა – **„ილორი“**) საქმე ისე გვაქვს, რუსებს ეშინიათ ჩვენი.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

აფხაზებმა ჩვენ ყველაფერში გვაჯობეს!

ყველაზე სწორი რუსეთთან საერთო ენის გამონახვა და შინ აუჩქარებელი და წინდახედული პოლიტიკის გატარება გახლდათ. ახლაც არ ვადგავართ სწორ გზას, რადგან, როგორც გამოიკვეთა, ნატოში შესვლაც არ უზრუნველყოფს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დაბრუნებას.

არ უნდა ავჩქარდეთ, უნდა დავფიქრდეთ! უმჯობესია შედარებით უფრო მომგებიანი საშინაო საქმეების მოგვარება, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი დაკარგული ტერიტორიების აღდგენაზე, ნატოზე და ევროკავშირზე. სწორედ ამ პრობლემის მოგვარების შემდეგ იქნება მართებული ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების საკითხის წინა პლანზე წამოწევა. მანამდე კი რუსეთთან მეზობლური და მეგობრული ურთიერთობების აღდგენაა უფრო პრიორიტეტული. სხვაგვარად ნატოში ჩვენი გაწევრიანება გამოიწვევს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საბოლოოდ დაკარგვას. ოკეანის გაღმელ **“მეგობრებს”** ნაკლებად აინტერესებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მათი ინტერესები უკავშირდება მხოლოდ საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას.

ყოველივე ეს უნდა გავიაზროთ და გავაცნობიეროთ, უპირველესად ყოვლისა, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილმა მოსახლეობამ. ამისათვის დევნილი მოსახლეობა უნდა გაერთიანდეს და მისი წარმომადგენლები უფრო აქტიურად ჩაერთონ მიმდინარე პროცესებში. **აქ ბევრი რამ არის ჩვენზე დამოკიდებული. საჭიროა სახალხო მოძრაობის აღორძინება და სოფელ რუხში პერმანენტული აქციების გამართვა; სახალხო მოძრაობის, სახალხო დიპლომატიის სახელისუფლებო დონეზე აყვანა და მხარდაჭერა; დევნილი მოსახლეობიდან ადამიანთა ჯგუფის შერჩევა, რომლებსაც ძალუძთ აფხაზურ მხარესთან, უშუალოდ აფხაზი ხალხის წარმომადგენლებთან გახსნილი და გულწრფელი დიალოგის წარმართვა, საქმიანი ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენა; აფხაზეთის საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ან საგანგებო დავალებათა ელჩის სტატუსის შემოღება, პრეზიდენტის წარმომადგენლის აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაში მოძიება და დანიშვნა სათანადო მოვალეობებითა და პასუხისმგებლობებით; აფხაზებსა და ქართველებს (ხელისუფლებათა) შორის აქტიური და კონსტრუქციული დიალოგებისათვის სასურველი ნიადაგისა და ხელსაყრელი ვითარების ჩამოყალიბება;**

აღიარება იმისა, რომ მხოლოდ აფხაზებთან ერთადაა შესაძლებელი წარმოქმნილი უაზრო კონფლიქტის მოგვარება და აფხაზეთის (ყოველ ამ ფრაზაში მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ნაგულისხმევია სამაჩაბლოც – **“ილორი”**) საქართველოს სამართლებრივ სივრცეში მოქცევა; მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებთან ერთადაა შესაძლებელი აფხაზეთში დაბრუნებაც; აფხაზეთში, კერძოდ გალის რაიონში სასარგებლო სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელება, აფხაზებისათვის ალტერნატიული გარემოსა და არჩევნის პირობების გაჩენა – დღეს ესაა საქართველოს პრიორიტეტული აფხაზებთან მიმართებაში.

ეს მიდგომა, ჩვენეული ხედვა არაერთგზის იქნა მიწოდებული საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და უშიშროების საბჭოს მდივნისათვის, მაგრამ უშედეგოდ. არადა, ესაა ერთადერთი სწორი გზა, რადა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლების, კერძოდ, პრეზიდენტის ძალისხმევასთან ერთად.

მხოლოდ ასეთმა ერთობლივმა, წინასწარ გააზრებულმა, შეჯერებულმა საქმიანობამ შეიძლება გამოიღოს სასურველი შედეგი. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება პირველ რიგში რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება.

ეუთოსა და ევროკავშირის როლი ამ საქმეში ნაკლებად სარწმუნოა და იგი სასურველ შედეგს ვერ მოგვიტანს. აქ საჭიროა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობის ერთობა და მათი მყარი პოზიცია ხელისუფლების ძალისხმევასთან ერთად.

„საქინფორმის“ გვერდი



ზუგდიდელმა სამართალდამცავებმა შვეიცარიის მოქალაქე დააკავეს

ზუგდიდელმა სამართალდამცველებმა ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციულ საზღვარზე, სოფ რუხში, სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო შვეიცარიის მოქალაქე, 33 წლის ერიხ ჰაინც შტეფანი დააკავეს. ის ფსოუს საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან აფხაზეთის გავლით მოხვდა ზუგდიდის რაიონში.

შტეფანი ადრე ორჯერაა საქართველოში ნამყოფი, ფლობს ქართულ ენას. ის გაკვირვებულია მისი დაკავების გამო, რადგან რუსებმა და აფხაზებმა თავისუფლად გამოატარეს საზღვარზე, არც კი უთქვამთ, რომ ენგურს გაღმა პრობლემები შეექმნებოდა. მისი თქმით, არც ინტერნეტში და არც სხვაგან არ გაცნობია ინფორმაციას. **„აფხაზეთის გავლით საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე შესვლა თუ აკრძალული იყო, `ეს რომ მცოდნოდა უკან გავბრუნდებოდიო,“** - აცხადებს შტეფანი.

ოკუპირებული ტერიტორიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, საზღვრის უკანონო გადალახვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2-დან 4 წლამდე, მაგრამ ქართულმა მართლმსაჯულებამ შვეიცარიელი ტურისტის მიმართ **„ჰუმანურობა“** გამოიჩინა და მხოლოდ 1000 ლარით დააჯარიმა.

სამეგრელოს პოლიტიკური სტაგნაციის პერიოდი უდგას

ასპარეზზე არ ჩანან არც სახელისუფლო და არც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად მუშაობენ სამართალდამცველები, რომლებიც სრულიად აკონტროლებენ ვითარებას და რომლის გამოც ძალიან მაღალია შიშის სინდრომი. დაშინებული მოსახლეობა კი იმედით შეჰყურებს თბილისს და მოვლენათა განვითარებას ელოდება.

ერთადერთი პიროვნება, ვინც არ ეპუება არსებულ მდგომარეობას და არც შიშის განცდა გააჩნია, **„დაიცავი საქართველოს“** ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი კახა მიქაიაა.

ამჟამად ის სტუმრების მისაღებად ემზადება. რამდენიმე დღეში ზუგდიდში უნდა დაფუძნდეს **„ქართული პარტიის“** რეგიონული ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელიც, ალბათ, თვითონ იქნება.

”მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი” - ჰელოუინის წინააღმდეგ

როგორც ორგანიზაციის **„ენა, მამული, სარწმუნოება“** წევრმა ლადო სადღობელაშვილმა საქინფორმს განუცხადა რუსთაველზე ჰელოუინის დღესასწაული გაიმართება.

ლადო სადღობელაშვილი მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ დღესასწაულის ორგანიზატორები ჰელოუინში ცუდს არაფერს ხედავენ, ეს სატანისტური რიტუალია, რასთან შეგუებასაც არ აპირებს და გადაწყვეტილი აქვს **”მართლმადიდებელ მშობელთა კავშირთან”** ერთად ღონისძიების მსვლელობას ხელი შეუშალოს.

„ორგანიზატორები, ილიას უნივერსიტეტის რექტორატია და ისინი რუსთაველზე მსვლელობის მოწყობას აპირებენ. პეროვზე, ერთ-ერთ კლუბში კი, დასკვნითი ღონისძიებაც გაიმართება. დარბევას ან ძლადობას არ ვაპირებთ, მაგრამ მინდა მსგავსი რამ ჩვენს ქვეყანაში აღარ მოხდეს. ‘’მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის’’ მამაოებთან ერთად ვაპირებთ, პარაკლისი გადავიხადოთ რუსთაველზე და ღმერთს ვთხოვოთ, შეიწყალოს ისინი ამის გამო“.

”მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა” სპეციალური ბუკლეტები და ფლაერები დაბეჭდა და რუსთაველის გამზირის მიმდებარე სკოლებში დაარიგა. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა არის ჰელოუინი და რატომ არ შეიძლება მასში მონაწილეობის მიღება“.

აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნიდან ჰელოუინის დღესასწაული ყოველწლიურად, 31 ოქტომბერს, აღინიშნება ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადაში, ირლანდიაში, პუერტო რიკოში, იაპონიაში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში.

სააგენტო საქინფორმი

გუბერნატორი სავარძელს კარგავს

გავრცელებული ვერსიით, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს - ზაზა გოროზიას მალე მოაცილებენ მისდამი რწმუნებულ ტერიტორიას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის ისედაც მოცილებული იყო სამეგრელოს, იშვიათად თუ ნახავდა ვინმე ზუგდიდში და საერთოდ რეგიონში.

მას გარკვეული პრობლემები მისმა მეგობარმა, ამ რამდენიმე დღის წინათ საწვავის დატაცების ბრალდებით დაკავებულმა თემურ ჩიქოვანმა შეუქმნა, რომელმაც დაკავებისას ერთი ზარი ითხოვა და ისიც გუბერნატორს დაურეკა. თუმცა გოროზიამ მას ვერაფრით უშველა. დაკავებული თემურ ჩიქოვანი, რომელიც კინოთეატრ `ატრიუმის~ დირექტორი იყო (ეს კინოთეატრი მან არაკეთილსინდისიერი გზით ჩაიგდო ხელთ), გოროზიას მხარდაჭერით ცემენტის ბიზნესს ლობირებდა ზუგდიდში, რასაც ეწინააღმდეგებოდა გოროზიას მოადგილე ალექსანდრე ახვლედიანი. ჩიქოვანის დასმენით, გოროზიამ ახვლედიანი ვიცე-გუბერნატორის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

თუ ჩუსეთ-დასავლეთის და ჩუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მკვეთრად შეიცვლება, საქართველოს პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია

ალექსი არბატოვი

საერთაშორისო არენაზე მომხდარი ცვლილებებისა და საქართველოს მიმართ კრემლის სავარაუდო ნაბიჯებზე ინტერპრესნიუსი~ მოსკოვის კარნეგის ცენტრის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს, რუსეთის სათათბიროს ორგზის ექსდეპუტატსა და სათათბიროს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ორგზის ექსმოადგილეს, საერთაშორისო საკითხებში პროფესორ ალექსეი არბატოვს ესაუბრა. პროფესორი ალექსეი არბატოვი იმ რუს პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა მცირე ჯგუფს შორის იყო, ვინც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება საჯაროდ დაგმო.

– ბატონო ალექსეი, ვაშინგტონ-მოსკოვისა და ბრიუსელ-მოსკოვის თანამშრომლობის გაღრმავების ფონზე რჩება შთაბეჭდილება, რომ ევროპა და ამერიკაც კრემლს პოსტსაბჭოთა სივრცეში და კერძოდ საქართველოში დომინირების საშუალებას აძლევენ. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ამგვარი შეფასება?

– აბსოლუტურად არ შეესაბამება. რეალურად არაფერი შეცვლილა. უკრაინაში პრორუსულად განწყობილმა იანუკოვიჩმა კი მოიგო არჩევნები, მაგრამ ახლა უკრაინული ეკონომიკის კოლაფსისაგან გადასარჩენად მოსკოვს უამრავი ფინანსების დახარჯვა უწევს და ეს მაშინ, როცა უკრაინა კვლავ ევროკავშირისკენ ისწრაფვის. სრულიად ნათელია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეზე ნატო-ს გაფართოების თემა და უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას. ამან რუსეთის პოლიტიკა უკრაინისადმი მნიშვნელოვნად შეცვალა. რუსეთი უკრაინაზე დომინირებას და თავისი კონტროლის ქვეშ მოქცევას არ აპირებს. რუსეთი არ აპირებს უკრაინის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვას. მოსკოვი ხელს შეუწყობს უკრაინის ევროკავშირთან დაახლოებას, მაგრამ გვსურს, რომ უკრაინის ევროკავშირთან ინტეგრირება არა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ რუსეთთან ერთად და რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით მოხდეს. ახლა რუსეთი ყველა დონეზე აჩქარებს დიდ ევროპასთან ინტეგრირების პროცესს.

– ჰილარი კლინტონის განცხადებით, ვაშინგტონისა და მოსკოვის თანამშრომლობა აშშ-სა და რუსეთის პოზიციებს აახლოებს. თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება ამგვარმა თანამშრომლობამ საქართველოს საკითხზეც დადებითად იმოქმედოს?

_ რაც შეეხება საქართველოს, აქ ვითარება გაცილებით რთულია. ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხები ევროპული უსაფრთხოების ახალი ერთიანი სისტემის ფარგლებში უნდა გადაწყდეს. დასავლეთმა შეცდომა დაუშვა, როცა ევროპული უსაფრთხოების რუსული წინადადებები არ მიიღო. ასე რომ მომხდარიყო კოსოვოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები ევროკავშირის განსჯის საგანი გახდებოდა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კრემლის წინადადებების მიღების შემთხვევაში ხმათა უმრავლესობა რუსეთის სასარგებლოდ ნამდვილად არ იქნებოდა.

დარწმუნებული ვარ, დასავლეთს რუსეთის წინადადებები რომ მიეღო, ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდებოდა.

იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტი საკაშვილი რუსეთის მიმართ არაკონსტრუქციულ პოლიტიკას ატარებს და რბილად რომ ვთქვათ, კრემლისთვის არასასურველი პარტნიორია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების გადაჭრა ძნელია. მაგრამ პოლიტიკაში შეუქცევადი პროცესები და შეუქცევადი გადაწყვეტილებები არ არსებობს. ყველაფერი მოლაპარაკებების საგანია. თუ რუსეთსა და საქართველოს, ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობები მკვეთრად შეიცვლება, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსთვის მტკივნეული ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტა ყველა მხარის დაკმაყოფილებით შესაძლებელია. იურისტებს და პოლიტოლოგებს შეუძლიათ შეიმუშაონ ისეთი სქემები, რომლებიც მისაღები იქნებოდა როგორც საქართველოსთვის, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის და ევროკავშირისთვისაც.

– როგორ შეეძლო ევროპული უსაფრთხოების რუსულ წინადადებებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის დაჩქარება?

– იმ წინადადებებს, რომელიც ევროპის უსაფრთხოების ახალ არქიტექტურასთან დაკავშირებით რუსეთმა დასავლეთს შესთავაზა, უამრავი ნაკლი აქვს, მაგრამ დასავლეთს მისი, როგორც მოსკოვის მხრიდან დასავლეთისათვის დიალოგისათვის გაწვდილი ხელის მიღება შეეძლო, მაგრამ ეს არ გააკეთა. შესაძლებელი იყო დასავლეთს ევროპული უსაფრთხოების რეორგანიზაციის თავისი წინადადებები და პროექტები რუსეთისათვის განსახილველად შეეთავაზებინა, მაგრამ დასავლეთმა კრემლის წინადადებები საერთოდ არ მიიღო.

დასავლეთმა ჩათვალა, რომ საკმარისია ეუთოსა და ევროსაბჭოს ეფექტურობის გაზრდა, მაგრამ მას მხედველობიდან გამორჩა ის, რომ საჭიროა ევროპული უსაფრთხოების მთელი სისტემის რევიზია და რეკონსტრუქცია. არსებული სისტემა იმის გამო არ მუშაობს, რომ იგი `ცივი ომის~ მემკვიდრეობაა.

როგორც რუსეთ-საქართველოს კრიზისმა გვაჩვენა, არც ერთმა ევროპულმა სტრუქტურამ კრიზისის თავიდან აცილებაზე ვერ იმუშავა. ევროპამ შეცდომა დაუშვა, როცა რუსეთის წინადადებებს სიფრთხილით მოეკიდა. თუ რუსულ წინადადებებს გაეცნობით, მისი მუხლების უმრავლესობა დასავლეთის სასარგებლოდაა შედგენილი. დასავლეთს კრემლის ეს წინადადებები რომ მიეღო, რუსეთი გაცილებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ვიდრე დასავლეთი ანდა აშშ. ევროპული უსაფრთხოების რუსული წინადადებების ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, ასევე კოსოვოს საკითხების განხილვა. ხომ არ შეიძლება რომ გადაუჭრელი რჩებოდეს არა მარტო ეს, არამედ სხვა კონფლიქტები, ისეთები როგორიცაა დნესტრისპირეთის, მთიანი ყარაბაღის და კვიპროსის კონფლიქტები. ყველასათვის ნათელია, რომ ძველი კონსტრუქციის პირობებში მათი გადაჭრა შეუძლებელია. ასე უბრალოდ ჯდომა და ცდაც ხომ არ შეიძლება.

– კულუარებში ბევრს საუბრობენ, რომ მოსკოვი თბილისს საქართველოს კონფედერაციულ მოწყობას სთავაზობს. რამდენად საფუძვლიანია მოსკოვიდან დაბრუნებულ ოპოზიციონერთა მტკიცება, რომ მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განხილვას შეიძლება დაუბრუნდეს? ანუ, რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ კრემლ¡ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას უკან წაიღებს?

– დღეისათვის ასეთი შესაძლებლობა ნულის ტოლია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ომი გააჩაღა, მის სინდისზეა სისხლი, რუსულ-ქართულ და რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებში არნახული კრიზისი, ეს წარმოუდგენელია. პოლიტიკაში სიტუაცია ძალიან სწრაფად იცვლება. ამიტომ მე წინასწარ არც ერთი ვარიანტის განხორციელების შესაძლებლობას არ გამოვრიცხავდი. ეს ის შემთხვევაა, როგორც რუსეთის პრეზიდენტმა თქვა – `არასოდეს თქვა – არსოდეს!~ ეს ეხება იმ საკითხსაც, რის შესახებაც თქვენ კითხვა დასვით.

_ ის რომ სისხლი და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართველი მოსახლეობის ეთნოწმენდა რუსეთის ხელისუფლების კისერზეა, ამის შესახებ ტალიავინის კომისიის დასკვნაში არა ერთი საინტერესო ფაქტია მოყვანილი . . .

– სწორია, და მათ მე ვიზიარებ. თუ თქვენ ჩემს სტატიებს, ინტერვიუებს და წიგნს ამ თემაზე წაიკითხავთ, დარწმუნდებით. მე პირდაპირ ვამბობ, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებზე პასუხისმგებლობა მოსკოვსაც ეკისრება. მაგრამ ერთი საქმეა პოლიტიკური შეცდომები, ხოლო მეორეა სისხლისღვრა, რაზეც პასუხიმგებლობა სააკაშვილის რეჟიმს ეკისრება.

– ქართული და რუსული პრესა ბევრს მარჩიელობს იმაზე, რომ ქართული ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრების ფონზე კრემლი საქართველოში რაღაცისათვის ემზადება. თუ პუტინის ცნობილ გამოთქმას – `მომზადებული საშინაო დავალების~ შესახებ გავიხსენებთ, უპრიანია ვიკითხოთ – რას შეიძლება უმზადებდეს რუსეთი საქართველოს?

– მე არც კრემლში და არც საგარეო საქმეთა სამინიტროში არ ვმუშაობ, ამიტომ შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს ხელისუფლებაში სხვა, რუსეთის მიმართ კონსტრუქციული პოზიციების მქონე ადამიანების მოსვლაში, რომლებსაც რუსეთთან დამოკიდებულებაში არ მოუწევთ საქართველოს სუვერენიტეტის დათმობა. ამის მაგალითია უკრაინა, რომლის საქმეებში რუსეთი არ ჩარეულა, მაგრამ ყველაფერი თავისთავად, ბუნებრივად მოხდა. ის რაც ახლა უკრაინაში ხდება, პირველ ყოვლისა უკრაინისთვისაა კარგი, ვინაიდან უკრაინის ეკონომიკის კოლაფსისაგან გადარჩენაში რუსეთი ძალიან დიდ ფინანსებს ხარჯავს. ვფიქრობ, რომ უკრაინის მსგავსი მოდელის განხორციელება საქართველოშიც შესაძლებელია, მაგრამ რუსეთი საქართველოს საქმეებში არ ჩაერევა. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რუსეთს დიდი სიმპათიები აქვს ქართული ოპოზიციის ლიდერების მიმართ. საკუთარი სიმპათიების ქონა არავის არ ეკრძალება. მაგრამ რუსეთი ქართულ ოპოზიციას იმისთვის, რომ იგი ხელისუფლებაში მოვიდეს, ფინანსებით არ დაეხმარება, ანუ რუსეთი საქართველოს საქმეებში პირდაპირ არ ჩაერევა. ჩვენ მივხდით, რომ საქართველოს საქმეებში ჩარევა კონტრპროდუქტიულია. უმჯობესია თავად ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს საქართველოსათვის რუსეთთან მიმართებაში როგორი ურთიერთობების ქონაა უფრო მიზანშეწონილი.

– კრემლი თბილისისაგან სოხუმთან და ცხინვალთან უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესახებ შეთანხმების გაფორმებას დაჟინებით მოითხოვს. თბილისი კი აცხადებს რომ მზადაა ამგვარი შეთანხმება რუსეთთან გააფორმოს. რატომ უნდა გააფორმოს თბილისმა შეთანხმება სოხუმთან და ცხინვალთან და არა იმ ქვეყანასთან რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზებს აგებს? და საერთოდ, ამ საკითხში ოპტიმალური გამოსავალი რა შეიძლება იყო?

_ თავისთავად ბაზების არსებობა კრიმინალი არ არის. ამერიკელებმა უკვე ააშენეს სამხედრო ბაზები რუმინეთსა და ბულგარეთში და ახლა პოლონეთშიც გეგმავენ. თუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოებას საფრთხე არ დაემუქრება, ეს ბაზები შეიძლება გაქრეს და მათ ნაცვლად ევროკავშირისა და რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი გაჩნდეს.

– სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლას და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობოებთან ერთად ევროკავშირის სამშვიდობოების მონაწილეობას თბილისი აგვისტოს მოვლენებამდე მთელი 2 წელი დაჟინებით ითხოვდა. . .

– მოდით ნუ ვიკამათებთ. დიახ, მახსოვს, მაგრამ, ისიც მახსოვს, რომ ფორმატის შეცვლაზე ორივე მხარის თანხმობა იყო საჭირო. ცალმხრივად ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. მე არ ვამბობ, რომ ერთი მხარე იყო მართალი, ხოლო მეორე მტყუანი. დღეს ვითარება ასეთია – ნატო-ს, აშშ-სა და ევროკავშირის პოლიტიკა რუსეთის მიმართ საგრძნობლად შეცვლილია და არა თბილისის სასარგებლოდ. ნატო, აშშ და ევროკავშირი სიტყვიერად მხარს უჭერენ საქართველოს, მაგრამ ის, რომ ვითარება მნიშვნელოვნად შეცვლილია, უდავოა. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის მიერ დაშვებული შეცდომები სახეზეა.

– და თქვენ ფიქრობთ, რომ ევროპა მოსკოვისაგან აღარ მოითხოვს 2008 წლის 12 აგვისტოს სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულებას?

– რა შუაშია 12 აგვისტოს შეთანხმება. ახლა მე ვსაუბრობდი იმაზე, რომ თუ აგვისტოს მოვლენებამდე საქართველოს ნატოში იღებდნენ, ახლა ყველაფერი შეცვლილია. თუ რუსულ-ქართული კრიზისის შემდეგ დასავლეთი მზად იყო რუსეთთან ურთიერთობები გაეწყვიტა, ახლა სხვა პროცესები ვითარდება. ყველა დონეზე ყოველდღე ღრმავდება ურთიერთობები რუსეთსა და აშშ-სა და რუსეთსა და ევროკავშირს შორის.

მიმაჩნია, რომ აშშ-რუსეთის, ევროკავშირ-რუსეთისა და ნატო-რუსეთის დაახლოების პროცესს საქართველომ ხელი არ უნდა შეუშალოს. რაც უფრო მეტად ითანამშრომლებენ ერთმანეთთან ვაშინგტონი და მოსკოვი, რუსეთი და ნატო, რუსეთი და ევროკავშირი, მით უფრო უსაფრთხო იქნება საქართველო და უფრო მეტი პერსპექტივა ექნება მისი ტერიტორიული პრობლემების ყველა ხალხების ინტერესების გათვალისწინებით მოგვარებას.

თუ საქართველო გააგრძელებს ვითარების პროვოცირებას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები ან არასოდეს, ანაც თვალსაწიერ მომავალში არ მოგვარდება.

კობა ბენდელიანი, „ინტერპრესნიუსი“

ფიდელ კასტრო აშშ-ს კოლუმბიის ანექსიაში ადანაშაულებს

კუბის რევოლუციის ლიდერის, **“უკვდავი”** ფიდელ კასტროს თქმით, აშშ-სა და კოლუმბიას შორის თანამშრომლობის შეთანხმება სხვა არაფერია, თუ არა ამ ლათინოამერიკული ქვეყნის ანექსია.

გასულ კვირას გაფორმებული შეთანხმების თანახმად, შტატებს უფლება ენიჭებათ, მომავალი ათი წლის მანძილზე გამოიყენოს კოლუმბიის ტერიტორიაზე განთავსებული უკლებლივ ყველა სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ბაზა. კოლუმბიისა და ამერიკის განცხადებით, შეთანხმება ცალსახად მშვიდობიანი ხასიათისაა და მიმართულია ნარკოტრაფიკისა და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„ნებისმიერი ინფორმირებული ადამიანი ხვდება, რომ შეთანხმება... აშშ-ის მიერ კოლუმბიის ანექსიის ტოლფასია. – განაცხადა ფიდელ კასტრომ, – **უპატიოსნობა იქნება, დღეს მდგომარეობის შენარჩუნება და ხვალ სუვერენიტეტზე, დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, აზრის გამოხატვის თავისუფლებებზე საუბარი მაშინ, როდესაც ერთ ქვეყანას იმპერია ისე მარტივად შთანთქავს, როგორც ხვლიკი – ბუზს.“**

მსოფლიოში მყარად ფეხმოკიდებულ ნარკოვაჭრობასთან ნამდვილი ბრძოლის მაგალითად ფიდელ კასტრომ კუბა დაასახელა. მისი თქმით, ამ პატარა, მაგრამ **“სტაბილურმა”** ქვეყანამ არაერთგზის დაამტკიცა, რომ შიდა წესრიგის დასამყარებლად **„უცხო ქვეყნის ჯარი საჭირო სრულიადაც არაა“.** სხვა ქვეყანაში შიდა წესრიგისა და დემოკრატიული ცხოვრების ნორმების დასამყარებლად იქ ამერიკული ჯარის ჩადგომას კუბის რევოლუციის ლიდერმა სახელმწიფოს შიდა საქმეებში **„უსირცხვილო ჩარევა“** უწოდა.

კასტრო განსაკუთრებით აღაშფოთა ხელშეკრულების იმ პუნქტმაც, რომელშიც ნათქვამია, რომ დოკუმენტში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხარეთაგან რომელიმეს მოთხოვნის საფუძველზე მხოლოდ ათ წელიწადში ერთხელ.

საკ. ინფორ.



მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ტომ ფინეი

დაიბადა 1922 წლის 5 აპრილს, ინგლისში.

თამაშობდა კლუბ **"პრესტონში"**.

იგი გახლდათ გამხდარი, საშუალო სიმაღლის, ქერათმიანი, ლამის შეუმჩნეველი პიროვნება, რომელსაც ერთის შეხედვით არავინ აღიქვამდა დიდ ფეხბურთელად. მაგრამ სულ სხვა გახლდათ ფინეი ფეხბურთის მოედანზე, სადაც მას აშკარად გამოარჩევდა სხვებისაგან უნივერსალიზმი და ბურთის ფლობის მაღალი ოსტატობა. **"ეს არის ადამიანი, რომელიც დათვ გრიზლიზე ბევრად ძლიერია"** ამბობდა ფინეიზე მისი თანაგუნდელი კლუბ პრესტონში, ნახევარმცველი ბილი შენკლი, რომელიც მუდამ ამარაგებდა ფინეის საგოლე პასებით. შენკლი თვლიდა, რომ მას ხალისს სწორედ ფინეის შედეგიანობა აძლევდა, ვინაიდან ფეხბურთელისათვის არაფერია იმაზე დამთრგუნველი, როცა თანაგუნდელი მის მიერ მიწოდებულ ნაღდ საგოლე პასს გააფუჭებს. ტომი იშვიათად უშვებდა ხელიდან გოლის გატანის შანსს. ფინეი, რომელიც წყალსადენის ოსტატად მუშაობდა, ფეხბურთის ნამდვილ დიდოსტატად იქცა. იგი იყო მეტად თავაზიანი და ზრდილი ფეხბურთელი, რომელსაც არასოდეს მიუმართავს უხეშად მოწინააღმდეგე გუნდის იმ ფეხბურთელებისათვისაც კი, რომელიც არც თუ იშვიათად იჩენდნენ უხეშობას მის მიმართ. ტომ ფინეი ბრწყინვალედ ურტყამდა ბურთს ორივე ფეხით და ხშირად გაჰქონდა გოლები. თავისი კარიერის ბოლო წლებში იგი დიდი უნგრელი ფეხბურთის ნანდორ ჰიდეგკუტის მსგავსად უკან დახეული ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა.

საკუთარ კლუბში მას არ ჰყავდა მისი ძალის პარტნიორები და საკლუბო დონეზე დიდი წარმატებისათვის არ მიუღწევია. მაგრამ იგი თორმეტი წლის განმავლობაში თამაშობდა ინგლისის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში და 76 მატჩში გაიტანა 30 გოლი, რისთვისაც იგი ინგლისის დედოფლის მიერ რაინდის ტიტულით იქნა დაჯილდოებული.

ჟიუსტ ფონტენი

დაიბადა 1933 წლის 18 აგვისტოს, საფრანგეთში.

თამაშობდა კლუბებში **"მარაკეში"**, **"კასაბლანკა"** (მაროკო), **"რეიმსი"** (საფრანგეთი).

ჟიუსტ ფონტენმა 1958 წელს გაინადდა მკვიდრი ადგილი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, როცა შვეიცარიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში 13 გოლი გაიტანა. დღემდე სანახევროდაც კი ვერავინ მიუახლოვდა ამ მართლა გასაოცარ შედეგს. იგი მაროკოში დაიბადა და შვეიცის მსოფლიო ჩემპიონატამდე სულ ორჯერ ჰქონდა ნათამაშევი საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში. ელვისებურად სწრაფი, მაგრამ საკმაოდ სწორხაზოვანი ცენტრფორვარდი ჟიუსტ ფონტენი **"ნიცამ"** აღმოაჩინა, შემდეგ კი იგი **"რეიმსმა"** შეიძინა, სადაც მას უნდა შეეცვალა **"ფეხბურთის პროფესორად"** წოდებული რაიმონდ კოპა, რომელიც 1956 წელს მადრიდის **"რეალში"** გადავიდა.

შვეიცის მსოფლიო ჩემპიონატზე ფონტენი სათადარიგო მოთამაშედ წაიყვანეს, და რომ არა შემთხვევითობა, ამ მართლაც დიდი ფეხბურთელის ვარსკვლავი შეიძლება არც ამობრწყინებულიყო – ტრავმა მიიღო ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე რენე ბლიარმა და იგი ფონტენმა შეცვალა. რაც შეეხება მის მიერ გატანილ 13 გოლს, ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია რაიმონდ კოპამ. მათი პარტნიორობა განახლდა გუნდ **"რეიმსში"**, რომელსაც კოპა 1959 წელს დაუბრუნდა.

სამწუხაროდ ჟიუსტ ფონტენმა ფეხბურთის თამაშს თავი გაანება 1961 წელს, რადგან ერთ-ერთი დაძაბული მატჩისას ფეხი ორ ადგილზე მოიტეხა. იგი ორჯერ იყო საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელი და საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 20 მატჩში 27 გოლი გაიტანა. შემდეგ ფონტენი საფრანგეთის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტი იყო და გარკვეული დროის განმავლობაში საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებსაც ედგა სათავეში.

ენცო ფრანჩესკოლი

დაიბადა 1961 წლის 12 ნოემბერს ურუგვაიში.

თამაშობდა კლუბებში **"უონდერერსი"** (ურუგვაი), **"რივერ პლეიტი"** (არგენტინა), **"მატრა რესინგი"**, **"მარსელი"** (საფრანგეთი), **"კალიარი"**, **"ტორინო"** (იტალია), **"რივერ პლეიტი"** (არგენტინა).

ენცო ფრანჩესკოლი **"დიდი ურუგვაული"** ფეხბურთის ღირსეულ წარმომადგენელთა საქმის ერთგული გამგრძელებელია. სწორედ 1920-1950-იან წლებში არნახულ სიმაღლემდე აღორძინდა ურუგვაული ფეხბურთი და ამ პატარა ქვეყნის გუნდი ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. შემდეგ ფეხბურთის ტრადიციები გააგრძელეს დიდმა სკიაფინომ, გონსალვესმა და როჩამ, ბოლოს კი დიდებულ ურუგვაელ ფეხბურთელთა პლეადაში ღირსეული ადგილი დაიკავა ენცო ფრანჩესკოლიმ.

ენცომ ჯერ კიდევ სიყმაწვილისას დაიწყო თამაში მოკრძალებულ გუნდ **"უონდერერსში"**, სადაც მან მალევე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება და ენცომ არგენტინის **"რივერ პლეიტში"** გააგრძელა თამაში. ამ დროს მისი ყიდვა ურუგვაის გუნდებს **"პენიაროლსა"** და **"ნაციონალსაც"** სურდათ, მაგრამ არგენტინელებმა დიდი ფული გადაიხადეს და აუქციონიც მოიგეს.

სწორედ ამ გუნდში მოიპოვა ენცო ფრანჩესკოლიმ არგენტინის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული და იგი გამოაცხადეს სამხრეთ ამერიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელად.

1986 წელს ფრანჩესკოლი საფრანგეთის **"რესინგმა"** შეიძინა. მართალია, ფრანჩესკოლიმ სამი სეზონის განმავლობაში 32 გოლი გაიტანა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო **"რესინგის"** დახსნა ფინანსური კრახის ბასრი ბრჭყალებისაგან. შემდეგ ფეხბურთელი **"მარსელში"** გადაბარგდა, და იტალიაშიც ითამაშა. საბოლოოდ იგი არგენტინის **"რივერ პლეიტს"** დაუბრუნდა და იქ დაამთავრა თავისი ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

საპარიკმახეროში დალაქი ეკითხება კლიენტს:

– ფეხბურთში რომელ გუნდს გულშემატკივრობ?

– რომელსაც თქვენ, – მიუგო კლიენტმა.

– კი მაგრამ, თქვენ რა იცით, მე რომელ გუნდს ვგულშემატკივრობ?

– არ ვიცი, მაგრამ სამართებელი თქვენ გიჭირავთ!

* * *

– უკაცრავად, მაგრამ ჩემს მარაოზე ზიხართ...

– ჰმ, მეც არა ვთქვი საიდან მიბერავს-მეთქი?

* * *

– ბიჭო, შენს ცოლს საჭმლის კეთება ეხერხება?

– კი ეხერხება, მაგრამ მე არ მეხერხება მაგის გაკეთებული საჭმლის ჭამა...

* * *

მიხოს ყანწი მიაწოდეს – დაილოცეო. აიღო და დაილოცა:

– თქვენი მტრის დედაცო...

– მიხო, ეგრე ხომ გამრავლდებიან ჩვენი მტრები! – გამოსძახეს სუფრიდან.

– მაშინ, თქვენი დედაც... გამრავლდით და გაიხარეთ!

* * *

მიხო უცხოეთში წასულ შვილს ურეკავს:

– რა ქენი, შვილო, დაიწყე მუშაობა?

– ჰო, მამი, შვეიცარად ვმუშაობ!

– ეგ რა არის?

– კარს ვაღებ და ვკეტავ.

– შენი დედაც... პრუჟინა ყოფილხარ, შვეიცარი კი არა...

* * *

– ნახე, როგორი თვალებით მიყურება შენი ძაღლი!

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, არ უყვარს, როცა მისი თეფშიდან ჭამენ...

„ბაკალრო" ყაცის მიერ დაგოვებული ნათელი კვალი...

მე-8 გვ. დან

გამოსცა **„იაკობ გოგებაშვილი"** აქვს გამოქვეყნებული წერილები ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ იდეებზე – პედაგოგიკის პრინციპულ საკითხებზე, პედაგოგიკის ზოგად საფუძველზე...

ნაყოფიერია მისი სამეცნიერო – კვლევითი მოღვაწეობა. მან 150–ზე მეტი პუბლიკაცია დაგვიტოვა, რომელთა უმრავლესობა მონოგრაფიული ხასიათისაა. სადაც კეთილსინდისიერებით არის შესწავლილი ქართველი ერის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის სულიერი ცხოვრების რთული პერსპექტივები. მისი შრომები, მიძღვნილი კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის და განათლების სხვა უმაღლესი კერებისათვის ეროვნული გრძნობით აღავსებს მკითხველს.

წარსულის მემკვიდრეობის საფუძვლიან კვლევასთან ერთად პროფესორ ვლადიმერ გაგუას ყურადღების მუდმივი საგანი იყო აღზრდის თანამედროვე თეორია და პრაქტიკა. მან არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა მოზარდი თაობის ზნეობრივი ფორმირების უმნიშვნელოვანეს პრობლემას. სამართლიანად მიაჩნდა პიროვნების ჩამოყალიბების, კერძოდ ზნეობრივი განვითარების საფუძველი ოჯახური ურთიერთობის ავ-კარგიანობა. ამ აზრით იყო შთაგონებული მისი პუბლიკაციები რომლებიც აღზრდისათვის სასიკეთო ზნეობრივი ატმოსფეროს ფართოდ დანერგვას ცდილობდა.

გარდა საკუთარი მეცნიერული გამკვლევისა, ბატონი ვლადიმერი მთელი რიგი სახელმძღვანელოების ავტორი იყო. გელა ბოჭორიშვილისა და გალაქტიონ სიხარულიძესთან თანაავტორობით გამოცემული **„ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მოკლე კურსი," „სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდეგ საქართველოში", „პედაგოგიკის შესავალი", „პედაგოგიკა"**. ყველას ვერ ჩამოვთვლით...

1989 წლის 14 აპრილს ვლადიმერ გაგუა აირჩიეს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. ამ პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურდა ინსტიტუტის საქმიანობა. მისი მოღვაწეობის პერიოდში ინსტიტუტს გადაერქვა სახელი და ეწოდა სულხან–საბა–ორბელიანის სახელი.

პროფესორ ვლადიმერ გაგუა დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. იგი იყო საკავშირო პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკის ისტორიის განყოფილების სამეცნიერო წევრი. საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და ამ საზოგადოების შრომითი აღზრდის პროფორენტაციის სექციის თავჯდომარე, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სასწავლო მეთოდური საბჭოს თავჯდომარე, ჟურნალ **„სკოლა და ცხოვრების"** სარედაქციო კოლეგიის წევრი და აქტიური თანამშრომელი.

პროფესორ ვლადიმერ გაგუას, როგორც მაღალკვალიფიციურ ლექტორს ხშირად იწვევდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის წამყვან ინსტიტუტებში ლექციის წასაკითხად მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის და სხვა რესპუბლიკის დედაქალაქის ინსტიტუტებში. ასევე რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ხშირად მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და სესიების მუშაობაში. სადაც არა ერთხელ გამოსულა სიტყვით და დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოუწვევია.

ვლ. გაგუა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართული ენციკლოპედიის მასალების მომზადებაში. ენციკლოპედიაში გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია პედაგოგიკის ისტორიისა და თეორიის საკითხზე მისი დაწერილია. ბევრი ვეცადე ვლ. გაგუას მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, ქართულ პრესაში აღზრდის პროცესებთან დაკავშირებით გამომექვეყნებინა, მაგრამ იმდენად ბევრი აღმოჩნდა (150) ამას მთელი გაზეთი არ ეყოფა და ბოდიშს ვიხდი ქართველი მკითხველის წინაშე.

ვლადიმერ გაგუას ბევრი განუხორციელებელი ოცნება დარჩა მას სურდა ძველ კოლხეთზე გამოეცა სქელტანიანი წიგნი. ეს მან გვითხრა ავადმყოფობის დროს, ჩემს მშობლიურ კოტიანეთის მიწას ფეხს, რომ ვდგამ სიმკვრივეს ვგრძნობო. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ სწორედ ამ ადგილას რამდენიმე წყება მამაპაპური ძვლებია ჩაკირულიო. ეს ადგილი იყო კარიბჭე ციხე ქალაქი არქეოპოლისიო, სადაც დიდი ბრძოლები და ბატალიები წარმოებდა კოლხეთის დასაპყრობად. ვლადიმერი ძალიან განიცდიდა აფხაზეთის დაკარგვას და მისგან ხშირად გაგვიგონია, მშობლიური კოტიანეთის ტოლფასად მიმაჩნიაო. ეს გასაგებიც იყო: სრულიად ახალგაზრდამ შრომითი საქმიანობა აფხაზეთში დაიწყო.

ვლადიმერის სიკვდილმა გაბატონებული აზრის სინანული გააქარწყლა – დრო მკურნალი არ ყოფილა. რაც უფრო გადის დრო, მეტ სიცარიელეს ვგრძნობთ...

შენს სულს დავიწყება არ უწერია, შენ დიდი ადამიანი იყავი! დარწმუნებული ვარ, შენს ლამაზად მოვლილ საფლავს მტვერი არასოდეს დაედება!

გიორგი (გონი) ცაავა,
საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

ISSN 1987-8966 "ილორი"
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ.№01018002930
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია
www ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95
893-51-01-71
899-34-37-27